

ISSN 0868-4537



178  
1992

# საქართველო

პრატისტი • გეცნიერება • კულტურისტი

IUS  
TBILISI GEORGIA

1992/3

მთავარი რედაქტორი

თემურე ნინიძე

სარჩევაზე გოლები:

აწი არსენაზე ილი

(მასში სერებელი მდივანი),

გელა გერმენი ილი

(მთავარი რედაქტორის მოადგილი),

ოთარ გამპრელიძე,

როლანდ გილიაზვილი

ავთანდილ ღევთხაზვილი

თარიელ ზავრაზიძე

გილეილ კველიძე

გზია ლევანი ილი

გურამ ლილიაზვილი

ალექსანდრე თალიაზვილი

რუსულან გილავა

ტექნიკური რედაქტორი

გულნარა გოსიძე ილი

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აგაშვილი, ლევან ალექსიძე, ანდრე გაგიანი, რომან გვერდიძე, გიორგი ილიაშვილი, ოთარ კაციანავა, თენაის ლილიაზვილი, ვალენი ლორია, გიორგი ნადარევიაზვილი, ლიარ ნეგიენიძე, ვახტანგ რაჭელიძე, ზურაბ რატიანი, გიორგი აბეგელიძე, გიორგი უგრეველიძე, ავოლონ ფალიაზვილი, იაკობ შერგარევა, თამაზ გავაშლიძე, ალექსანდრე ჭავჭავაზვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ჯონ ხელი- ნინიძე, ჯონ ჯალანია, სერგო ჯორგავაძე.

თანხმო გილაშვილი

## სასამართლო დამოუკიდებელი უძა იურს

უართოდა ცნობილი სასამართლოს მოკლე, მაგრამ ასებითად ყოვლის მომცველი დახასიათება: კარგი სასამართლო, კარგი პროცესი, კარგი იუსტიცია საერთოდ — სახელმწიფოს საფურველია (*Iustitia fundamentum regno est*). სასამართლო საზოგადოებრივი წესრიგის საყრდენია. იგი უზრუნველ ყოფს კონის ბატონობას, აფუძნებს სამართლიანობას, მყარებს მშეიღბას საზოგადოების წევრებს შორის. განუმტკიცებს მთ ყველგვარი ხელყოფისა გან დაცისა და პირადი თავისუფლების უზრუნველყოფის რწმენას. ასეთ რწმენის გარეშე კი გარდუვალია ღირებულებათა სრული გაუფასურება, საზოგადოების თანდათანობითი, მაგრამ შეუჩერებელი სკლა ზნეობრივი გადავდა რებისაკენ, ეკონომიკური ცნოვების მოწლა.

სამწუხაოთ, საქართველოში ასეთი პროცესები დღიდა ხანია დაიწყო და მათ შეჩერება არამარტო ვერ ხერხდება, არამედ პირიქით, ნეგატივური პროცესები კიდევ უფრო ღრმავდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ნამდვილი მართლმასაჯულების უქონლობა, რაც განპირობებულია ჭერ-ერთი, ცუდი სასამართლო სისტემით და მეორე — მისი ცუდი შეშობით.

ცხადია, რომ სასამართლო რეფორმის გატარებისთვის საჭიროა კარგი მოდიქტებული კონცეფცია, შეხელულებათა მწყობრი და თანმიმდევრული სისტემა იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა წარმომართოს სასამართლო რეფორმა, რომელიც მოიცავს არამარტო საკუთრივ სასამართლოს. არამედ ვა მოძიებას, პროკურატურას, აფლოკატურას.

როგორც ჩანს, ბევრ რამეზე მოგვიძედება დაფიქრება, კამათი, დისკუსიების გამართვა. ამჯერად სასამართლო რეფორმის მხოლოდ ზოგიერთი საკითხის დაყენებით შემოვიდარებით.

1. უწინარეს ყოვლისა, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. სასამართლო ხელისუფლების ადგილის ზუსტად განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოების სისტემაში. საქმე ისაა, რომ მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანო — სასამართლო, უნდა პასუხობდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლის გარეშე მისი საქმიანობა ვერ ჩაითვლება მართლმსაჯულებად. ამ მოთხოვნებს შორის ერთ ერთი მთვარი და ძირითადია სასამართლოს დამოუკიდებლობა. ყოველი კივილიზიებული, სამართლებრივი სახელმწიფოს სასამართლო — ესაა ადგა თავი ნოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, რომელც მხოლოდ კანონი ემორჩილება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სასამართლო ხელისუფლება — ესაა და

მოუკიდებელი ხელისუფლება, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით.

ჩვენში დღეს მოქმედი სასამართლო ამ მოთხოვნებს არ პასუხობს. კანონით აღიარებული პრინციპი, რომლის თანახმად მოსამართლენი დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან — არის დეკლარაციული ხასიათის და არაფრით არაა უზრუნველყოფილი. სინამდვილეში, სასამართლო თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფო ორგანოების ერთ-ერთი რიგითი და ჩვეულებრივი რგოლი. ეს გასაგებიცაა, სასამართლო ხელისუფლება, როგორც და-მოუკიდებელი ხელისუფლება, სრულიად შეუთავსებელი და მიუღებელი იყო სახელმწიფოს მართვის აღმინისტრაციულ-საკომანდო სისტემასთან. ასეთი სისტემისთვის დაუშვებელია, რომ ტრატალიტარულ სახელმწიფოებში რომელიმე ორგანო არ ემორჩილებოდეს გაბატონებულ რეჟიმს.

მაშასადამე, ნამდვილი მართლმსაჯულების ერთ-ერთი ფუნდამენტური მასასიათებელი — სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან — არ გაგვაჩინია. ამიტომ, არ გავვაჩინია ნამდვილი მართლმსაჯულებაც.

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს სასამართლოს გამოყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, რამაც თავისი ასახვა უნდა ჰქონოს კონსტიტუციაში. უნდა შევიმუშაოთ და კონსტიტუციურულ განვამტკიცოთ აგრეთვე ისეთი იურიდიული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლოს დამოუკიდებლობას. დღეს საქართველოს რესტურაციაში აღდგენილია და მოქმედებს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. ეს კონსტიტუცია დადგებითად განსხვავდება საქართველოში ამ ბოლო დრომდე მოქმედი 1978 წლის კონსტიტუციისაგან იმით, რომ თუ ამ კონსტიტუციაში ერთად იყო თავმოყრილი „მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და საპროკურორო ზედამხედველობა“, 1921 წლის კონსტიტუციაში სასამართლოს ცალკე, დამოუკიდებელი თავი ეძღვნება. ამით ხაზგასმულია სასამართლოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის ეს არ კმარია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კონსტიტუციის მე-6 თავი, რომელიც სასამართლოს ეძღვნება, ხასიათდება სერიოზული ხარვეზებით. აქ არის განსაზღვრული სასამართლოს ამოცანები, მისი ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ეს ხარვეზი უნდა შეივსოს.

სასამართლოს ხელისუფლების დამოუკიდებლობა არ ნიშნავს სახელმწიფოში არსებულ სხვა ხელისუფლებისაგან აბსოლუტური განკერძოებას. სახელმწიფოში, როგორც ერთარან სოციალურ ორგანიზაციი, ასევებობს სამი სახის ხელისუფლება და შეუძლებელია, რომ მათ შორის არ ასევებოდეს გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ, სასამართლო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთდამოკიდებულების ოპტიმალური ფორმებისა და ფარგლების განსაზღვრა სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

2. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მოსამართლეთა სტატუსის განსაზღვრა, საქმე მსაა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა კონკრეტულად ვლინდება მოსამართლეთა დამოუკიდებლობაშიც. მაშასადამე, სასამართლოს დამოუკიდებელ ხელისუფლებად ჩამოყალიბების ინტერესები მოითხოვენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

ამ თვალსაზრისით შესაძლებელია მოსამართლის შერჩევისა და თანამდე-

ბობის დაკავების წესი. ამ თანამდებობის დაკავების დღემდე არსებული შეცვალა (მოსამართლის აჩქევა თუ დანიშვნა) უვარგისია. რადგან ატარებდა უძრავი მოსამართლე და საუკერებელი პირის დანიშვნას. მოსამართლე, როცა იგი არჩევითი იყო და ახლაც, როცა იგი დანიშვნითია, ყოველთვის ინიშნებოდა ის, ვისაც მხარს უჭერდა კარევეული თანამდებობის პირი (რაიკომის მდივანი, პრეფექტი და ა. შ.). საცემით ბუნებრივია და ადვილად ასახსნელი პროტექციონიზმის, მაამებლობის, მლიქვნელობის, მექრობამეობის და სხვა ასეთი მოვლენების ფართოდ გაუჩელება, რომ ალარაფერი ვთქვათ მოსამართლის დამოუკიდებლობაზე. ასეთი ეკითარება მთლიანად არყევს მართლმასჯულების ზოგადსაკაცობრიო პრინციპს, ძირი უთხრის იდეას, რომელიც ასაბუთებს და ამართლებს სასამართლოს არსებობს საერთოდ.

ამ უკიდურესად არასასურველ მოვლენებს ამ ბოლო წლებში დაემატა სასამართლოზე ზემოქმედების კიდევ ერთი ახალი ფორმა: სასამართლოსა და სხვა სამართლდამცავი ორგანოების ბლოკირება, მიტინგებზე და დემონსტრაციებზე მართლმასჯულების ორგანოთა მუშავების ლანგვა-გინება, მათი თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა, მოსამართლის მიმართ მუქარის, შანტაჟისა და ძალადობის გამოყენება, მათი გაძევება სამუშაო ოთხებიდან და ა. შ. ეს უკიდურესად დაბალი სამართლებრივი კულტურის შედეგია, მაგრამ, როცა ზელისუფლება ცდილობს წახალისოს ვანდალიზმის ასეთი აქტები — ეს უკვე დიდი უბედურებაა. ასეთ პირობებში თვით მოსამართლეა დაუცველი, ხოლო სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი უბრალოდ უხერხულიცა.

ამრიგად, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყითბია ისეთი მექანიზმების სამართლებრივი განმტკიცება, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. აღსანიშნავია, რომ ამ საყითბზე ყერ კიდევ გასული საკუჭნიდან დაიწყეს ფიქრი და ზრუნვა. შემუშავებულია სხვადასხვა მოსაზრება და საყითხის გადაჭრის სხვადასხვა ვარიანტი.

ჩვენ არ ვაძირებთ ამ მოსაზრებათა განხილვას, მაგრამ აღნიშნავთ, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობას ძირითადად სამი განვითარება ემუქრება: 1) მოსამართლის თანამდებობის უნარჩენებისა და მისი დაწინაურებების დამტკიცებულება რომელიმე თანამდებობის პირზე; 2) მატერიალური მდგრადირეობა; 3) ახლო (ნათესაური, მეცნიბრული) დამოუკიდებულება იმ პირთან, ვის საქმესაც აჩქევს.

პირველ მუქარის უპირისპირებენ მოსამართლეთა შეუცვლელობას; იგი მიჩნეულია მოსამართლის თანამდებობრივი თუ სხვა სამსახურებრივი დამტკიცებულების გადაწყვეტის ყველაზე რეალურ საშუალებად თანამდებობის იმ პირებით, როგონებთან თუ ამომჩევლებთან, რომლებმაც იგი დანიშნეს თუ აირჩიეს.

შეუცვლელობა მართლაც არის დაკავებითი ენერგიის წყარო, რომელმაც უნდა განუმტკიცოს აქტება და მიანიჭოს მოსამართლეს გამბედაობა — თამამად ლუდგეს წინ და ანგარიში არ გაუშიოს კონკრეტული საქმის გარჩევასთან დაკავშირებით წამოსულ თხოვნებს, წინადაღებებს. მუქარის — ვისგანაც არ უნდა მომზინარეობდეს ის. შეუცვლელობა ათავსუფლებს მოსამართლეს იმის ფიქრისაგან და შიშისაგან მოწონება თუ არა საქმეზე გამოტანილი ჯადა.

წყვეტილება ამა თუ იმ თანამდებობის პირს თუ ორგანოს. რა ფქმა უნდა მოსამართლის შეუცვლელობას აქვს თავისი ნაკლიკ; მაგრამ ეს სპეციალური განხილვის საგანია.

როგორც აღნიშნეო, მოსამართლის დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის მისი არადამაკმაყოფილებელი მატერიალური მდგრადი მომართებაც. მა ფაქტორის გაქარტულების ერთადერთი საშუალება — ესაა მოსამართლეთა მატერიალური უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით გამაანალიზებელია სწავლების გამოყილება.

რაც შეეხება მოსამართლის დაინტერესებას საქმის შედეგით გასარჩევ საქმეში მონაწილე პირთა ახლო (ნაფესური, მეცნიერული) დამოუკიდებულების გამო, ურისპონერებულის დიდი ხანია შემუშავებული აქვს სპეციალური ინსტრუმეტები (აცილება, თვითაცილება), რომლებიც მოხსნია ასეთ დაინტერესებას.

3. სასამართლო რეფორმა უცილებლად გულისხმობს სასამართლო სისტემის სრულყოფასაც. დღეს მოქმედი სასამართლო სისტემის ნიმუშად, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო შეფენების სასამართლო, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ სისტემამ ჩვენს პირობებში არ გააძროლა.

ფორმალობის არნახულ, უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია მსაჯულთა მონაწილეობამ საქმის განხილვაში. ფაქტორების რიცხვი არ გააჩნიათ რამე დამოუკიდებელი ფუნქცია, კანონმდებლობა არ შეიცავს მათი გააქტიურების არავითარ მექანიზმს. ასეთი მსაჯულებისაგან რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავთავისუფლდეთ. დღეს, საქართველოში და სსრკ-ის ყოფილ სხევა რესპუბლიკებში ხშირად გაისმის მოწოდებები, რომ შემოვილოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ფიქრობენ, რომ ეს გადაარჩეს მართლმაჯულების საქმეს, დაამკვიდრებს ჩვენში ნამდვილ ცივილიზაციულ სასამართლო სისტემას!

თქმა არ უნდა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, დღეს ჩვენში არსებულ სასამართლო სისტემასთან შედარებით, შეიცავს მსაჯულთა გააქტიურების, შეიძლება ითქვას, ერთადერთ მექანიზმს — ფუნქციების დაყრდნას პროცესით ნაფიც მსაჯულთა შორის; ნაფიც მსაჯულები, მოსამართლისაგან დამოუკიდებლად, წყვეტინ საკითხს ფაქტის შესახებ, ხოლო შემდეგ მოსამართლე ურიილულ შეფასებს (კვალიფიკაციას) აძლევს ამ ფაქტს. ნაფიც მსაჯულებს, ამრიგვად, დამოუკიდებელი ფუნქცია აქვთ პროცესში და ამიტომ ისინი ვერ იძალიარებენ.

ბევრის მიმანიშნებელია ისიც, რომ არცერთ ტოტალიტარულ სახელმწიფო-ში ნაფიც მსაჯულების სასამართლო არ არსებობდა და არ არსებობს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მხრივ ჩვენი ქვეყანა იური-იული თვალსაზრისით, მეტად ხელსიყრელ პირობებშით. 1921 წლის სიქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად, „მძიმე სისხლის სამართლის და, აგრეთვე, პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“. როგორც ვხედავთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. შემოღებულია მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები 3 საფინანსო სამართლის (ფართო გაგებით) საქმეები ასეთ სასამართლოს არ ექვემდებარება. ეს იმას არ ნიშავს, რომ ასეთი საქმეები არ განიჩი-

<sup>1</sup> დაწერილებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ავარგიანობაზე საუბარი გვევწევა აღლობადის ში.



ლება სასამართლოს შესით. ამავე კონსტიტუციის 77-ე პუნქტის თანამდებობის მოქალაქეობის, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის სამეცნი საწარმოებლიდ არსებობს მუდმივი სასამართლოები. სასამართლოს ურგანიზაცია, იურის-ლიტერატურა და კომპენტენცია განისაზღვრება „კანონიზ“. მართლაც. 1918 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა კანონი „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“, 1919 წლის იანვარში მიღებული იქნა „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების“ კანონი და დებულება; მიღებულ იქნა აგრეთვე ამ-დენიზე კანონი მომრიგებელ სასამართლო დაწყესებულებათა ქვემდებარების გაფართოების შესახებ და ა. შ. ცხადია, ყველა ეს ნორმატიული აქტი სერიო-ზულ ანალიზს მოიოხოვს.

ამჩინად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და სამომრიგებლო სასამართლოს შემოღების სამართლებრივი (კონსტიტუციური) საფუძველი არსებობს. მაგრამ ეს ს სრულებითაც არ ნიშნავს კიმას, რომ აღნიშნული სასამართლოები უკალებლივ უნდა დაინერგოს. მხედველობაში უნდა ვიქონოთ, რომ ისე, როგორც კივილიზაციის სხვა მონაცოვრებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო-საც აქეს თავისი საქმით სერიოზული ნაკლოვანები, რომელზეც მიუთით-ბენ იმ ქვეყნების სამართლმცოდნები, სადაც ეს სასამართლო სისტემა გა-ბატონებული, გასათვალისწინებელია აგრეთვე სოციალურ-კუნძული პრო-ბები. რომელშიც ასეთი სასამართლო უნდა დაინერგოს და ა. შ.

ვფიქრობ, ახლო მომავალში გაიშლება დისკუსია ნაფიც მსაჯულთა სასა-მართლოს შემოღების მიზანშეწონილობისა და მისი კომპეტენციის შესახებ, რაც საშუალების მოგვცემს სწორი წარმოდგენა შევუკმნათ მოსახლეობას ამ სასამართლოზე.

4. კანაკუორებულ ყურადღებას იმსახურებს სასამართლოს ინსტანციუ-რობა.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს<sup>7</sup> სასამართლო გადაწყვეტილე-ბის და განაჩენების გენერიკურების შესაძლებლობას მეორე ინსტანციის სასა-მართლოში, რომელსაც ჩვენში—საკასაციო ინსტანციის სასამართლო ეწოდება. საქალაქო ინსტანციის ერთ-ერთი დანიშნულება ისაა, რომ შეამოწმოს გადა-წყვეტილების (განაჩენის) კანონიერება და დასაბუთებულობა, აღმოფხვრის სასამართლო შეცდომები, თუ ასეთი შეცდომები დაშვებული იყო. სწორედ ამ მიზნის მიღეულის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია წესები, რომელთა გა-ნუხრელად დაცვით უნდა მოხდეს საქმეთა განხილვა ამ ინსტანციაში. სამწუხა-როც. ზოგჯერ ეს წესი ირლევა და სასამართლოს წევრი, რომელსაც ევალება საქმის მოხსენება საკასაციო სასამართლოში, წინასწარ ეთაბინება შესაბამი-სი კოლეგიის თავმჯდომარეს. შესამოწმებელი გადაწყვეტილების თუ კანაჩენის ბეჭდი სწორედ ამ მოთათბირების შედეგად წყდება. ცხადია, რომ ამის შედეგ საქალაქო ინსტანციაში საქმის გატანა და განხილვა უკიდურესად ფორმალურ ხდის აქანებს, იგი კარგავს ყოველგვარ აზრს, საქალაქო ინსტანციის სა-სამართლოს ცვლის შესაბამისი კოლეგიის თავმჯდომარე.

აյ ბევრი რამა მოსაფიქრებელი და გასათვალისწინებელი. მაგრამ ერთ საკითხი შეიძლება ახლავე დავაყენოთ: ხომ არ აქობებს, მეორე ინსტანციის სასამართლომ, რომელიც უნდა ვიგარულოთ, რომ დაკომიტებულია უფრო კადანიფიციური და გამოცდილი იურისტებისაგან, თვითონ გააჩინოს ხელმეო-



განაჩენი არსებითად არქაწორია და არ დაიბრუნოს იგი ხელმოორულ განსახილებრივ შემსრულებელი ვილად იმავე ან სხვა სასამართლოში.

5. დაბოლოს, ერთი საყითხი ადამიანის უფლებათა დაცვის ფორმების შესახებ. ღლეს მოქმედი კანონმდებლობით სამოქალაქო უფლებების დაცვა ხორციელდება სასამართლოს, არბიტრაჟის, სამედიატორო სასამართლოს. მხანაგური სასამართლოს, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ოჯანიშაციების მიერ, აგრძელებული წესით.

როგორც უხელავთ, სასამართლოს გარდა არსებობს მოელო ტიგი ორგანოებისა, რომლებიც მოწოდებულია დაიცვან მოქალაქეთა უფლებები, აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ორგანო იცავს უფლებას მისთვის სპეციალურად შემუშავებული საპროცესო ფორმების გამოყენებით. კერძოდ, სასამართლო იხილავს და წყვეტს სამოქალაქო უფლებათა დაცვის შესახებ საქმეებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით დადგენილი წესით, შრომის დავის განმხილველი კომისიები იხილავს დავებს შესაბამისი დებულების მიხედვით და ა. შ.

მმრიგად, არსებობს სამოქალაქო უფლებათა დაცვის არამარტო სხვადახეა ორგანოები, არამედ სხვადასხეა საპროცესო ფორმაც. ამიტომ, ბუნებრივია ქითხები: გამართლებულია თუ არა უფლების დაცვის ერთმანეთისაგან განსხვავებული საპროცესო ფორმების არსებობა?

ფაქტობრივად ეს არის საყითხი მატერიალური და საპროცესო სამართლის თანაფარგობის შესახებ.

სასამართლო რეფორმის ინტერესები მოითხოვს, რომ ამ თანაფარგობის ანალიზის შედეგად შემუშავდეს ზემოთ დასმულ საყითხზე დასაბუთებული მოსაზრება. ამასთან, უნდა ვიხელმძღვანელოთ ერთი კრიტერიუმით: შეკინარჩუნოთ მატერიალური სამართლის ნორმების რეალზაციის, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა დარღვეული უფლების დაცვის სკონგრესის საპროცესო ფორმები, რომლებიც უფრო მომარჩვებულია მატერიალურ სამართლზე და მეტად უზრუნველყოფს უფლების დაცვას.

გილრები ნანებიშვილი

## ପାର୍ଶ୍ଵନାଥ କାଳିପଟ୍ଟିଙ୍ଗ

საბაროლის თეორიის კლემბერტარული კურსიდან კველა იცხობს ს ა ვ ი ნ ი -  
ს ა, ვ ი ნ დ შ ა ი დ ი ს ა, Brīpīz-ისა, ი ე რ ი ჩ ი ს ა და სხვა ბევრის შეხედულე-  
ბებს ამ საკითხზე. მათი ანალიზი და კრიტიკა შორის წავიყვანდა და ამასთანვე,  
გვაიძულებდა გაგვემორებინა ის, რაც კველა ჩერნგანს არა ერთხელ გაუგონია.  
ჩვენ ვიტვეთ იმას, რახაც ამ საკითხის შესახებ კვიფრობოთ და თუ ვინმე ჩვენს  
აზრს სწორად მიიჩნევს, მას უკვე ეცოდინება, თუ რომელი თეორიის სისწორეში  
შეიძლება ეჭვის შეტანა. ჩვენ ამჟამად არც ის გვაიზტერებს, თუ როგორ განხა-  
რტავს სამართლის სუბიექტის ცნებას ესა თუ ის კონკრეტული პრინციპიური სამა-  
რთალი. ცხადია, რომ ეს სულ სხვა საკითხია. მას არაუგრი აქვს საერთო ჩვენს  
სავანთან — სახელდებო იმ საკითხთან, თუ როგორ და რა მნიშვნელობით უნდა გუ-  
ლისხმობდეს სამართლის იდეა სამართლის სუბიექტს. ამ აკოთხის მნიშვნელობა  
რომ ნათლად წარმოიგიგინოთ, დროებით უნდა დავივიწყოთ კველა ვერი, რასაც  
ჩვენ ტრადიციულად პრატტიკაში სამართლის სუბიექტის სახელს ვუწოდებთ.

საბართლის იდეასა და იქ მოცემულ აზრის წესრიგში, Stufenfolge des Modells, უნდა კვლისო პასუხი მისია, თუ რა შეიძლება იურისტმა საბართლის სუბიექტად აღიაროს. იურისტს სხვანაირად არც შეუძლია მიუღებს ხაյითხს, თუ მხედველობაში ძიებიდებო, რომ საგანი იურიდიული აზროვნებისა შეიძლება მხრიდან საბართლის იყოს.

\* ପରିଚୟାବଳୀରେ କିମ୍ବା ଅର୍ଥରେ

სირციელების მოთხოვნას ან, N. Hartmann-ის ტერმინი რომ ვიწმართ, შეიცავს „Wirklichkeitsanspruch“, -ს. ამ მოძენტების ანალიზი დაგვანახვებს იმ ერთ-ადრეთ ჯ-ს, რომლისკენაც თვით ნორმატიულ მსჯელობას აქვს Blickrichtung ე. ი. შემართება. თუ ჩვენ მოვახერხეთ იმის აღმოჩენა, რომ ნორმატიული შინაარსის მიმართება. ე. ი. ამ Wirklichkeitsanspruch-ის შემმეცნებელის Blickrichtung შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული შინაარსის X-ის მიმართ და, ეს X-ი ის შესაძლო დირებულებით აქტების სუბიექტად აღმოჩნდა, პრობლემა სამართლის სუბიექტის შესახებ თავისთავად გადაწვეტილი იქნება.

არის თუ არა ერთ-ერთი ელემენტი ნორმატიული მსჯელობისა ეგრეთწოდებელი Wirklichkeitsanspruch, ან ტენდენცია განხორციელებისა, და თუ არის, კისენ და რისკენ შეიძლება პქონდეს ამ ტენდენციას თავისი მიმართება? აი ის ფოთვები, რომლებიც თვითსთავად იბადება. თუ სამართლის ყოველი ნორმა შეიცავს მსჯელობას „Sollsein“ – „უნდა იყოს“, ცხადია, რომ ობიექტი ამ მსჯელობისა არ არსებობს, ის მხოლოდ მომავალშია მოსალოდნებლი. ასე რომ, თვით „Sollsein“-ის მსჯელობაში, ის, რაც აუცილებელია, აუცილებლად უნდა განხორციელდეს. და თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ნათელია, რომ ამ მსჯელობაში არის მოცემული ერთგვარი Nötigung, იძულება, მოთხოვნა იმის განხორციელებისა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს: უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მასში როცემულია Wirklichkeitsanspruch. ეს აზრი მშვენივრად აქვს გამოთქმული Hartmann-ს: „და ეს პრეტენზია უძლური სურვილი კი არ არის, არამედ აქტიური, მოძრავი, მოქმედებითი პრინციპი. იგი არის ჯერარსის განხორციელება, თუ უშეალოდ სუბიექტის ნებისყოფაში არა, თვით ობიექტის ჯერარსობის ხასიათში მაინც, რომელსაც შეუძლიან განსაზღვროს ეს ნებისყოფა. მოკლედ რომ ვთქვათ, თვათ ჯერარსში, როგორც ასეთში, არის განხორციელების ტენდენცია“!

რას ნიშნავს ეს განხორციელების ტენდენცია? რა თქმა უნდა, ამ განხორციელების ტენდენციას არაფერი აქვს საერთო ნორმის რეალურ განხორციელებასთან. ნორმა, რომელიც რაღაცას მოითხოვს, შეიძლება ვერასდროს ვერ განხორციელდეს. სიციალურ-პოლიტიკურმა და ფსიქოლოგიურმა პირობებმა შეიძლება მოსაპას ნორმის განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაც უფრო შეუძლებლად ვთვლით ფსიქიურად ნორმის განხორციელებას, მით უფრო მეტად განვიცდით იმ აუცილებლობის ზეგავლენას, რომელიც ნორმაშია როცემული. რაც უფრო ინტენსიურად მიმართულია ნებისყოფა ნორმის უარყოფისაკენ, მით უფრო განვიცდით ამ უარყოფის აქტში იმის მოცემულობას, რის უარყოფაც ჩვენ გვხსერს. რაც უფრო სამართლიანად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომელიმე მოქმედი ნორმის უარყოფა. მით უფრო ვცდილობთ სამართლიანობის მიზანშეწონილობის მიხედვით დავამტკიცოთ სავალდებულო ნორმის უვარგისობა. რა აზრი ექნებოდა ბრძოლას სამართლის წინააღმდეგ, თუ ეს სამართლი სავალდებულოდ არ მიგვაჩნია? ისე, როგორც ყოველ აქტში აუცილებლად რაღაც უნდა იყოს მოცემული, სამართლის ფსიქიურად უარყოფაშიაც თავიდანვე არის მოცემული რაღაც, რაც უარყოფილ უნდა იქნეს. სამართლის უარყოფაში (ფსი-

<sup>1</sup> Und diese Forderung ist Kein machtloses schnen, sondern eine active Kraft, ein wegendes, schaffendes Prinzip. Es besteht die Tendenz zur wirklichwerdung des Seins sollenden nicht direkt im Willen des Subjekt-so doch im Sollenscharakter des Objekts selbst der diesen Willen bestimmen kann. Kurz es gibt am Seins sollenden als solehem immer schon die Tendenz der Ver wirklichung N. Hartmann. Logische und ontologische Wirklichkeit: Kantstudien. Bd. XX Heft. 4.

ქიურად) შეიძლება უარყოფილ იქნეს მხოლოდ ნორმა, სამართლის ნორმა, კანონი გორც ვიცით, არის მსჯელობა უცილებლობის შესახებ, რომელსაც უნდა სცენის განხორციელების ტენდენცია – Wirklichkeitsanspruch. მამასადამე, რაც უფრო უარყოფთ (ფსიქიურად) სამართლის ნორმას, მთე უფრო სრული უკიდენციით გაუვლინება მის სავალდებულო ბუნება. შეიძლება არსად ისე ცხრვლად არ განვიცილეთ ნორმის სავალდებულო ბუნებას, როგორც ამ შემთხვევაში. როცა ნორმის ასრულება არ გვინდა, არ გხერის.

განხორციელების ტენდენციის ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, არაფრთხოების საერთო ნორმის რეალურად განხორციელებასთან Wirklichkeitsanspruch, მაღალატანება, Nötigung, რასაც ჩვენსხე თვით ობიექტის სავალდებულო ხასიათი ანდების, თვით ნორმატიული მსჯელობისთვის დამახასიათებელ ბუნებაში მფლვნება. ნორმატიული მსჯელობის ელემენტთა დამოკიდებულებაში თავისთვავად აშკარავდება ახეთი ტენდენცია და მისწრაფება განხორციელებისკენ. ის განხორციელება კი, რომელზედაც ჩვეულებრივად დაბარაკობენ, ხულ სხვა რამ არის. თუ პირველი, კ. ი. Wirklichkeitsanspruch დამახასიათებელია სამართლის ნორმისთვის, მსჯელობისთვის „Sollsein“ – რეალური განხორციელება, ფსიქიური მისწრაფება განხორციელებისკენ წარმოადგენს სულ სხვა თავისებურ მოვლენათა რაგას. ნორმა შეიძლება ხორციელდებოდეს, ან არ ხორციელდებოდეს, მაგრამ ეს მომენტი ნორმისთვის სრულიად არ არის დამახასიათებელი. ნორმის განუხორციელებლობა სწორედ იმის შეუსრულებლობის ნიშნავს, რის შესრულებაც სამართლის ნორმას უცილებლად მიაჩნია, კ. ი. ნორმის განუხორციელებლობა თვით სამართლის ნორმის არსებობას გულისხმობს. აქედან კი ცხადია, რომ, თუ რეალური განხორციელება ან განუხორციელებლობა თვით ნორმას ვერც ერთი მხრით ვერ ახასიათებს, რეალურ განხორციელებისა და განუხორციელებლობის იმ ტენდენციას, რომელიც ნორმატიულ მსჯელობაში აშკარავდება, არაფრთხი საერთო ერთმანეთში არ შეიძლება ჰქონდეთ. განხორციელება ან განუხორციელებლობა ნორმისა თვით ნორმას გულისხმობს. ჩვენ ვერ ვიტყვით ნორმის შესახებ „ვერ განხორციელდა“, თუ ნორმა თავისთვავად არ უნდა განხორციელებულოყო. განა შეიძლება ახეთი დაპირისპირება ჩემს სურვილებს, ხებისყოფასა და ნორმის შინაარსს შორის, რომ ნორმის უარყოფისკენ მიმართულ ხებისყოფას წინ არ ელობებოდეს ზეგავლენა ნორმატიულ მსჯელობაში მოცემული უცილებლობისა? ეს ზეგავლენა ფიზიკურ-ფსიქიურ ზეგავლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ თვით უცილებლობის მსჯელობაში მოცემული მისწრაფება, მიმართება იმისაცნ, რაც უცილებელია.

თუ სამართლის ნორმას მართლაც ახეთი ბუნება ახასიათებს, საითქნ შეუძლია გაგვიჩნენას თვალთახედვის გეზი – Blickrichtung – ახეთმა ბუნებამ? ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ განმახორციელებლისკენ, კ. ი. იმისაცნ, ვისაც შეუძლია ნორმის ლოგიკურად აღიარება და ლოგიკურად აღიარებული ნორმის მიხედვით მოქმედება (მიუხედავად იმისა, რეალურად ის შესძლებს თუ არა მის განხორციელებას). თუ ჩვენ ახე დაგვამთ საკითხს, ცხადი გახდება, რომ ეს განმახორციელებელი თვით ნორმატიული შინაარსით ნაგულისხმევია, როგორც რადაც სავსებით დამთავრებული, განმახორციელებლისთვის ყველა დამახასიათებელი თვისებით აღჭურვილი. ახეთი ლოგიკური აღიარებისა და ლოგიკურად აღიარებულ ნორმისთან შეფარდებული დირექტულებითი აქტების შემდეგ ან, მოკლე, ნორმის განმახორციელებელი, მხოლოდ მოქმედი პიროვნება შეიძლება იყოს, და თუ სამართლის სუბიექტად შეიძლება მხოლოდ ის ჩაითვალოს, ვისაც შეუძლია

„ქონდეს უფლება“, ცხადია, რომ ასეთი სუბიექტი სწორედ მოქმედი პიროვნება უნდა იყოს.

„უფლების მქონებლობა“, უპირველეს ყოვლისა, იმის შეცნობას უნდა ნიშნავდეს, რაც მე რისმე ან ვისმე მიმართ უფლებას მანიჭებს. მაშასადამე, აქ შეცნობა ნორმის შეცნობას გულისხმობს. მაგრამ, თუ ამავე დროს იმასაც მივიღებოთ მხედველობაში, რომ სამართლის ნორმის შეცნობა აუცილებლად ნორმის ლოგიკურად არიარებას ნიშნავს, მაშინ თავისითავად ცხადი გახდება, რომ უფლების მქონე შეძლება მხოლოდ ის იყოს, ვისაც ლოგიკური აღიარების უნარი აქვს და ლოგიკურად აღიარებული ნორმის მიხედვით შეუძლია მოქმედება. იმ ლოგიკურ აღიარებას, რომელზედაც ჩვენ კლაპარაკობთ, საერთო არაფერი აქვს ბირლინგის შემოყვანებულ აღიარების თეორიასთან. ჩამდენადაც ნორმის შინაარსი ყოვლოვის, ცველაფრისგან დამოუკიდებლად თავისებური აგებულობით, ფენომენალური სტრუქტურით არის მოცემული, და ჩვენ ამ ნორმას ვითვისებთ, იმდენად რას ლოგიკურად ვაღიარებთ, რადგანაც ნორმის შევთისებაში ჩვენ ლოგიკურად ვიღებთ ნორმისთვის დამახასიათებელ ბუნებას. ამიტომაც, თუ ეგრეთწოდებული ფსიქიური აღიარების თეორიის წარმომადგენლების მოძღვრების მიხედვით გაუკებარი რჩება ის მომენტი, თუ როგორ ხდება, რომ სამართლის ნორმა მაშინაც სავალდებულოა, როცა მის წინააღმდეგ ამხედრებულია ნებისყოფა, ჩვენი დებულების მიხედვით ამ კითხვაზე სრულიად სწორი პასუხის გაცემა შეიძლება.

ეს მოკლე შესავალი ნათლად გვიჩვენებს, რომ ყოველი სამართლის ნორმა თავისთვად გულისხმობს პიროვნებას, როგორც ლოგიკური აღიარების, ისე შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ იურიდიული მეთოდის წარმომადგენლებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამართლის სუბიექტი არის მხოლოდ პოზიტიური სამართლის ქმნილება, რომ ის უბრალო სელოვნური კონსტრუქციაა. იურიდიული სუბიექტი, უპირველეს ყოვლისა, აქტიური, მოქმედი სუბიექტია; ის არის ლოგიკური აღიარებისა და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტი. მაშასადამე, სამართლის სუბიექტის ცნება გულისხმობს პიროვნებას, რომელიც სამართლისგან დამოუკიდებლად იქმნება და ყალიბდება.

მართალია, იურიდიული მეთოდის, იურიდიშმის წარმომადგენელთა სისტემაში სუბიექტი ზოგჯერ ამათუმიშ სახით ნაგულისხმევია როგორც მოქმედი, აქტიური პიროვნება, მაგალითად, როდესაც ლაპარაკობენ შეცდომაზე, დავიწყებაზე, შეორე პირის საშუალებით ნებისყოფის გამოცხადებაზე და სხვ., ცველა ამ შემთხვევაში სუბიექტს უყურებენ, როგორც სამართლის ნორმის შემმეცნებელ და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს. მაგრამ როგორც კი იურიდიული მეთოდის მომხრენი იწყებენ ლაპარაკეს უფლებაუნარიანობაზე, ქმედობაუნარიანობაზე და იურიდიულ ურთიერთობაზე, სუბიექტი ზემოაღნიშნული მნიშვნელობით სრულიად იკარგება. თუ იურიდიული სუბიექტი არის ერთ-ერთი მომენტი ნირმატიული სისტემისა, თუ სამართლის სუბიექტობა არის უნარი, რომელიც პოზიტიური სამართლით შეიძლება მიენიჭოს ხან ერთს, ხან მეორეს, ცხადია, რომ სამართლის სუბიექტობა ცველაზე უფრო ნაკლებ დამოკიდებული ყოფილა იმ პირის თვისებებზე, ვისაც პოზიტიური სამართლი სამართლის სუბიექტის თვისებასა და მნიშვნელობას აკუთვნებს. თუ ცველაფრი მხოლოდ პოზიტიური სამართლისგან არის დამოკიდებული, მაშინ თვით იმ გარემოებას, რომ ვიღაცას სამართლის სუბიექტობა ენიჭება, წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს შემთხვევით ხასიათი თავიდან აცილებული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ვაღიარებდით,

რომ რეალური, აქტიური პიროვნება, რომელსაც სამართლის სუბიექტის თვისება ენიჭება, თვით არის ისეთი ღირებულებითი მომენტების მატარებელი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მას სამართლის სუბიექტის მნიშვნელობა მიეკუთვნის. მართლაც, თუ სამართლის სუბიექტი, როგორც იურიდიული მეთოდის მომხრენი ფიქრობენ, ხელოვნური კონსტრუქციაა, მაშინ პიროვნების, როგორც წმინდა შემეცნებისა და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტის, მნიშვნელობა იმდენად მინიმალური ხდება, რომ გაუგებარია, რატომ მარტო პიროვნებას აღიარებენ იურიდიული მეთოდის წარმომადგენელნი სამართლის სუბიექტად. იურიდიული მეთოდისა და ნორმატიული მეთოდის მომხრეთა სისტემებში ცოცხალ ბუნებასა და ნორმატიულ რიგს შორის ისეთი უფსკრულია, რომ ამ ნორმატიულ რიგს სრულიად არ შეუძლია რაიმე კავშირი ჰქონდეს სინამდვილესთან, რეალობასთან. ამ მეთოდის წარმომადგენელთავის სამართლის სუბიექტობა იმდენად სუსტად არის დამოკიდებული მოქმედი პიროვნებისაგან და იმდენად არის დამოკიდებული ნორმატიული რიგისაგან, რომელსაც რეალურად არსებულთან, ნორმატივისტების აზრით, არაუკერძო აქვთ საერთო, რომ ნორმატივისტებისთვის და იურიდიული შეთვის მომხრებისთვის ბოლოს და ბოლოს სულ ერთი უნდა იყოს, რა იქნება აღიარებული სამართლის სუბიექტად — ადამიანი თუ სხვა რამ.

ნორმატიულ სისტემაში ყველაფერი ერთი კანონშეფარდებულობით, ერთსა რი მნიშვნელობით, თვითაშეარაობითა და სრული დამთავრებულობით არის მოცემული. აქ ყველაფერი ერთი-მეორით ისაზღვრება, ერთი-მეორისაგან გამომდინარეობს. მოკლედ, ნორმატიული სისტემა, ან პოზიტიური სამართლი ის მთლიან კოსმოსია, რომელსაც არავითარი დასაყრდნობი წერტილი სინამდვილეში არ მოეპოვება და დასაყრდნობ ცენტრს ის თვით ატარებს. საშუალო საუკუნის იურისტებიც ღოვმატიკოსები იყვნენ, მაგრამ მათი სამართლის სისტემის დასაყრდნობი ფუძე თვით სამართლის სისტემის გარეშე იყო. ეს იყო რწმუნა ღვთაებრივი ძალისა. ახალ იურიდიულ სისტემას ჰქონდა თავისი დასაყრდნობი ცენტრი — ხალხის ნებისყოფა. თანამედროვე ნორმატიულ სისტემას კი არავითარი დასაყრდნობი წერტილი არ მოეპოვება, ამიტომაც, ამ სფეროდან შეუძლებელია მიმართება — Blickrichtung — რეალობისკენ, ნორმატივისტის არ შეუძლია რეალობაში იგულისხმოს ისეთი რამ, რის თვისებისგანაც დამოკიდებული იყოს იურიდიული თვისებების მიღება. სხვანაირად არც შეიძლება, თუ მთელებულობაში მივიღები იმ განსხვავებას, რომელსაც ნორმატივისტები Stein-სა და Sollstein-ს შორის გულისხმობენ. ნორმატიული სისტემა — ეს Sollstein-ის კატეგორიაა, და ამიტომაც ას სისტემაში არსებულის (sein) საშუალებით არაუკერძო შეიძლება იყოს განხილული, დასაბუთებული და გამართლებული. ამის გამო ის, რასაც ჩვეულებრივ სინამდვილესა და ფიქციის უწერდებთ, ნორმატივისტების მიერ ერთისა და იმავე ლოდიკური მნიშვნელობით იაზროვნება, თუ ეს Sollstein-ის კატეგორია ასე დაშორებულია არსებულისაგან, თავისთვის ცხადია, რომ ნორმათა სისტემა განსაკურებული კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. აქედან კი ერთად-ერთი დასკვნა გამომდინარეობს: თუ იურისპურულენცია მეცნიერებაა სამართლის ნორმის შესახებ, და სამართლის სუბიექტი კი იურიდიული კვლევა-ძიების საფანია, ნორმატივისტებისათვის სამართლის სუბიექტი მხოლოდ ნორმას და ნორმათა სისტემას უნდა ნიშნავდეს. როგორც ვხედავთ, ასეთი სამართლის სუბიექტი არავითარ რეალურ სუბსტრატს არ შეიცავს, ის თავიდან ბოლომდე ხელოვნური კონსტრუქციაა, ის სურათია რომელსაც არც ერთი ნაწილი რეალური ქვეყნის არ შეეფარდება. ამიტომაც ნორმატივისტების სამართლის სუბიექტს არც შეუძლია იგულისხმოს სუ-

ჩვენის აზრით კი ამ ნორმატიულ სფეროსა და რეალობას ან უფლებრივ სიცარიელეს შორის მევს ოვით სამართლის წყარო – ეს არის ადამიანის უფლებრივი შემეცნება, ეს არის დასაყრდნობი ცენტრი თვით ნორმატიული სისტემისა და ამიტომაც ნორმატიული სისტემიდან შეიძლება იყოს *Blickrichtung* რეალობისკენ, სინამდვილისკენ. სადაც ნორმატიული მსჯელობა იმთავროვე ჩამოყალიბებულია, იქ ნაგულისხმევია, რომ ამ ნორმატიული შინაარსის განმახორციელებელი მხოლოდ ის არის, ვისი უფლებრივი შემეცნებითაც თვით ეს ნორმა შეიძლება ლოგიკურად აღიარებულ იქნეს. და თუ ასეთი სუბიექტის არსებობა ყოველთვის წარმოსადგენია, ცხადია, რომ თვით *Wirklichkeitsanspruch*-ში ნაგულისხმევი *Blickrichtung*, მოცემულია არა მარტო იმის მიმართ, რაც უნდა განხორციელდეს, არამედ იმის მიმართაც, ვინც განმახორციელებლად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც დავინახეთ, სუბიექტი იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვენ  
ცახე ვმსჯელობთ, ყალიბდება პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად.  
თქმა იმისა, რომ პოზიტიურ სამართალს შეუძლია შექმნას შესაძლებლობა მოქ-  
მედებისა, ან შესაძლებლობა თავისი განხორციელებისა, ეს დაახლოებით იგივე  
იქნებოდა, რომ გვეთქვა: ამა თუ იმ ხალხისა, სახელმწიფოსა, კლასისა ან წოდე-  
ბის ყოფნა ი სტორიული პროცესის სუბიექტად ამ ხალხის, სახელ-  
მწიფოსა, კლასისა ან წოდების კონსტიტუციის შედეგია. სამართლის ნორმას არ  
შეუძლია სიცოცხლის ან რაიმე ახალი თვისების შექმნა. პიროვნება, როგორც  
შესაძლებლობა ლოგიკური აღიარებისა, უფლებრივი შემცნებისა და შესაძლებ-  
ლობა გარკვეული აქტების მოხდენისა, სამართლის ნორმების დამოუკიდებლად  
იქნება. ამ სფეროში სამართლის ნორმას არ შეუძლია რაიმე ახალი შექმნას ან  
რისიმე ზრდა დააჩქაროს. ყველაფერი ამ სფეროში თავისებური რითმით იზრდე-  
ბა და ყალიბდება. ხანგრძლივობა გამოაშვარავებული შესაძლებლობისა არ არის  
დამოუკიდებული სამართლის ნორმისაგან. ის, რაც ამ სფეროში უნდა შეიქმნეს, შე-  
იქმნება სამართლის ნორმების ჩაურეკვლად. რომის სამართალი ერთ დროს მონას  
არ სცნობდა სამართლის სუბიექტად, და განა მაშინ, როდესაც რომის სამართალ-  
მა მონა ასეთ სუბიექტად აღიარა, მან შექმნა განსაკუთრებული თვისებანი? სრუ-  
ლიადაც არა. მოხების სამართლის სუბიექტად აღიარებას წინ უსწრებდა აქტი  
მონის პიროვნებად (Personality) ცნობა.<sup>2</sup> მაგრამ რას ნიშნავს ის, რომ ჩვენ ვიღაც  
პიროვნებად ვცანით? სხვას არაფერს, თუ არა იმას, რომ ჩვენ ვაღიარეთ უკვე მო-  
კვეთული შესაძლებლობა დირექტულებითი აქტების შესრულებისა.

სამართლის ნორმას შეუძლია სცნოს, ან არ სცნოს, აღიაროს, ან არ აღიაროს, იგულისხმოს, ან არ იგულისხმოს პიროვნება, მაგრამ სამართლის ნორმას შეუძლია შექმნას, ან არ შექმნას, წარმოშვას, ან გარდაქმნას ეს პიროვნება, როგორც შესაძლებელობა განსაკუთრებული დირებულებით აქტებისა. ასეთი მნიშვნელობით ყოველ სამართლის სუბიექტში ნაგულისხმევა პიროვნება, რო-

<sup>2</sup> ახალ კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოძრაობას წარმოადგენს ის, რომ აღმიანი და პიროვნება ერთსა და იმასვე ნიშანას. მაგრამ ისე არ ყოფილა უკველთვის, მაგალითად, არ-ისტორიულის აზრით, მონება, ოუმცა აღმიანები იყვნენ, მაგრამ პიროვნებად არ ყოფილონ ცნო-ბილი. ამიტომაც, თუ ჩვენ შევიძლია შეკვეთით მივალიოდი იშინა, რომ ყოველი აღმიანი და პირო-ვნები უყოფილ სამართლის სუბიექტი, ჩვენ კერტვერთ შემოხვევას უკა დაისახელებთ, რომ აღმი-ანი პიროვნებად ნაგებლისხმევი სამართლის სუბიექტი არ ყოფილიყო.

გორც შესაძლებლობა ღოვგიკური აღიარებისა და ნორმის განხორციელებული  
ეს არის ძირითადი მომენტი თვით სამართლის სუბიექტის ცნებისადაც უასეთი  
სამართლის სუბიექტის იდეა არც შეიძლება შეიქმნას.

ასეთ პიროვნებად ყოფნა, როგორც კოქვით, სამართლისაგან არ არის და-  
მოკიდებული. მეორეს მხრივ, პიროვნებად „რაღაც“ თავიდანვე კი არ არხებოს,  
არამედ ის პიროვნებად ხდება და ყალიბდება. სამართლის ნორმას შეუძლია  
მხოლოდ ხელოვნურიად აღიაროს მომენტი, როდესაც ის პირს უკვე ჩამოყალიბე-  
ბულად გულისხმობს, სხვანაირად რომ კოქვათ, გულისხმობს, რომ განსაზღვრუ-  
ლი მომენტის შემდეგ, რაღაც, როგორც პიროვნება, ე. ი. როგორც შესაძლებლო-  
ბა დოგიკური აღიარებისა და შესაძლებლობა გარკვეული აქტებისა, თავისთა-  
ვად ფაქტად იქცევა, თუნდაც ამ „ფაქტ“-ის ფაქტიურობის დამტკიცების არავის  
ცდილობებს. როდესაც სამართლის ნორმა რაღაცას უკვე პიროვნებად გულის-  
ხმობს, ეს რაღაც ხდება სუბიექტი იურიდიული ღირგბულებითი აქტებისა, და  
ამ მომენტიდან არის აღიარებული შესაძლებლობად იურიდიული აქტებისა.

ნამდვილი პიროვნება (Person) შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ დროზე უფ-  
რო აღრე ან გვიან, კიდრე ეს ნაგულისხმევია სამართლის ნორმით. ამ ვადამდე  
ვისმე შეუძლია იყოს სწორედ იმ აქტების სუბიექტი, რაც დამახასიათებელია  
ნამდვილი იურიდიული სუბიექტისათვის.

მოტივაციების შედეგების გარეგნული გამოსახულების მხრივ ისინი შეიძ-  
ლება სავსებით იდენტური იყვნენ, მაგალითად, აქტები მორალური ვუნდერკინ-  
დებისა და პიროვნებად ნაგულისხმევი ადამიანისა. მაგრამ ერთ შემთხვევაში  
სამართლის ნორმა ამ აქტებს სჭვრეტს, როგორც მისთვის სავსებით ინდიფე-  
რენტულ მოვლენებს და, მეორეს მხრით, მათ იურიდიულ ღირგბულებით აქტე-  
ბად სცნობს. რამდენად სწორად იქცერს სამართლის ნორმა იმ მომენტს, როდე-  
საც ადამიანი პიროვნებად იქცევა, ეს სულ სხვა საკითხია.

ჩვენთვის მნიშვნელობა მხოლოდ იმ გარემოების აქვს, რომ ყოველი ნორმა  
იმდენად, რამდენადც ის განმახორციელებულზე მიგვითოთებს, გულისხმობს  
პიროვნებას, ჩვენს მიერ აღებული მნიშვნელობით, ე. ი. პიროვნებას, როგორც  
შესაძლებლობას ნორმის აღიარებისა და ამავე დროს, შესაძლებლობას ნორმას-  
თან შეფარდებული აქტებისას. თუ ასეთი სუბსტრატი ყოველთვის მოცემულია  
სამართლის სუბიექტის ცხებაში, ჩვენ შეგვიძლია არ შეუშინდეთ პარადოქსს  
და კოქვათ, რომ სამართლის ყოველ სუბიექტში თავიდანვე არის მოცემული  
ქმედობაუნარიანობის იდეა, ვინაიდნ, რას ნიშნავს შესაძლებლობა უფლებრივ  
ნორმასთან შეთანხმებული ქმედებისა, თუ არა ქმედობაუნარიანობას?

ადამიანის მარტო ადამიანად ყოფნა, ე. ი. ანთრიპოლოგიურ-ბიოლოგიურ  
მოვლენად ყოფნა, სრულებითაც არ არის საქმიანისა იმისათვის, რომ ის სამარ-  
თლის სუბიექტი იყოს. ადამიანი უნდა ამაღლდეს პიროვნებამდე. ადამიანი პი-  
როვნებად უნდა გახდეს, რაღაცან პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, არის შესაძ-  
ლებლობა ღირგბულებითი-ეთიური და იურიდიული აქტებისა, რაც თავისთავად  
წმინდა ხებისყოფას, წმინდა აზროვნების „მე“-ს გულისხმობს, დღეს, რა თქმა  
უნდა, ჩვენ ვერ წარმოგვიდებია ადამიანი, რომელიც პიროვნებად არ მიგვაჩნ-  
დეს, მაგრამ ვიცით მოელი ეპოქები, როდესაც ადამიანი პიროვნებად არ ითვლე-  
ბოდა. მკელ საბერძნებოსა და რომში მონები ადამიანებად მიაჩნდათ, მაგრამ პი-  
როვნებად მათ არავის სთვლიდა, აი ამიტომ, მონა იმ პერიოდში არც სამართლის  
სუბიექტად იყო აღიარებული. მაშასადამე, შეგვიძლია კოქვათ, რომ ყოველი  
ადამიანი ისტორიულად არ ყოფილა სამართლის სუბიექტი. მაგრამ ჩვენ ვერ

დავასახელებო, რომ სამართლის სუბიექტად არ ყოფილიყოს აღიარებული ადა-  
მანი, რომელიც კი პიროვნებად იგულისხმებოდა. თუ სამართლი პიროვნებას  
ახასიათებს, როგორც შესაძლებლობას ღირებულებითი იურიდიული ქრების  
მოხდინისას, თავისთვალი ნაორდნა, რომ პიროვნებაში ყოველთვის ქმედობაუნა-  
რიანობაც იგულისხმება. რა ხახით იგულისხმება აქ ქმედობაუნარიანობა?  
არის ეს წმინდა იურიდიული ქმედობაუნარიანობა, თუ ეს ვიტალური ქმედობა-  
უნარიანობა? ჩვენ ვუიქრობთ, რომ აქ სწორედ პირველი ბუნების ქმედობაუნა-  
რიანობა გვაქნს, სხვაგარ ქმედობაუნარიანობაზე არც შეიძლება ლაპარაკი.  
ასეთი დებულება ბევრს შეიძლება დიდ პარადოქსალურ დებულებად მოექვენოს.  
ამიტომ საჭიროა სათანადო განმარტება. რა არის პიროვნება თავისთვალ?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს არის X ღირებულებითი შესაძლო აქტებისა. რას  
უნდა ნიშნავდეს იურიდიული სუბიექტი, თუ არა მა პიროვნების უკვე განსაზ-  
ღვრულ შესაძლებლობას, სახელმობრ, იურიდიული ღირებულებითი აქტების  
მოხდენის შესაძლებლობას, რაც თავისთვალ ნორმის ლოგიკურად აღიარებას  
გულისხმობს. და ის ქმედობაუნარიანობა, რომელიც პიროვნებას თავიდანვე ახა-  
სიათებს, არის არა ვიტალური, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ქმედობაუნარია-  
ნობა, არამედ არის მხოლოდ შესაძლებლობა იმ ღირებულებითი აქტების გან-  
ხორციელებისა, რაც მოცემულია იმ ნორმაში, რომელიც პიროვნების მიერ შე-  
ცნობილად იგულისხმება. როგორც ვხედავთ, ქმედობაუნარიანობა იმ მნიშვნე-  
ლობით სუბიექტის ისტორიულად კი არ ემატება, არამედ ის ძირითადი მომენ-  
ტია სამართლის სუბიექტის ცნებისა. თუ ნორმას მხოლოდ ასეთი პიროვნებისა-  
ენ შეიძლება ჰერიდეს მიმართება, „უფლების მქონე“ მხოლოდ ასეთი პიროვ-  
ნება შეიძლება იყოს. მაშასადამე, სამართლის ნორმა მარტო მასთან შეფარდე-  
სულ აქტებს კი არ სცნობს ღირებულად, არამედ გულისხმობს პიროვნებას, რო-  
გორც სუბიექტს შესაძლო ღირებულებითი აქტებისა. ასე რომ, თვით ეს ღი-  
რებულება სუბიექტისა ყოველთვის უფრო ადრინდედლია, ვიდრე მისივე ღირე-  
ბულებითი აქტები. ამიტომ შეცდომაა, როდესაც აქტსა და პიროვნებას ორ სავ-  
სებით იდენტურ ღირებულებად აღიარებენ. ასეთი დებულების დასაბუთება შე-  
უძლებელია, რადგანაც სუბიექტი და აქტი ნორმის მიერ იგულისხმება, როგორც  
ორი ერთმანეთისაგან დამიუკიდებელი ღირებულება. ნორმა ღირებულებად სო-  
ვლის არა მხოლოდ აქტს, არამედ პიროვნებასაც, როგორც შესაძლო ღირებულე-  
ბითი აქტების სუბიექტს.

თუ ღირებულების მატარებლად მხოლოდ აქტებს ჩავთვლით, მაშინ პიროვ-  
ნება თავისთვალ მოსწყდება ღირებულებათა იერარქიულ რიგს. ხოლო თუ, ამის  
საწინააღმდეგოდ, პიროვნებას ვაღიარებთ როგორც ღირებულებას, მაშინ ცხადი  
აქნება, რომ პიროვნება ღირებულებითი მოვლენაა, როგორც მოქმედი, აქტიუ-  
რი „მე“. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მოქმედი, წმინდა ნებისკო-  
ფის შეონე სუბიექტი არ შეიძლება იმ აქტების მიხედვით იქნეს დაფასებული,  
რომელიც ყოველთვის ისტორიაა, რადგან აქტი ყოველთვის განხორციელებას  
ნიშნავს. მავრან თუ პიროვნება სხვა რამეს ნიშნავს და არა აქტებს, რომელშიაც  
ეს პიროვნება ისტორიულად აქტიავდება, ცხადია, რომ პიროვნების მუდმივი  
ღირებულება მდგრადია არა უკვე მომხდარი აქტების ღირებულებაში, არა-  
მედ იმაში, რომ ის ყოველთვის ნაგულისხმევია, როგორც სუბიექტი შესაძლო  
ღირებულებითი აქტებისა. ღირებულებითი აქტი არის შემდგომი მოვლენა. ასე-  
თი აქტი აუცილებლად ნორმას გულისხმობს და პიროვნება კი, როგორც სუბი-  
ექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, ყოველთვის იგულისხმება ნორმის

მიერ. ესე იგი პიროვნება დირებულებად ყოველთვის (ნორმის მიერ) აქტზე უფრო ადრე უნდა იქნეს მოცემული, რათა ნორმას პქონდეს მისკვნ კრიტიკულ ნორმის მიერ პიროვნება დირებულებად იგულისხმება – როგორც აქტზე შესაძლებლობაა აღიარებული და ეს შესაძლებლობა კი, როგორც ვთქვათ, არის შესაძლებლობა უფლებრივი აღიარებისა და შესაძლებლობა დირებულებითი აქტების მოხდენისა. რა დასკვნა შეგვიძლია მივიღოთ აქედან, თუ არა ის, რომ პიროვნება ნორმის მიერ დირებულად აღიარებულია დირებულებითი აქტების მოხდენამდე, მის დირებულებას ჩვენ ვჭრეტო არა უკვე განხორციელებულ უფლებრივ ურთიერთობაში, არამედ ეს პიროვნება ნორმის მიერ კონკრეტულ განხორციელებამდე იგულისხმება იმ მნიშვნელობით, რაც ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ, ამ აქტები მხოლოდ, ე. ი. უფლებრივი ურთიერთობა და მხოლოდ ამ აქტების დაფისხება, – და მაშინ პიროვნება აღარსად ჩანს, ანდა, თუ სამართლისათვის საერთოდ არსებობს პრობლემა პიროვნების შესახებ, ამ პიროვნების მნიშვნელობა აღიარებულ უნდა იქნეს კონკრეტული ნორმის მიერ გათვალისწინებული აქტების დამოუკიდებლად, ე. ი. სუბიექტი აღიარებულ უნდა იქნეს არა ერთი რომელიმე კონკრეტული ნორმის, არამედ საერთოდ ყოველი ნორმის განხორციელების მუდმივ შესაძლებლობად, მხოლოდ ასეთ პიროვნებისადმი შეიძლება პქონდეს ნორმის მიმართება, ვინაიდან განხორციელების ტენდენციას, რომელიც ნორმის ფენომენოლოგიურ სტრუქტურაში ამკარავდება, არ შეუძლია პქონდეს მიმართება სხვა რამისადმი, თუ არა მისი განხორციელების შესაძლებლობისადმი. კელ ზენის აზრით, მაგალითად, სუბიექტი არის ის, კინც ვალდებულია, ჩვენის აზრით კი ვალდებული შეიძლება იყოს მხოლოდ სუბიექტი.

კველაზე უფრო ნათლად განსხვავებას აქტსა (მოქმედებასა) და პიროვნებას შორის, როგორც ორ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დირებულებით მომენტს შორის ჩვენ ვხედვთ იმ ნორმატიულ მსჯელიაში, რომელ შიაც ერთგვარი მოქმედება, აქტი – ნეგატიურ დირებულებად არის აღიარებული. ასეთ ნორმატიულ მსჯელობაში სუბიექტი ყოველთვის ცნობილია პოზიტიურ დირებულებად, ხოლო აქტი ნორმის მიერ ნეგატიურ დირებულებად ითვლება. მაგალითად, როდესაც იქმნება ნორმა, რომელსაც გათვალისწინებული აქტს სასჯელიც, ამ ნორმის მიერ პიროვნება აუცილებლად იგულისხმება; როგორც სუბიექტი შესაძლო დირებულებითი აქტებისა, ვინაიდან სასჯელის განხორციელება თვით ნორმის განხორციელებას ნიშნავს. შაშიადამე, არა მარტო მაშინ, როდესაც ნორმა დადგით მომენტს შეიცავს. როდესაც ნორმა აქტს გმობს, ე. ი. მას ნეგატიურ დირებულებად აღიარებს, სუბიექტი ნორმის მიერ აუცილებლად იგულისხმება, როგორც დირებულებით მომენტი, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ის გათვალისწინებულია ნორმის განმახორციელებელ სუბიექტად, ასე რომ, თუ სამართლის ნორმა გულისხმობს პიროვნებას, როგორც დირებულებას – ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელ მომენტად იგი ყოველთვის ქმედობაუნარიანობას სთვლის, რაც თავისთვავად იურიდიული დირებულებითი აქტების (მოქმედების) მოხდენის შესაძლებლობაა.

ქმედობაუნარიანობა = ერთ-ერთი მთავარი მომენტია პიროვნებისა. ეს ქმედობაუნარიანობა არის შესაძლებლობა ნორმის განხორციელებისა, რადგანაც ნორმისათვის ამ შემთხვევაში ლოგიკურად განმახორციელებული შეიძლება მისი შინაარსის განმახორციელებული იყოს. და თუ ქმედობაუნარიანობაში ტრადიციული იურისპრუდენციის მომხრენა გულისხმობები „ნებისმიერის სიძ-

წიფეს", „პასუხისმგებლობას", „მომწიფებულ აზროვნებას" და, მეორეს მხრით, ქმედობაუნარიანობა ამ თვისებათაგან არის დამოკიდებული, ღოგიერებული მათ სხვა არაფერი რჩებათ, გარდა იმისა, რომ აღიარონ, რომ „ნებისყოფიშ მწიფე", „უფლებრივი აღიარების უნარიანობა" სამართლის ნორმის ქმნილებაა და თუ ზემოაღნიშნულ მომენტებს სამართლის ნორმის ქმნილებად ვერ აღიარებენ, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ ქმედობაუნარიანობა თავიდანვე იგულისხმება იქ, სადაც არის „მომწიფებულ ნუისყოფა", „შესაძლებლობა იუ ღაული წმინდა აღიარებისა", „ღოგიერი ცნობისა" და სხვ. თუ საკითხს ასე მიუვადეს ბით და მასთან ერთად მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველა ეს შესაძლებლობა არის პიროვნების დამახასიათებელი მომენტები, მაშინ, იქ, სადაც პირი ნაგულისხმევია სამართლის მიერ, ნაგულისხმევია აგრეთვე პირისათვის დამახასიათებელი მომენტები და, მათ შორის, განხორციელების შესაძლებლობაც ანუ ქმედობაუნარიანობა. აქ არ შეიძლება იმ ტრადიციული მოსაზრების მოყვანა, რომ იურიდიულ ქმედობაუნარიანობასა და ფიზიკურ-ფიქოლოგიურ ქმედობაუნარიანობას შორის საერთო არაფერია. ამ ტრადიციულ შეხედულებას ყველა იცნობს. ღოგიერად სამართლის ნორმაში, მსჯელობაში „უნდა იყოს" არ შეძლება იქნეს მოცემული მიმართება ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიურ-ემციონალურ შესაძლებლობისაკენ. სამართლის ნორმაში შეიძლება იყოს მიმართება მხოლოდ იმ შესაძლებლობისაკენ, რომლითაც თვით ნორმა უნდა განხორციელდეს. თუ ჩვენ ნორმის შინაარსს მიზნად ვაღიარებთ, მაშინ განმახორციელებლის შესაძლებლობა მხოლოდ საშუალებად იქნება აღიარებული, ვინაიდან განხორციელების იდეა ყოველთვის საშუალების ცნებაშია მოცემული და საშუალებას კი ყოველთვის მიზნის ბეჭედი აზის. თვით მიზანი არის მოცემული ეიდეტიური მიმართება რადაცასაგენ. როგორც საშუალებისაკენ, შესაძლებლობისაკენ. ამიტომაც უფლებრივი ნორმის მიერ ნაგულისხმევი განმახორციელებელი, ანუ განხორციელების შესაძლებლობა, არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა ნორმის შინაარსის განხორციელებისა. ასე რომ, იმდენად, რამდენადაც სუბიექტი ჩვენ სწორედ ნორმის განმახორციელებლად გვევავს წარმოდგენილი და სამართლის სუბიექტის სუბსტრატი ყოველთვის პირია, იურიდიული ნორმის მიერ ნაგულისხმევ სუბიექტში გველთვის ნაგულისხმევია ქმედობაუნარიანობა ნამდვილი იურიდიული მნიშვნელობით.

ვინაიდან, ვიმეორებთ, იქ, სადაც ყალიბდება მსჯელობა სამართლის შესახებ, შეიძლება იქნეს ნააზროვნები მხოლოდ შესაძლებლობა ამ ნორმის შინაარსის განხორციელებისა. სხვაგვარ შესაძლებლობას ის ვერც იგულისხმების. თვით ამ მსჯელობის სფეროში არც შეიძლება იქნეს მოცემული იდეა სხვა რაიმე შესაძლებლობისა, თუ არა იდეა თვით ნორმის შინაარსის განხორციელებისა და განმახორციელებლისა, ე. ი. იდეა ამ შინაარსის განხორციელების შესაძლებლობისა. ამრიგად, სამართლი სამართლის სუბიექტს გულისხმობს. ამ მნიშვნელობით არის სუბიექტი მოცემული ყოველი ნორმატიული ხასიათის მსჯელობის. იდეა ასეთი სუბიექტისა სამართლის ნორმას ისტორიულად კი არ ემის, არამედ ის ყოველთვის იგულისხმება ნორმის მიერ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სუბიექტის იდეა პიროვნების გულისხმობს. როგორც ვიცით, ნაყოფი ემბრიონულ მდგომარეობაში, მცირეწლოვანი და სხვ., ჩვეულებრივად სამართლის სუბიექტებად ითვლებიან. როგორ შევუთანხმოთ ეს დებულება ჩვენს შეხედულებას?

სამართლის ნორმაში, როგორც ვთქვით, ყოველთვის ნაგულისხმევია სუბიექ-

ტი განსაკუთრებული ღირებულებითი აქტებისა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ სუბიექტი ასეთი ღირებულებითი აქტების სუბიექტად არის აღიარებული, სუბიექტი ზოგორც ღირებულება, როგორც პოზიტური ღირებულება, აშენებს სამართლის სუბიექტში ნავთლისხმევი პირი ყოველთვის მოცემულია, როგორც ღირებულება, არ არსებობა ასეთი პოზიტური ღირებულებისა ნეგატიურ ღირებულებად უნდა მივჩინოთ. და თუ სამართლის სუბიექტი სწორედ იმიტომ არის ღირებულება, რომ მასში ღირებულებითი აქტების ჯ პიროვნება გვაკვს წარმოდგენილი, ცხადია, რომ თვით სამართლის იდეას მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია ღირებულებად არ ვაღიაროთ რაღაც, რაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელ პიროვნებად უნდა გახდეს. თუ რაიმე კავშირით იდეა პირისა სადმე ებძის ადამიანს, ადამიანი თვითი ევოლუციის ყოველ საფეხურზე ღირებულებად უნდა იქნეს აღიარებული. მართლაც, რას ნიშნავს შესაძლებლობა პიროვნებად გახდომისა? ყოველთვის, როდესაც ჩვენ რაიმე მოვლენის შესაძლებლობაზე კლაპარაკობთ, თვით მსჯელობაში შესაძლებლობის შესახებ, მოცემულია იდეა იმისა, რაც შესაძლებელია. მაგალითად, თუ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია რაიმე აქტის განხორციელება, თვით იდეა ამ აქტისა მოცემულია მსჯელობაში შესაძლებლობის შესახებ. რაკი ვისმე აღიარებთ, როგორც შესაძლებლობას პიროვნებად გახდომისას, ამ ვისმები ყოველთვის ვალიარებთ იმ ღირებულებითი მომენტების შესაძლებლობას, რაც დამახასიათებელია ჩამოყალიბებული პიროვნებისათვის. მცირეწლოვანი ბავშვი და ის, რომელიც ჯერ კიდევ ემბრიონალურ მდგომარეობაშია, ნორმის მიხედვით, ლიგა-კურად ღირებულებად არის აღიარებული, მხოლოდ არა როგორც ნამდვილი სუბიექტი ღირებულებითი აქტებისა, არამედ როგორც შესაძლებლობა პიროვნებად გახდომისა. ამ სახით აღიარების გამო მცირეწლოვანი ან ნაყოფი არის რაღაც, რომლის მიმართაც ყველა შეიძლება მოვალე იყოს შესრულოს ის, რას შესრულებაც სამართლის სუბიექტების მიმართ ევალება ყველას. ხოლო თვით ეს რაღაც შეუძლებელია აღიარებულ იქნეს, როგორც შემსრულებელი იურიდიული ღირებულებითი აქტებისა.

თუ ჩვენ სამართალს მხოლოდ დაკუპირისპირეთ სუბიექტი განსაკუთრებული მნიშვნელობით, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც პიროვნებას არ წარმოადგენს, ჩვენ უცილებლად უფლებრივ სიცარიელეში უნდა გადაგვეტია. სრულებითაც არა! იმით, რომ ჩვენ ზოგიერთ რასმე პერსონალური ღირსება ავჭყარეთ, ეს რამე სრულებითაც უფლებრივი სტიქიიდან არ გამოგვითიშავს. ჩვენ აღნიშნეთ მხოლოდ ის, რომ სამართლის ნორმას სუბიექტი შეუძლია იგულისხმოს მარტივდენ განსაკუთრებული მნიშვნელობით. რა თქმა უნდა, შეიძლება გვითხრან, რომ თუ ასეთი კონსტრუქცია მივიღეთ, მაშინ უნდა შეიცვალოს მთელი სისტემა რეალური ურთიერთობისათვის, მაგრამ ეს ნაჩერები დასკვნა იქნება. ჩვენი შეხედულების თანახმად, მთელი სისტემა უფლებრივი ცხოვრებისა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ურთიერთობა სუბიექტებისა ჩვენს მიერ აღებული მნიშვნელობით, ე. ი. სუბიექტები მხოლოდ ნორმების განმახორციელებულნი არიან და როგორც განმახორციელებელი, ისინი ერთგვარ ურთიერთობაში იმყოფებიან, მაგრამ, ამას გარდა, ეს სუბიექტები ერთგვარ ურთიერთ დამოკიდებულებაში არიან იმ სხვა ღირებულებათა მიმართ, რაც ნორმის მიერ აღიარებულია. ასე რომ, მთელი სისტემა უფლებრივი ცხოვრებისა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ურთიერთობა სუბიექტთა შორის. ურთიერთობა არ არის მხოლოდ შედეგი ნორმატიული სისტემის განხორციელებისა და ნორმატიულ სისტემაში, როგორც

კონტაქტის გვაქეს ნორმები, რომლის მიერ ღირებულებად არის ცნობილი ის, რა შეიძლება პიროვნებად გახდეს.

მართლაც, რომ ავიღოთ სახელმწიფო, ის ხომ, უპირველეს ყოვლისა, ერთ განსაკუთრებული შინაარსის ნორმების სისტემას ნიშნავს. რა შეუძლია სახელმწიფოს იგულისხმოს თავის ნამდვილ სუბიექტებად? ჩვენ ვიცით, რომ, მაგალითად, რაიმე ერთეულის სუბიექტად ყოფნა იმავე დროს. აუცილებლად ამ ერთეულის წევრობას ნიშნავს. ჩვენ არ შევიძლოთ, ჩვენი თავი რაიმე ორგანიზაციისა, კორპორაციისა ან ინსტიტუტის სუბიექტად წარმოვიდგინოთ, თუ არა როგორც ამ ინსტიტუტის წევრი. რას ნიშნავს ეს წევრობა? რა თქმა უნდა, ჟველაზე ნაკლებად ფიზიკურ ადამიანობას, როგორც ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიურ-პარტიკულარულ მოვლენას. წევრობა ან სუბიექტობა აუცილებლად მთლიანობისადმი მიკუვნებას კულისხმობს. აქ დაძლებულია პარტიკულარიზმი ადამიანისა, ვინაიდან მთლიანობისადმი მიკუთვნებით ის სბლევს თავის განცალკევებას, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავის პარტიკულარულ ყოფას. მაგრამ რას ნიშნავს მთლიანობის მიერ ნაგულისხმევ სუბიექტად ყოფნა, თუ არა იმას, რომ ჩემი არსებით მე რადაც იხეას ვახორციელებ, ე. ი. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ მე ფუნქცია ვარ და, როგორც ფუნქცია, ყოველთვის განსაკუთრებულ შესაძლო ღირებულებით აქტების ცენტრი ვარ. აქედან თავისთვად ნათელია, რომ რაიმე კორპორაციაში, ან ინსტიტუტში იმდენად, რამდენადაც თავს მის წევრად ვთვლი, მე განვიცდი არა ჩემს გათლობიურ-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ იმ შესაძლებლობას, რომლითაც მე ამ კორპორაციის ან მთლიანობის ძირითად იდეის ნაწილობრივ პრაქტიკულად ვახორციელებ. აი ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველ ინსტიტუტში, სულ ერთია როგორიც უნდა იყოს მისი ბუნება, თუ ეს ინსტიტუტი გულისხმობს სუბიექტებს, წევრებს, ეს სუბიექტები აუცილებლად იგულისხმებია, ან, როგორც ინსტიტუტის ძირითადი იდეის განმახორციელებელნი. ამ მხრით, თუ სახელმწიფოს ავიღებთ, როგორც სამართლის სისტემას, ცხადია, რომ ამ სამართლის სისტემას შეუძლია თავის წევრებად, სუბიექტებად მხოლოდ თავისი განმახორციელებელი იგულისხმონ. სხვანაირად ეს სისტემა სუბიექტებს, რომლებიც ამ შემთხვევაში წევრებია ამ სისტემისა, ვერ გადაებმება. მაგრამ, როგორც ვთქვით, სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, სამართლის სისტემას ნიშნავს და თუ ეს სისტემა ვისმე წევრად ან თავის სუბიექტად გულისხმობს, თვით ეს სუბიექტი ამ სისტემისათვის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც სისტემის განმახორციელებელი. ჩვენ აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთ შეხედულებას შეუძლია დაბადის ერთგვარი გაუგებობა. რაგი ჩვენ სახელმწიფოს მიერ ნაგულისხმევ სუბიექტად მხოლოდ სისტემის, ნორმების განმახორციელებულს გვულისხმობით, ეს კიდევ სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ამ უფლებრივ სისტემას არ ჰქონდეს აღიარებული, ან არ შეეძლოს აღიაროს ის, რაც არაპიროვნებას წარმოადგენს. ჩვენ იათელყვავით, რომ ნაყოფი, ემბრიონალურ მდგომარეობაში პიროვნება არ არის, რაშასადამე ის არც სუბიექტია. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ ემბრიონის ბედი უფლებრივ სიცარიელეში მიმდინარეობდეს, ეს ემბრიონი სამართლის მიერ აღიარებული ღირებულებაა და სამართლის ნორმების მთელი რიგის განმარტივებით ჩვენ ამ ღირებულებისათვის ვმოქმედდეთ. ჩვენ კიდევ უნდა მოვიყვანოთ ერთი მოსახრება, რომელსაც შეიძლება უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდეს უფლებრივი სახელმწიფოს დასაბუთებისათვის.

თუ ვაღიარებთ, რომ რისამე სუბიექტს ყოველთვის თან ხდებს განცდა წევრობისა, ცხადია, რომ თვით ეს სუბიექტი თავის თვეს ყოველთვის ფუნქციად გრძნობს. ფუნქციად თავის წარმოდგენა კი მთლიანობის ლოგიკურად პლასტიკურად ჩამოვიდგინოთ. თუ წინდაწინვე ლოგიკურად არ ვაღიარებთ იმას, რისთვისაც მე ფუნქციონურად ვხორციელდები. წევრობის განცდაში, იმისდამიუხედავად – არის ეს წევრობისადგომი მდგრადითი, თუ ჩემი ხებისყოფის წინაღმდეგ, მე ყოველთვის ვაღიარები იმას, რის წევრიც ვარ. და როგორ წ ნევა ს. ა ც უნდა ვგრძნობდა იმის მხრით, რის წევრადაც ჩვენი თვე გვაქვს წარმოდგენილი, არასოდეს ამ წევას არ განვიცდით, როგორც უბრალო მექანიკური ძალის წევას, ვინაიდან წმინდა ძალის წევის განცდაში ყოველთვის არის ლოგიკური უარყოფა ამ ძალისა. ხოლო როდესაც მთლიანობის წევას განვიცდით, ის უბრალო ძალად არასოდეს არ მიგარჩნა, რაღანაც ჩემი წევრობის იდეაში მთლიანობა თვითიანვე ლოგიკურად არის აღიარებული.

როგორც ვიცით, სამართლის სუბიექტად აღიარებენ არა მარტო ადამიანს, რომელშიაც პიროვნებას გულისხმობენ, არამედ ხმირად ასეთ სუბიექტად მასჩნიათ კოლექტივიც. რა სახით შეიძლება კოლექტივი აღიარებულ იქნეს სამართლის სუბიექტად, თუ სუბიექტი, როგორც ვოჭვით, ნიშნავს X-ს უფლებრივი აღიარებისას და X-ს ღირებულებით იქტებისას. რომ კოლექტივი შეიძლება იყოს X ღირებულებითი აქტებისა, ეს აღვილად წარმოსადგენია, მაგრამ რა სახით და მნიშვნელობით შეუძლია კოლექტივს სუბიექტისათვის დამახასიათებელი პირველი მომენტის დაკავყოფილება? ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ცდილობს კოლექტივში განსაკუთრებული თავისებური, ემპირიული, რეალური ხებისყოფის აღმოჩენას, ფიზიკური პიროვნება აღმიანის; აღმიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს კი ხებისყოფა წარმოადგენს და რაღანაც იურიდიული პირი და ფიზიკური პიროვნება სამართლის სუბიექტები არიან, ამიტომ როგორც ერთს, ისე შეორეს ერთი და იგივე ნიშნები უნდა ახასიათებდეს. ასე მხელობს ზოგიერთი, ჩვენ აქ არ შექმნებით იმაზე, თუ რამდენად დამახასიათებელია ემპირიული ხებისყოფა სამართლის სუბიექტისათვის. გარკვეული პასუხი ამ კითხვაზე ჩვენ შეგვიძლია კინოთ ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში. ჩვენ მხოლოდ ორი მომენტი გვხურს აქ აღვნიშნოთ: 1) თუ იურიდიული პირს სათვის დამახასიათებელია ერთი ხებისყოფა, როგორც შეხედება ეს ნებისყოფა და 2) თუ მივიღეთ, რომ ხებისყოფა საფუძველია იურიდიული პირის, შეუძლია თუ არა იურიდიულ პირს იარსებოს როგორც ანსტიტუტის. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა იმ მოსახრების მოყვანა, რასაც ეს საკითხები მოითხოვს და ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მხრიდან უმოიწყესის აღნაშვნით. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი იურიდიული პირის ტენიას შესასწავლად მიმართავენ მათი ფსიქოლოგიას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ვერც ერთი მეთოდი, რომელიც ისე უკანიასი იყოს იურიდიული პიროვნების განსამარტივად, როგორც ზემოაღნიშნული მეთოდი. ჩვენ აქ არ ვეხებით საუზრიოდ იმ საკითხს, თუ რამდენად გამოსიღებები ყვარელობიური მეთოდი რომელი იურიდიული მოვლენისა და ისხტიტუტის გასაგებად, ვისაც ეს საკითხი ასწერებსებს, მას მიუთოთებთ კედებისა და კედების მშენებლის ს მშენებლის მახვილი გრაფიკზე, რომლებშიც სრულიად ხათლად არის ნაჩვენები უვარგისება ფსი-

ქოლოგიური მეთოდისა იურიდიული ფენომენის შესახვავლად. არის კიდევ ერთი მოძებნები, რომლის მიხედვითაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია იური ღიული პირის ბუნება მასიური ფსიქოლოგის დახმარებით შევისწავლით, ვინაიდან, როგორც ამას დავინახავთ, იურიდიული პირი და მასა სულ სხვადასხვა ბუნების მოვლენას წარმოადგენენ. რას ვხედავთ ჩვენ მასში და რას ვხედავთ საზოგადოებაში, კოლექტივში; რომელიც ჩვეულებრივად იურიდიული პირის სუბსტრატად უნდა ჩაითვალის? ყოველი მასისათვის დამახასიათებელი მომენტი სწორედ ნებისყოფათა იდენტობაში მდგომარეობს. როგორც პიპოზის დროს ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკორ პიპოზიზორისა და მედიუმის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნებისყოფაშე, რადგანაც ბოლოს და ბოლოს იქ მხოლოდ ერთი ნებისყოფაა, სწორედ ასევე, მასში არის პარალიტეტი ნებისყოფათა, ან უფრო სწორედ რომ ვსტევათ, ნებისყოფათა იმგვარი იდენტობა, რომ ჩასის არც ერთ წევრს არ შეუძლია თავისი „მე“ სხვის „მე“-ს დაუპირისპიროს. მასში შესაძლებლობა „ჩემისა“ და „სხვის“-ის დაპირისპირებისა სრულიად მოსპობილია, არც ერთ მომენტში, არც ერთ ეტაპში, არც ერთ აქტში ასეთი დაპირისპირება შესაძლებელი არ არის. აյ არის ერთი მოქმედება, თავისებური კოორდინაცია მასიური მოქმედებისა და სრული იდენტობა ნებისყოფათა. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მასა (რომელიც სულ სხვას ნიშნავს, ვიდრე საზოგადოებრიობა), რომელშიაც ვისმე შეეძლოს სხვისი ნებისყოფის წნევის განცდა, ვინაიდან, სხვისი ნებისყოფის წნევის განცდის ფენომენალი „სხვაა“. ხშირად, მაგალითად, ჰგონიათ, რომ ხელმწიფება-მორჩილება თითქოს სწორედ იმას ნიშნავდეს, რომ ერთ განსაკუთრებულ პირობებში ხელმწიფების სუბექტს შეუძლია თავისი ნებისყოფა მორჩილების სუბიექტის ნებისყოფად აქციოს. ეს არის ერთერთი უდიდესი შეცდომა, რომელიც ჩვენ ფრიად ზშირად გვხვდება. ხელმწიფება-მორჩილება აუცილებლად გულისხმობს „მე“-ს და „სხვა“-ს, ე. ი. ყოველთვის დაპირისპირებულია ჩემი და სხვისი ნებისყოფა, და რომ ასეთი დაპირისპირება არ იყოს, ხელმწიფება-მორჩილებას ყოველგვარი მნიშვნელობა დაექარგება. თუ ჩვენ დავუშვით, რომ ნებისყოფა არის დამახასიათებელი მომენტი იურიდიული პირისათვის, განა სულ უბრალო ანალიზი არ დაგვანახებს, რომ საზოგადოებაში ან ინსტიტუტში პიროვნება სულ სხვა სახით და მნიშვნელობით არის მოცემული, ვიდრე მასაში?

ინსტიტუტში ჩვენ ყოველთვის მრავალგვარ წნევას განვიცდით, განვიცდით წნევას თვით ჩვენი ფუნქციისას და აგრეთვე სხვა ფუნქციის განმახორციელებლისას, ასე რომ, ყოველივე ამას ვრმნობთ, როგორც ინსტიტუტის წნევას, როგორც ერთი ანტრეპრიზის, ერთი სამართლის სისტემის წნევას. ეს ასეა. განა შეგვიძლია ჩვენ ყველა ასეთი წნევის განცდა სხვაგვარად, თუ არა „ჩემი“-სა და „სხვის“-ის დაპირისპირებით, თუ არ მუდმივი განცდით ჩემი და სხვისი ნებისყოფის სხვადასხვაობისა? როგორც ვხედავთ, ინსტიტუტში, იურიდიულ პირში, ე. ი. ყოველგან, სადაც ჩვენ შეგნებულად თანავარსებობთ, როგორც წევრები, ივით წევრობის განცდას თან ახლავს იდეა, აზრი ვიღაცის შესახებ, რომელიც „სხვა“ არის, ვიდრე „მე“. ამგვარად ცხადია, რომ ამ სფეროში ჩვენ არ შეგვიძლია შეგვარათ იმ არგუმენტებით, რასაც იძლევა მასის ფსიქოლოგის მეცნიერება. მაში, როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ ის „ნებისყოფა“, რომელიც თითქოს მოცემულია ყოველ ინსტიტუტში და რომელიც თითქოს ბატონობს ინდივიდუა-

დურ ნებისყოფაზე? რადგანაც ასეთ ხელმწიფებას და წევას განიცდის კოველი  
 წევრი ამა ოუ იმ ინსტიტუტისა, ამიტომ აუცილებლად მიაჩნიათ თვით უსწევ  
 ვა სხვისი და თავისი ნებისყოფის დაპირისპირებაზე დაამდირონ. მართალია, კო-  
 ველ ინსტიტუტში აღვილი აქვს დაპირისპირებას – „ჩემი“ და „სხვისი“, მაგ-  
 რამ განა ეს დაპირისპირება შესაძლებელია მხოლოდ ორი სხვადასხვა ნებისყო-  
 ფის დაპირისპირების ჩიადაგზე? ჩვენ ჩმირად განვიცდით მიზნისა, ამოცანისა,  
 მთლიანობისა, ფუნქციისა, დანიშნულებისა, სამართლის ხილმასა და სხვ წე-  
 ვის, მაგრამ ამ მიზანს, ფუნქციას, დანიშნულებას, მთლიანობას თუ სამართლის  
 ნორმას ჩვენს უსიქიას ვუპირისპირებთ, როგორც „რადაცას“ ჩვენგან განსხვა-  
 ვებულს, და ამ რადაცაში სრულებითაც არ ვგულისხმობთ ნებისყოფის არსები-  
 ბას. მაგრამ თუ ჩვენ დაუშვით, რომ იურიდიული პირისათვის, ინსტიტუტისათ-  
 ვის ნებისყოფა ისეთივე დამახასიათებელი მომენტია, როგორიც ადამიანისათ-  
 ვის, მაშინ ჩვენ რ უ ს ო ს ტერმინოლოგია უნდა მივიღოთ და ვაღიაროთ, რომ  
 ინსტიტუტის, იურიდიული პირის ნებისყოფა შეიძლება „volonté générale“ ან  
 „volonté des tous“ იყოს, მაგრამ volonté générale-ს გამოყენება ამ შემთხვევა-  
 ში სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან როგორც რ უ ს ო ს საუკეთესო ინტერპრე-  
 ტატორებმა კანტმა, ფიხტემ და მათ შემდეგ სამართლის ფილოსოფობსმა რედოლუ-  
 შტამლერმა ნათელდებულია „volonté générale“-ს არაფერი საერთო არა  
 აქვს ემპირიულ, ფსიქოლოგიურ ნებისყოფასთან, ეს არის მხოლოდ აპრიორული  
 სახელმძღვანელო პრინციპი, რომლითაც უნდა იხელდმდღვანელოს ყოველმა კა-  
 ნონმდებელმა და ვინც შეეცდება, როგორც მაგალითად ტრიკ კ ე ლ ი, როდესაც  
 ის საერთაშორისო სამართლის ობიექტივიტეტის დამტკიცებას ცდილობდა,  
 volonté générale (როგორც ნამდვილი ნებისყოფა) და ინდივიდუალური  
 ნებისყოფა ერთმანეთს დაუპირისპიროს, როგორც ორი ბუნებით ერ-  
 თნაირი, ხოლო სიძლიერით განსხვავებული მოვლენა, ის კერა-  
 ვითარ შედეგს ვერ მიაღწევს, ვინაიდან „volonté générale“ არის აპრიორუ-  
 ლი, სახელმძღვანელო პრინციპი, ნორმა, რომელსაც ემპირიულ ნებისყოფასთან  
 საერთო არაფერი აქვს. მაშასადამე, თუ ამ „volonté générale“-ს ნამდვილ ნების-  
 ყოფად ვერ ვაღიარებთ, მაშინ გამოდის, რომ იურიდიული პირისათვის (თუ მის-  
 თვის ნებისყოფა ძირითად მომენტად მივიჩნიეთ) ასეთ ნებისყოფად შეიძლება  
 მხოლოდ იყოს „volonté des tous“. მაგრამ რას ნიშნავს ინსტიტუტისათვის ასე-  
 თი მომენტის დაშვება? საკმარისია ვაღიაროთ, რომ „volonté des tous“ არის  
 ძირითადი მომენტი ყოველი იურიდიული ინსტიტუტისა, რომ მაშინვე დავინა-  
 ხოთ, თუ რა სუსტ პოზიციაზე დგანან ისინი, ვინც ამ თვალსაზრისს იზიარებს.  
 მართლაც, რა არის თავისთავად „volonté des tous“, თუ არა ინსტიტუტის წევ-  
 რების ინდივიდუალურ ნებისყოფათა ჯამი? ე. ი. იმისთვის, რომ ჩვენ წევრების  
 ნებისყოფათა ჯამზე ვილაპარაკოთ, ცხადია, რომ რაღაც, როგორც ინსტიტუტი,  
 მთლიანობას ან ინსტიტუტს გულისხმობს, მაშასადამე, ჩვენ რომ ვილაპარაკოთ  
 მთლიანობას ან ინსტიტუტს გულისხმობს. მაშასადამე, რომ ჩვენ ვილაპარაკოთ  
 ინსტიტუტის წევრების ნებისყოფაზე, თვითარებობა ინსტიტუტისა, რომელიც  
 აღნიშნავს – ვის ნებისყოფათა ჯამი შეადგენს volonté des tous, ესე იჯი ინს-  
 ტიტუტი – უნდა იქნეს ნაგულისხმევი ამ volonté des tous ჩამოყალიბებამდე.  
 აქედან ცხადია, რომ „volonté des tous“ თვით ინსტიტუტისათვის დამახასია-  
 თებელი ვერ იქნება, რადგანაც, როგორც დავინახეთ „volonté des tous“ წინას-

რა არსებულად გვლისხმობს თვით ინსტიტუტს ანუ სამართლის ნორმათა სისტემის სტემას. რა თქმა უნდა, შეიძლება გვითხრონ, რომ „volonté des tous“-ში გვითხრონ ინსტიტუტის დამფუძნებელთა ნებისყოფას, მაგრამ ესც უნდა უარ-კორ, ვინაიდან იმას, რაც ჯემზის ინსტრუმენტს, თვით ინსტიტუტის ბუნების დამახასიათებლად ჩვენ ვერ ჩავთვლით. შეიძლება იური-დიული ინსტიტუტი იყოს შედევე ერთგვარი შეთანხმებისა, ხელშეკრულებისა, მაგრამ შეთანხმება, ხელშეკრულება, ხულ სხვა არის, ვიღრე ის ინსტიტუტი, რო-მელიც ამ შეთანხმებისა ან ხელშეკრულების ნიადაგზე აღმოცენდა. შეიძლება ინსტიტუტის წარმომშობი მიზეზი ადამიანთა უბრალო კაპრიზი იყოს, მაგრამ როდესაც ინსტიტუტი წარმოიშვა, აյ უკვე სულ რაღაც ახალი რამ დაიბადა, და ამ ინსტიტუტში დამარსებელთა შორის შექმნილი დამოკიდებულება სულ სხვა ბუნების და მნიშვნელობისაა, ვიღრე ის დამოგიდებულება, რაც ინსტიტუტის წარმომობამდე დამფუძნებელთა შორის არსებობდა. ინსტიტუტი უნდა იქნეს აღ-სული, როგორც სავსებით დამთავრებული მთლიანობა, როგორც ერთგვარი ში-ნაარსის სამართლის სისტემა, და თუ მკვლევარს სურს ინსტიტუტში შექმნილი ურთიერთობის შესწავლა, მისი თვალი ინსტიტუტის საზღვრებს არ უნდა სცილ-დებოდეს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული მოვლენის ნებისყოფით განმარტება, იურიდიული მოვლენის უარყოფას უნდა ნიშნავდეს. ჩვენ ვერავი-თარ მოვლენას, ინსტიტუტს იურიდიულ ინსტიტუტად ვერ ჩავთვლით, თუ თვით ეს ინსტიტუტი განსაკუთრებულ ნორმათა სისტემას ურ წარმოადგენს. ინსტიტუ-ტი ჩვენ იმიტომ მიგვაჩნია იურიდიულ ინსტიტუტად, რომ ამ ინსტიტუტში თვით სამართლის შინაარსს ვხედავთ. აი თუ იურიდიული ინსტიტუტისათვის გადამწყვეტ მომენტად ჩვენ ნებისყოფას ვაღიარებთ, ინსტიტუტი დაპქარვას იმ სავალდებულო ხასიათს, რომლითაც ის ჩვენ, როგორც წევრებს, ყოველთვის გვევლინება. ცხადია, რომ ნებისყოფა იურიდიული ნორმის, თუ იურიდიული ინ-სტიტუტის საფუძვლად ან მირითად მომენტად ვერ იქნება აღიარებული. ნების-ყოფაში მოცემულ ელემენტთა წყობაში და თვით ნებისყოფის აქტის მიმდინა-რეობაში არ იკვეთება იდეა მოვალეობისა, და ამიტომაც, თუ ნებისყოფას ინსტი-ტუტის, სამართლის სისტემის საძირკვლად ვაღიარებთ, ჩვენოვის სავსებით გა-უგებარი იქნება — საიდან დებულობს ინსტიტუტი იმთავითვე საქალდებულო ბუნებას, რომლითაც ის ჩვენ, როგორც წევრებს, ყოველ წუთში გვევლინება. კრაბე ს. ი. ს. კელ ზ. ე. ნ. ი. ს. ა. ზ. ა. ნ. დ. ე. რ. ი. ს. ა. და მ. ე. რ. კ. ლ. ი. ს. თეორიების მიხე-დვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: ან სამართლი და იურიდიული ინსტიტუტი, ან და ნებისყოფა, სულ ერთია, ვისი ნებისყოფაც უნდა იყოს ეს. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა შედევამდე მივიდნენ ს. პ. ი. ნ. ზ. ა. და ჰ. ე. გ. ე. ლ. ი. იმით, რომ სახელმწიფო ნებისყოფა მათ სამართლის წყაროდ აღიარეს; მათ უარყევს საერთაშორისო სა-მართალი, ხოლო აქედან საერთოდ სამართლის უარყოფამდე ერთი ნაბიჯია. ს. პ. ი. ნ. ზ. ა. ს. ა. და ჰ. ე. გ. ე. ლ. ი. ს. შემდეგ არა ერთხელ უცდიათ ნებისყოფა იური-დიული მოვლენების საფუძვლად გამოეცხადებინათ და ს. პ. ი. ნ. ზ. ა. ჲ. ე. გ. ე. ლ. ი. ს. კონცეფციიდან გამომდინარე შედეგების თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა ზო-მებისათვის მიუმართავთ, მაგრამ თუ მათ მიუღიათ სხვა დასკვნები, მხოლოდ აუარებელი შინააღმდეგობის საშუალებით.

კველა, ვინც კი სამართლის სახელმწიფო ბრიგადის თელრის საფუძვლებს დღიურად განავითარებს, უნდა მივიღეს იმ დასკვნამდე, რა დასკვნამდეც მა- კიდენ ს პირ არ და ჰქონდეს. ჩვენ რ უ ს თ ს ტერმინოლოგია ვიზმარეთ და

ვთქვით, რომ ინსტიტუტში ნაგულისხმევი შეიძლება წარმოდგენილი ფქნის აუროვრც volonté générale ან როგორც „volonté des tous“. ჩვენ განვიხილავ ხმარეთ რ უ ს ო ს ეს ტერმინები, ვინაიდან მხოლოდ ამ ორი სახით შეიძლება ვიგულისხმოთ იურიდიული პირის ნებისყოფა, მართალია, არის სხვადასხვა ცდა იურიდიული ნებისყოფის განმარტებისა და დასაბუთებისა, მაგალითად, ლაბარაკობენ ნებისყოფათა კოორდინაციაზე, ნებისყოფათა პარალიტეტზე და სხვა, მაგრამ ყოველი ასეთი განმარტება უბრალო ფრაზეოლოგიას არ სცილდება და სულ ზერელ დაკვირვებაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველა ესენი ბოლოს და ბოლოს „volonté générale“, ან და „volonté des tous“ გულისხმობენ. როდესაც სხვადასხვა ზომას მიმართავენ იმისათვის, რომ ემპირიულ ნებისყოფათა დაკავშირებით, მათი შეთანხმებით, მიიღონ „volonté générale“, ეს ხწორებ იმის მომასწავებელია, როგორც ვოქიო, რომ volonté générale-ს ბუნება ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი და პრინიათ, რომ ნებისყოფათა ერთმანეთზე ამა თუ იმ სახით გადაბმა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ რეალური, ემპირიული, ფსიქიური „volonté générale“.

სწორებ ის, რაც ჩვენ ნებისყოფაზე ვთქვით, შეგვიძლია გავიმეოროთ იმ თეორიების მიმართ, რომლებიც იურიდიულ პირს და ინსტიტუტს მიზნის საშუალებით განმარტავენ. უნდა აღნიშნოთ, რომ ყველა ამ ოქონიას აქვს ერთ-თ უდიდესი მეთოდოლოგური შეცდომა, რომელზეც უსათუოდ უნდა მივუთითოთ. რა სახითაც უნდა იყოს აღებული ინსტიტუტის მიზანი, იმისდამიუხედავად, თუ როგორ არის აღწერილი ისტორია ამ მიზნის ჩამოყალიბებისა, მიხი აღიარება იურიდიული პირის ბუნების ერთ-ერთ მთავარ და ძირითად მომენტაც ცნებათა არევზეა დამოკიდებული. თუ, მაგალითად, ვინმე რაიმე მიზნით ჰქმნი იურიდიულ პირს, ეს ხომ თავისთვავდ ცხადია, რომ ის, რასაც პქმნიან სულ სს ვა არის, ვიდრე ის, რისთვისაც ამ რაღაცას პქმნიან. სხვა არის იურიდიული პირი და სხვა არის ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ამ იურიდიული პირის დამარსებელი სუბიექტები. ამიტომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია იურიდიული პირის, ინსტიტუტის ცნებაში შევიტანოთ ის მომენტები, თუნდაც მიზნები, რომლებიც ამ იურიდიული პირის შექმნის მიზეზებად მიგვაჩინია.

არის კიდევ ერთი მოსაზრება: თუ მიზანი, ე. ი. ის მიზნები, რომელიც წინ უსწორებენ იურიდიული პირის ჩამოყალიბებას, დამახასიათებელი მომენტია იურიდიული პირისა, მაშინ თავისთვავდ აშკარაა, რომ აქ ერთგვარ circulus vitiosus-ს აქვს ადგილი. ესე იგი იურიდიული პირი უფრო აღრე არის მტცემული, ვიდრე მისი დამახასიათებელი ძირითადი მომენტები – მიზანი. მართლაც წარმოვადგინოთ, რომ მიზანი, რომელიც პქმნის ინსტიტუტს, არის დამახასიათებელი თვით იურიდიული პირისათვის. თქმა იმისა, რომ „მიზანი პქმნის“ ნეშნავს იმას, რომ როდესაც მიზანი ყალიბდება, ჩვენ არ ვიცით რა არის იურიდიული პირი. მიზნები სხვადასხვავებარია და რომ ამ მიზანია კატეგორიაში მხოლოდ ერთი რომელიმე გამოვნახოთ და ის იურიდიული პირისათვის დამახასიათებლად ვალიაროთ, ამისათვის წინასწარ უნდა იქნეს მოცემული ცნება იურიდიული პირისა, ე. ი. ხელთ უნდა გვჭრნდეს იურიდიული პირის ჩამოყალიბებული იურიდიული შინაარსი. ამიტომ თუ ჩვენ ყოველთვის მიზანზე აღრე უნდა ვიგულისხმოთ ის რაღაც, რითაც შეგვიძლია მიზანს მივალწიოთ, ცხადია, რომ

ოურიდიული პირის ცნებაში, როგორც დამთავრებულ შინაარსში, ჩვენ არ შეუწეოდი გვიძლია არავითარი ახალი ელემენტის, ამ შემთხვევაში მიზნის შეტანაში გვიძლია არავითარი ახალი ელემენტის, ამ შემთხვევაში მიზნის მისაღწევად აუცილებელია იურიდიული პირის ან ინსტიტუტის არსებობა. თუ ასე დავხვამთ საკითხს, ესეც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ რაღაც, რასაც ჩვენ იურიდიულ პირს ან ინსტიტუტს ვეძიათ, ამ მიზნის დამოუკიდებლად გვაქვს წარმოდგენილი და ამიტომაც მეთოდოლოგიურად თვით საჭითში იურიდიული პირისა ან ინსტიტუტის შესახებ მიზნის დამოუკიდებლად უნდა იქნეს შესწავლილი. როგორც ვხედავთ, მიზნები, რომლითაც ხელმძღვანელობენ იურიდიული პირის დარსებისათვის, ე. ი. მოქლი სისტემა მიზნებისა, რაც წინ უსწრებს იურიდიული პირის ჩამოყალიბებას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს აღიარებული იურიდიული პირის ბუნების დამახასიათებელ მომენტად. ეს უნდა გვქონდეს ყოველთვის მხედველობაში, როდესაც გვსურს იურიდიული პირის ცნებაში შევიტანოთ მსჯელობა იმ მიზნის შესახებ, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებს იურიდიული პირის შექმნას.

თუ ვაღიარებო, რომ რისიმე სუბიექტს ყოველთვის თან სდევს განცდა წევრობისა, ცხადია, რომ თვით ეს სუბიექტი თავის თავს ყოველთვის ფუნქციად გრძნობს. ფუნქციად თავის წარმოდგენა კი მთლიანობის ლოგიკურად აღიარებას ნიშნავს, ვინაიდან შეუძლებელია ჩვენი თავი ფუნქციად წარმოვიდგინოთ, თუ წინდაწინვე ლოგიკურად არ ვაღიარებო იმას, რისთვისაც მე ფუნქციონურად ვწორციელდები. წევრობის განცდაში, იმისდამიუხედავად — არის ეს წევრობა ნებაყოფლობითი, თუ ჩემი ნებისყოფის წინააღმდეგ, მე ყოველთვის ვაღიარებ იმას, რის წევრიც ვარ. და როგორ წნევასაც უნდა ვგრძნობდეთ იმის მხრით, რის წევრადაც ჩვენი თავი გვაქვს წარმოდგენილი, არასოდეს ამ წნევას არ განვიცდით, როგორც უბრალო მექანიკური ძალის წნევას, ვინაიდან წმინდა ძალის წნევის განცდაში ყოველთვის არის ლოგიკური უარყოფა ამ ძალისა. ხოლო, როდესაც მთლიანობის წნევას განვიცდით, ის უბრალო ძალად არასოდეს არ მიგვაჩნია, რადგანაც ჩემი წევრობის იდეაში მთლიანობა თავიდანვე ლოგიკურად არის აღიარებული.

მეორეს მხრივ, უფრო ყალბ ნიადაგზე დგანან ისინი, ვინც იურიდიული პირის შინაარსის დამახასიათებელ მომენტად თვლიან იმ მიზნებს, რასაც თვით იურიდიული პირი ისახავს. ასეთი დებულების სისუსტე თავისთვის ნათელია. თუ ჩვენ რომელიმე მიზანზე ვლაპარაკობთ, როგორც იურიდიული პირის მიზანზე, ცხადია, რომ არის რაღაც, რასაც ჩვენ იურიდიულ პირს ვეძახით, რომელიც მიზანს ისახავს. ესე იგი, ერთია იურიდიული პირი და სულ სხვა მისი მიზანი, თუნდაც წყარო ამ მიზნისა თვით ეს იურიდიული პირი იყოს. როგორც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სუბიექტი და ის მიზანი, რომელსაც ის ისახავს, ერთი და იგივეა, სწორედ ისევე არ შეგვიძლია იურიდიული პირის შინაარსი მისი მიზნებით განვმარტოთ. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც მიზნები გულისხმობენ იურიდიული პირის არსებობას, და ამიტომ ამ უკანასკნელის ბუნება შესწავლილი უნდა იქნეს იმ მიზნებისაგან დამოუკიდებლად, რასაც ეს იურიდიული პირი ისახავს. ეს მოკლე ანალიზი გვეჩვენება, რომ იურიდიული პირი, როგორც გარკვეული შინაარსი, ყოველთვის მოთავსებულია ორ მიზანთა სისტემას შორის: ერთია მიზანთა ის სისტემა, რომელიც მას წინ უსწრებს, მეორეა ის სისტემა, რომელიც მას მოსდევს. არც ერთი და არც მეორე იურიდიული პირის ბუნების დასასაბუთებლად არ გამოდ-

გება. მესამე სისტემა მიზნებისა კი ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია. ზემო ნათქვამიდან თავისთავად ცხადია, ყველა ის თეორია, რომელიც ცდილობს თურიდიული პირის ბუნებას საფუძვლად დაუდოს „ნებისყოფათა ერთიანობა“, უვარგის თურიად უდა მივიწნიოთ.

მაგრამ როგორ უნდა წარმოგიდგინოთ ღურიდიული პირის არსებობა? მეძღვება თუ არა იურიდიული პირი იყოს სხვა რამ, თუ არა ნორმით სისტემა? ამ მეთოდოლოგიური კითხვა, რომელიც თავისთავად იბადება, ჩვენ ვიცით. რომ უფლებრივი აზროვნება, ეს ერთი აქტი აქტი არა ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, არამედ როგორც ერთგვარი Bewusstseinsterleb, როგორც ერთგვარი cogitatio, შეუძლია ამ უფლებრივი აზროვნების პრონდეს მიმართება სხვა რომისაკენ, თუ არა სამართლისაკენ, უფლებრივი ნორმისაკენ? არავითარ შემთხვევაში! უფლებრივი აზროვნებით მხოლოდ სამართლი შეიძლება იქნეს გაგდებული, უფლებრივი აზროვნების ინტენციონალური საგანი მხოლოდ სამართლის ნორმა შეძლება იყოს. ეს უდაო დებულებაა, და ვაჭვობთ, რომ ამ დებულების სჩინიალმდეკოდ შეიძლებოდეს რაიმე მოსაზრების მოვკანი. აქედან თავისთავად ნათელია, რომ თუ იურიდიული პირი იურიდიული აზროვნების საგანია, ის მხოლოდ სამართლის ნორმათა სისტემას უნდა ნიშნავდეს. ამ მხრივ კელზენის დებულება მეთოდოლოგიურად სწორია. მაგრამ თუ კელზენი ამბობს, რომ იურიდიული პირი არის ნორმათა ერთი გაბიროვნებული სისტემა, თავისთავად იბადება კითხვა, თუ რა ჩახათისაა ის ნორმათა სისტემა, რომელიც სხვა ნორმებთან ერთად პირზე იურიდიული სამართლის სისტემას პქმნის და რომელსაც ჩვენ იურიდიულ პირად ვთვლით? თუ რიდიული პირი, ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს იმ ნორმათა ერთ სისტემას, რომ ელშიაც მოცემულია ერთი ანტრეპრიზა. სახელმწიფო, კორპორაცია, რაიმე საზოგადოება, იმდენად, რამდენადც ჩვენ მათ იურიდიულ პირად ვთვლიანებთ და მათ მათ იურიდიული აზროვნების საგანად ვთვლით. აუცილებლიდ ნორმათა ერთ განსაკუთრებულ სისტემას წარმოადგენს, ხოლო ამ ნორმათა განხორციელების შესაძლებლიბა ამ სახელმწიფოს, კორპორაციისა და საზოგადოების წევრად გვხდის. ასე რომ, იურიდიული პირი უფლებაუნარის სუბიექტს კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის თვით ჩაწილი პირზე იურიდიული სამართლისა, რომელიც, როგორც ყოველი სამართლის ნორმა, გულისხმობს განმახორციელებლებს, ანუ ქმედიბაუნარის სუბიექტებს. მაგრამ ბევრს შეუძლია სრულიად სამართლიანი დაკითხოს: თუ ასეთია იურიდიული პირის ბუნება, როგორ შეიძლება ჩვენ მის მიმართ ვალდებული ვიყოთ, ანდა როგორ შეგვიძილია ჩვენ ასეთი იურიდიული პირის სახვლით ვიძოქმედოთ? შეცდომაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციულმა შეხედულებამ იცის მხოლოდ პერსონალური ღირებულება და მხედვებლობაში არ იღებს, რომ პერსონალურ ღირებულებათა გარდა არის ღირებულებათა მთველი სისტემა, რომელშიაც სხვადასხვა ღირებულებითი მომენტი იერარქიულ დამოკიდებულებაში იმყოფება. ღირებულებითი მომენტი, — ეს არის ყოველი სამართლის ფენომენალური მომენტი. „უნდა იყოს“ იმიტომ, რომ, ის, რაც უნდა იყოს, ღირებულებითი მომენტს წარმოადგენს. მაგრამ ასეთ ღირებულებით მომენტად სამართლის ნორმა მარტო პიროვნებას კი არ აღიარებს, არამედ მრავალ სხვადასხვა ხსიათის ღირებულებასაც. ყოველი ნორმის განხორციელება ღუცილებლიდ წარმოადგენს ამ ღირებულებითი მომენტის განხორციელებას. და რადგან თვით სამართლის ნორმა არის მიზანი, ცხადია, რომ ასეთი ნორმის განხორციელება იმ ღირე-

ხულების სახელით წარმოებს, რომელიც სამართლის ნორმაში იმანენტურად მცურავდა უმცირეს მიზანს თან ახლავს. განა აქედან ცხადი არ არის, რომ ვინმესთვის მატერიალური დება ან სხვის სახელით მოქმედება სრულებითაც არ მოითხოვს, რომ ის, რის სახელითაც ვმოქმედებთ, ან ის, ვისთვისაც ვმოქმედებთ, აუცილებლად პიროვნებად იქნება ცნობილი? ვიცით, რომ შვეიცარიის კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი შენიშვნა სასაკლაოს პატრონს აკალებს, რომ პირუტყვი დაკვლის წინ გაბრუებულ იქნეს. აქ თითქოს პირუტყვებისათვის მოქმედებენ. მაგრამ ეს მოქმედება პირუტყვებისადმი მხოლოდ სპეციფიური შინაარსის ნორმის განხორციელების შედეგია.

1926 წელს ერთმა მდიდარმა ინგლისელმა თავის ძაღლებს დაუტოვა 75 ათასი გირვანქა სტერლინგი. რა თქმა უნდა, ძაღლს არც ერთი კანონდებლობა არ სთვლის სამართლის სუბიექტად და ამიტომ ის ვერც მემკვიდრე იქნება, მაგრამ სხვების საშუალებით, რომლითაც აქვთ უფლება გარდაცვალებული მდიდარი ინგლისელის სახელით იმოქმედონ, ფული ძაღლებს მოხმარდება, ე. ი. ეს მდიდარი ინგლისელი და მის მიერ დასახელებული პირები, ბოლოს და ბოლოს, პოზიტიური სამართლის ზოგიერთი ნორმის განხორციელებით, ძაღლებისათვის მოქმედებენ. საჭიროა აქ ძაღლები სამართლის სუბიექტად ცუნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთი მოქმედება აქ ძაღლებისათვის სწარმოებს? სრულებითაც არა!

ჩეველებრივ ჰგონიათ, რომ მოვალეობის შესრულება ჩენ მხოლოდ ადამიანის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამართლის სუბიექტის მიმართ შეგვიძლია. ამიტომ ფიქრობენ, რომ ის, რის მიმართაც ჩენ ნორმის ძაღლით ვაღლებული ვართ, აუცილებლად პიროვნება უნდა იყოს. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ჩშირად მიმართავენ სხვადასხვა ხელოვნურ საშუალებას, აწარმოებენ ერთგვარ სტილიზაციას მხოლოდ იმიტომ, რომ პიროვნებად წარმოიდგინონ რაღაც, რასაც ნამდვილ პიროვნებასთან საერთო არაფერი აქვს. პიროვნება, როგორც ვთქვით, სამართლის მიერ ყოველთვის იგულისხმება. როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა. მაშასადამე, პიროვნება უპირველეს ყოვლისა, ნიშავს ნორმის განმახორციელებელს. პიროვნება არის რაღაც, რასაც შეუძლია ღირებულებითი აქტების მოხდენა. თუ პიროვნება ასეთი მნიშვნელობით არ ვიგულისხმეთ, ის საკებით მოსწყდება სამართალს. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ სამართლის სუბიექტის ცნება აუცილებლად გულისხმობს ქმედობაუნარიანობის მომენტს. თუ მას ასეთი მომენტი არ ახასიათებს, ის არც სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს. ამიტომაც შემცდარად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რაღაც ქმედობაუნარიანობას მოკლებული მაინც სამართლის სუბიექტია. მაგრამ თუ მას სამართლის სუბიექტად ვერ ჩავთვლით, თავისთავად იბადება კითხვა, როგორი ურთიერთობაა შესაძლებელი იმასთან, რაც სამართლის სუბიექტად მიჩნეული ვერ იქნება? ვიმეორებოთ, გაუგებრობა ამ საკითხში მდგრმარეობს ერთის მხრით იმაში, რომ პერიათ, თითქოს სამართალი მხოლოდ ერთ ღირებულებას, სახელდობრ, პერსონალურ ღირებულებას ცნობდეს და, მეორეს მხრით კი იმაში, რომ ფიქრობენ — თუ ქმედობაუნარიანი სუბიექტი ვისიმე ან რასიმე სახელით მოქმედებს, — ის, ვისი სახელითაც იგი მოქმედებს, აუცილებლად სამართლის სუბიექტად უნდა იყოს აღიარებულით. სამართლის ნორმამ იცის არა მარტო პერსონალური ღირებულება, არამედ მას შეუძლია, მაგალითად, ღირებულებად აღიაროს კულტურა, შეუძლიან იკისროს რაიმე იდეოლოგიისა ან რე-

ლიგიური დოგმატის მფარველობა, შეუძლია ეროვნება ან კლასი აღიაროს კრი-  
ადერთ დირებულებად და სხვა, განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა უწყებულები  
დირებულება აუცილებლად პერსონალური თვისების დირებულებაა? განა ეს იმას  
ნიშნავს, რომ სამართლის ნორმას, არ შეუძლია ამ დირებულებათ მიმართ რამეც  
დაგვავალოს, ჩის თუ ეს კულტი, დოგმატი, იდეოლოგია გაპიროვნებული არ იქნა?  
ნეთუ არ შეძლება ამ კულტის, დოგმატის, იდეოლოგიის სახელით მოქმედება,  
თუ ეს იდეოლოგია, კულტი, დოგმატი ან სხვა რამ სამართლის სუბიექტად არ წა-  
რმოვიდგინეთ?

იმის მიმართ, რაც სამართლის შიერ ლირებულებად არის აღიარებული, ჩვენ  
შეიძლება თვით ნორმის მიერ ვიყოთ კალდებული, იმისადამიუხედავად, თუ რა  
ხასიათისა და მნიშვნელობისაა სამართლის მიერ აღიარებული ლირებულება —  
პერსონალური, თუ არა პერსონალური, თითოეულ ასეთ შემთხვევაში იმ ნორმის  
განხორციელებით, რომელიც ჩვენ გვავალებს, — ჩვენ იმის სახელით ვმოქმედები,  
რაც სამართლის ნორმის მიერ ლირებულებად არის აღიარებული. სწორედ იმავე  
წესით, რა წესითაც ჩვენ ჩვენთვის და ჩვენის სახელით ვმოქმედებთ (აქაც იური-  
დიულ ნორმებს ვახორციელებთ), სწორედ ამავე წესით შეიძლება სამართლის  
ნორმამ დაგვავალოს — სხვისი სახელით ვიმოქმედოთ.

სამართლის ნორმების განხორციელებით ხან ჩვენთვის და ხან ჩვენის სახე-  
ლით ვმოქმედებთ, ხან კი სხვისთვის და სხვისი სახელით, ასე რომ, ის, ვისი სა-  
ხელითაც ვმოქმედებთ, შეიძლება არც იყოს სამართლის სუბიექტი, სხვისი სახე-  
ლით მოქმედება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სხვა აუცილებლად პირო-  
ვნება უნდა იყოს. კულტურა, დოგმატი, იდეოლოგია, იმდენად, რამდენადაც ისახი  
სამართლის მიერ ლირებულებად არიან აღიარებული, ერთგვარ ამოცანად იქცევა.  
რადგანაც ეს კულტურა, იდეოლოგია და სხვა, როგორც ლირებულებით მოქმედი,  
სამართლის ნორმის შინაარსში შედის, ამიტომ რამდენადაც ნამდვილი სუბიექტი  
ამ ნორმებს ახორციელებს, იმდენად ნორმების განხორციელებით ახორციელებს  
იმ ანტრეპრიზას, რომელიც შეიძლება დოგმატი, კულტურა, იდეოლოგია, ან კიდ-  
ევ სხვა რამ იყოს. მაშასადამე, მოქმედებს სამართლის სუბიექტი თავისთვის, თუ  
სხვისთვის, თავისი სახელით, თუ სხვისი სახელით, ის ყოველთვის ნორმებს  
ახორციელებს. რა თქმა უნდა, ჩვენ რომ გვწამდეს მით ბუნებრივი სამართლისა,  
ან და სამართლისა — die mit uns geboren ist, მაშინ თავისთვის მოედნა ჩვენი  
ოეორიის კონსტრუქციობა სხვანაირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ უდარა, ერთის  
შერით, ის, რომ უფლებრივი ცხოვრებისა და უფლებრივი სფეროს ელემენტები  
არიან მხოლოდ პოზიტიური სამართალი, უფლებრივი სუბიექტები და განხორ-  
ციელება ამ სუბიექტების მიერ ამ პოზიტიური სამართლისა და, შეორეს მხრით,  
იურისპრუდენციის საგანი — მხოლოდ სამართალი შეიძლება იყოს, — სხვა დასკვ-  
ნის მიღება თუ არა იმ დასკვნისა, რაც ჩვენ მიყოლეთ, ყოველად შეუძლებელია, გა-  
ნა ზემოოქმულიდან ცხადოთ არ არის, რომ იმდენად, რამდენადც ესა თუ ის ანტრე-  
პრიზა ერთ ნორმათა სისტემაშია მოცემული, ამ ნორმათა სისტემის ანტრეპრიზას  
შეუძლია იგულისხმოს მხოლოდ პიროვნებანი, როგორც ქმედობაუნარიანი სუ-

ნაექტები? ამგვარად, მოქმედი იურიდიული პირი, ჩვენი კანსტრუქციის თანახ-  
მად, არის ერთი სპეციფიური შინაარსის ნორმათა სისტემა! განხორციელება  
ნამდგილი სამართლის სუბიექტის მიერ.

„იურიდიული პირის“ წარმომადგენელი, ადმინისტრაცია, მმართველობა და  
სხვ. იურიდიული პირის ხებისყოფას კი არ ახორციელებს, არამედ იმ სპეციფიუ-  
რი შინაარსის ნორმას, რაც იმ ნორმათა კომპლექსში შედის,  
რომელშიც მოცემულია ერთი ანტრეპრიზმა, ქმნის წარმომადგენლად, მმართველად  
ადმინისტრაციად, გამგეობად და სხვ.

ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ამ  
სუბიექტების მიერ ხორციელდება, ამ ნორმის განხორციელებისათვის ხორციელ-  
დებოდეს. სრულებითაც არა! აქ უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება ერთი ანტ-  
რეპრიზმა და ამიტომაც იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის სუბიექტს შეუძ-  
ლია ნორმა თავისთვის და თავისი სახელით განახორციელოს, ის ანტრეპრიზმის,  
კ. ი. სხვისი სახელით მოქმედებს.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტრეპრიზმა  
შეიძლება აღიარებული იქნეს, მაგრამ ის შეიძლება არ ხორციელდებოდეს, ისე  
როგორც ხშირად არ ხორციელდება ნორმა. ისე, როგორც ყოველ ნორმას შეუძ-  
ლია თავის ფაქტიურ განმახორციელებელს მომავალში გულისხმობდეს, სწორედ  
ასევე ანტრეპრიზმას, რომელიც ნორმათა კომპლექსში გვაქვს მოცემული (მომა-  
ვალი), შეიძლება ფაქტიურ განმახორციელებელი აკლდეს, ამას მნიშვნელობა  
არა აქვს. საქმე ის არის, რომ თუ ამ ნორმებმა განხორციელება იწყო, განმახორ-  
ციელებელი უსათუოდ ანტრეპრიზმის სახელით მოქმედი იქნება.

# საქართველო კანონმდებლობა და სამსახურებრივი გამოგონებების დაცვა

ნაციონალური

საქართველო

მექამიდ კონკრეტულად დგას ეროვნული საპატენტო კანონმდებლობის შექმნის საკითხი. მდენად, განსცეუთოებულ ქრუალობას იძენს იურიდიულ პირთა საგამომგონებლო უფლების იღების ფარგლების შესწავლა უპირატესიდ ე. წ. „სამსახურებრივ გამოგონებაზე“. საკითხის სრულად გაშუქებისათვის საჭიროდ მიმაჩნია მოკლე ისტორიული ექსკურსის გაცემება.

¶ საპატენტო სამართლის ჩამოყალიბება მეწარმეობის განვითარებას და ბურჟუაზიის პოლიტიკურ სადაცებითან მოსვლას უკავშირდება. 1789 წელს საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ავტორთა და გამომგონებელთა უფლებები გამოაცხადა აღამიანის განუყოფელ უფლებად, ხოლო ამერიკის შეირთებული შტატების პირველმა კონსტიტუციამ გითვალისწინა ავტორთა და გამომგონებელთავის მათ მიერ შექმნილ აღმოჩენებზე და ობზულებებზე განსაკუთრებული უფლების მინიჭება შეზღუდული დროის ფარგლებში. ამ პერიოდში, ანუ მე-18 საუკუნის დამლევს, აღნიშნულმა ქვეყნებმა მიიღოს პირველი საპატენტო კანონები. რაც შეეხება ინგლისს, იქ უკვე მოქმედებდა 1623 წელს მიღებული „სტატუსი მონოპოლიების შესახებ“, რომელსაც ხშირად პირველ საპატენტო კანონად მიიჩნევენ“.

საპატენტო სამართლის ჩამოყალიბება ხდება მე-18 საუკუნის ბოლოს, ამ დროს გაბატონებული იყო ბუნებითი სამართლისა და სამრეწველო საკურატების თეორია, რაც საფუძვლიდ დაედო საფრანგეთისა და აშშ-ს საპატენტო კანონებს.

პირველი თოორის თანახმად, გამომგონებლის უფლება არის აღამიანის ბუნებრივი, მისი განუყოფელი უფლება. გამომგონებლის უფლება განიხილება როგორც პიროვნების სულიერი შემოქმედების შედეგი. ამიტომ პატენტის ჯაფება გამომგონებლის ბუნებრივი უფლების მხოლოდ დასტურია.

შეორე თეორიის თანახმად, გამომგონებლის სულიერი შემოქმედების შედეგი ვაიგივებულია მატერიალურ ნივთზე საკუთრებასთან, მათსადამე, ორივე თეორია ხახს უსვამს, რომ გამოგონება მხოლოდ მისი შემქმნელი აღამიანის შემოქმედების შედეგია და ამიტომაც, მხოლოდ გამომგონებელს აქვს უფლება თავის შეხედულებისამებრ განკარგოს გამოგონება. საფრანგეთის პირ-

1 Е. А. Богатых, В. И. Левицкий. «Патентное право капиталистических и развивающихся государств», М., «Юридическая литература», 1978 г. с. 6-7.

კული საპატენტო კანონი ამ უფლებას ადამიანის უფლებას უკავშირებს და პუნქტუალურ საფეხს, რომ, ყოველი ახალი იდეა, რომელსაც გააჩნია უნარი გახდეს საჭირო გადოებისათვის სარგებლიანი, ეკუთვნის მას, ვინც შექმნა ივი. ამიტომაც ადამიანის უფლების შეზღუდვა იქნებოდა, რომ ახალი სამრეწველო გამოგონება არ განიხილებოდეს როგორც მისი შემქმნელის საკუთრება.

აღსანიშვნავია, რომ სამრეწველო საკუთრების თეორიამ მისცა დასაბამი ცნება „სამრეწველო საკუთრება“, რომელშიც იგულისხმება უფლება გამოგონებაზე, სასაქონლო ნიშნებზე, სამრეწველო ნიმუშებზე. ამ თეორიამ დიდი გავლენა იქონია თუნამედროვე-საპატენტო სამართლის ჩამოყალიბებაში.

გერმანიის საპატენტო სამართლის განვითარებაში განსაკუთრებული როლი უკავია კოლერის იმატერიალურ თეორიას, რომელშიც ურთიერთშერწყმულია ზემოაღნიშნული ორი თეორიის დებულებანი. გამომგონებლის უფლება არის ქონებრივი და პირადი უფლებების კომბინაცია. გამომგონებლის ქონებრივი უფლება იდეების გამოყენების განსაკუთრებული უფლება. გამომგონებლის პირადი უფლების ქვეშ კი იგულისხმება უფლება ავტორობაზე. ეს თეორია გაცილებით სწორად ასახავს გამომგონებლობის სპეციფიკურ ხსიათს, რაც კარგადაა გამოკვეთილი ბელვიელი იურისტის პიკრდის მიერ შემოთავაზებულ ინტელექტუალურ უფლებათა თეორიაში. მის თანახმად, უფლება მხატვრულ, ლიტერატურულ და საგამომგონებლო შემოქმედების შედეგებზე წარმოიქმნება მათი შექმნის ფაქტით და არა იურიდიული დამოკიდებულებით. ეს უფლება განკუნებული უფლებრივი კატეგორია და არ განეკუთვნება რომის სამოქალაქო სამართლებრივ კლასიფიკაციას. თეორიამ შემოიტანა ცნება „ინტელექტუალური საკუთრება“, რომელიც ფართოდ იხმარება დღევანდელ სამართლის საკუთრებას. მან გააერთიანა სამრეწველო საკუთრება სხვა სახის შემოქმედებითი შრომის შედეგთან დაკავშირებული უფლებების საკუთრებასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური საკუთრება განსხვავდება ქონებრივი საკუთრებისაგან იმით, რომ იგი შემოფარგლულია მოქმედების ვადით. თუ უფლება საკუთრებაზე ეკუთვნის გარკვეულ პირს, უფლება ინტელექტუალური პროდუქციის, მათ შორის, გამოგონების გამოყენებაზე, ეკუთვნის პირთა განუსაზღვრელ წრეს, რადგან დასაშეგინა უსასრულო ჩეპროდუციება. ე. ი. არსებობს იურიდიული ძნელად მოსაგვარებელი წინააღმდეგობა გამოგონებლის უფლებების სრულად დაცვაში.

ამ პრობლემის გადაჭრას ეძღვნება კიდევ ერთი თეორია, რომელიც ცდოლობს გამომგონებელსა და საზოგადოებასთან ერთგვარ შეთანხმებას. კერძოდ, იდეა გამომგონებლის საკუთრებაა. ამიტომ მასვე უნდა გააჩნდეს ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობა. მაგრამ, თუ იდეის არსი გაიხსნა, ამით შეიძლება ისარგებლოს პირთა განუსაზღვრელმა წრემ. ამიტომ გამომგონებელს უნდა გააჩნდეს უფლება, რომ სხვებს აუკრძალოს მისი იდეით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ უფლებას გამომგონებელს აინიჭებს პატენტი, რომელიც მას კიდევა. პატენტის გაცემით საზოგადოება კისრულობს ვალდებულებას, რათა გარკვეული ვადით დაიცვას გამომგონებლის განსაკუთრებული უფლება, ხოლო გამომგონებელი კისრულობს იდეის არსის გახსნას. ამ თეორიამ შემოაპარა ერთი თითქოსდა უწყინიარ დებულება — თუ პატენტი გაიცემა იდეის გახსნისათვის, მაშინ რა განსხვავებაა საზოგადოებისათვის თუ ვინ აუწყებს მას იდეას გახსნას. აქედან, ვინც პირველი აუწყებს განხორციელებისათვის საქმიო სისტულით იდეას, ის მიიღებს პატენტს. ეს დებულება კიმის მიუხდავად, რომ

საფრანგეთმა პირველმა დააკავშირა გამომგონებლის უფლება ადამიანთა უფლებასთან) ერთ-ერთმა პირველმა გაიზიარა სწორედ საფრანგეთმა. 1967 წლის დასახლებულის საფრანგეთის კანონი არც კი უშვებდა, რომ გამომგონებელი შედგეროდ განმცხადებელს ავტორობის თაობაზე. აღნიშნულმა დებულებამ დიდი გავლენა იქნია მსოფლიოს ყველა ქვეყნის საპატენტო სამართალზე და თეორიული საფუძველი მისცა მეწარმეებს, რათა კანონიერად დაეუფლონ გამოგონებას, რომელიც შექმნილია მათი მუშაქების მიერ. თანამედროვე საპატენტო სამართალი, როგორც წესი, იურიდიულ პირს ანიჭებს მესაკუთრის უფლებას უ. წ. „სამსახურებრივ გამოგონებაზე“ და აქედან გამომდინარე, მეწარმეები კანონით გამოგონებელს თავის პირობებს, ფაქტობრივად არომევენ მას განუყოფელ უფლებას შემოქმედების შედევებზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ საპატენტო კანონები, უპირველეს ყოვლისა, იცავენ მეწარმეთა და არა ნამდვილ გამოგონებელთა უფლებებს. საზოგადოების პარმონიული განვითარებისათვის კი, უწინარესად, დაცული უნდა იყოს ცალკეული პიროვნების უფლებები.

ჩვეულებრივ, ფართო გაგებით, გამოგონება განიმარტება, როგორც ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში რაიმე ისეთის შექმნა ან მოგონება, რაც აქმდე არ არსებობდა<sup>2</sup>.

ასეთი რამის მოგონება ან შექმნა უთუთ დაკავშირებულია ადამიანის სულიერ შემოქმედებასთან და როგორც უკვე ოლინიშნა, ამ შემოქმედების შედეგი პიროვნების განუყოფელი საკუთრებაა.

საპატენტო სამართალი, როგორც წესი, არ განმარტავს გამოგონებას. მასში მოყვანილია კრიტერიუმები, რომლებიც უნდა ახასიათებდეს გამოგონებას. იაპონიის საპატენტო კანონი ცდილობს შემდეგნაირად განმარტოს: გამოგონება ამ კანონში ნიშნავს „ბუნებრივი კანონების გამოყენებით შექმნილ მაღალპროგრესულ ტექნიკურ იდეას“. საბჭოთა კავშირის 1974 წლის დებულება კი, „აღმოჩენებისა და გამოგონების შესახებ“, გამოგონებას მიიჩნევდა ახალ ტექნიკურ გადაწყვეტად. როგორც ვხედავთ, ეს განმარტებები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ პირველი იცავს შექმნილ ტექნიკურ იდეას, მეორე კი — ტექნიკურ გადაწყვეტას. ორივე განმარტება საქმიანდ ვიწროდ ახასიათებს გამოგონებას და სისინი არ გაიზიარა მსოფლიო პრაქტიკამ. თუმცალა, უფრო მართებულია იაპონიის განმარტება, და უნდა მივიჩნიოთ, რომ გამოგონება არის შექმედებითი შრომის შედეგად იდეის ხორციშესხმა ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. ხოლო, რადგან საპატენტო კანონი იცავს უფლებებს მხოლოდ სამრეწველო საკუთრების დარგში, მაშინ უნდა მივიღოთ შეძლები განპარტება: გამოგონება არის ადამიანის შემოქმედებითი შრომის შედეგად იდეის ხორციშესხმა, რომელსაც ახასიათებს სიახლე, სამრეწველო გამოყენებადობა და აღემატება არსებულ დონეს.

გამოგონების არსებით მაჩვენებლად მიიჩნევა იდეა, ანუ ყოველთვის სახეზე უნდა იყოს ახალი იდეისა და შემოქმედებითი შრომის არსებობა.

იდეა, თავის მხრივ, განმარტება როგორც შემეცნების განვითარების უმაღლესი საფეხური, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ადამიანის გონებას და რომელიც წარმოაჩენს ადამიანთა მითითებას ობიექტურად არსებული გარე სამართლისადმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამომგონებლო იდეაც, როგორც

<sup>2</sup> „New Webster's dictionary of the English language, tenth reprint publications“, Dely, 1988, p. 795.

ზოგადად იდეა, ახასიათებს მხოლოდ კუმინის (კრეპეტული პიროვნების) გონიერას.

უფლებას ნებისმიერ გამოგონებაზე იცავს პატენტი. არსებობს პატენტის გაცემის ორი სისტემა: საგანმცხადებლო და საგამოგონებლო. პირველი სისტემისთვის სულ ერთია ვინ მიაწოდებს განაცხადს, ნამდვილი გამოგონებელი, თუ სხვა განმცხადებელი. შესაბამისად გაცემა პატენტი. ეს სისტემა მარტივად წარმოიქმნება საკითხს თუ ვის უნდა კუთვნიდეს პატენტი, იურიდიულ პირს თუ გამოგონებელს. ვინც განაცხადა გამოგონება, პატენტიც მისია. საგანმცხადებლო სისტემა მიღებულია საფრანგეთში, ნიდერლანდებში, აფრიკის ფრანგულენვან ქვეყნებში. საფრანგეთის კანონის 1-ter მუხლი არეგულირებს გამოგონებისა და იურიდიული პირის ურთიერთდამოკიდებულების. გამოგონებელს, თუ იგი მომსახურება, შრომითი კონტაქტით ეკისრება — გადასცეს გამოგონება დამჭირავებელს, იმ შემთხვევაში, თუ გამოგონება შეიქმნა სამსახურებრივ დავალებასთან დაკავშირებით. თუ გამოგონება შექმნილია საწარმოს საქმიანობის სფეროში, ან ეხება ამ საწარმოს საქმიანობის სპეციფიკას, იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს გამოგონებისაგან უფლების მისთვის გადაცემა მთლიანად ან ნაწილობრივ. საოცარია, რომ საფრანგეთში პირველმა აღმართა პიროვნების ხელშეუხებლობა და პირველმავე შეზღუდა მისი უფლებები წრტელეტუალურ საკუთრების სფეროში.

საგამოგონებლო სისტემა ითვალისწინებს პატენტის გაცემას გამოგონების სახელზე, მაგრამ განაცხადის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს, მათ შორის — იურიდიულს. ამ სისტემის მისდევნენ უმეტესი ქვეყნები, მაგრამ, მხოლოდ აშშ-მა, კანადამ და ფილიპინებმა შეინარჩუნეს დებულება, რომელიც განაცხადის შეტანის უფლებას არ აძლევს არავის, გარდა გამოგონებლისა. ამ შემოხევების უფრო მწვავდება საკითხი, თუ ვის მიეცეს სამსახურებრივ გამოგონებაზე პატენტის მიღების უფლება — იურიდიულ პირს თუ გამოგონებელს. გაბატონდა ღოქტრინა, რომ თანმედროვე პირობებში გამოგონების შექმნა სულ უფრო ძნელდება სამსახურის (საწარმოს) გამოცდილებისა და პოტენციალის გამოყენების გარეშე. გამოგონებლის შემოქმედების შედეგი სულ უფრო ძეტად დამოკიდებულია საწარმოზე. რადგან ეს ასე, მაშინ იურიდიულ პირს უნდა მიეცეს პატენტი, გამოგონებელს კი — სათანადო ფულადი და სხვა სახის წახალისება. საწარმო შრომითი ხელშეკრულებით, ან სპეციალური კანონით, ან შიდაგანაწესით აიძულებს გამოგონებელს გადასცეს მას გამოგონება. ამავე დროს საწარმო ცდილობს დაისაკუთროს (ნაწილობრივ ან მთლიანად) უფლება ისეთ გამოგონებაზეც, რომელიც არ განეცემულება გამოგონებლის სამსახურებრივ დამოკიდებულებას. ყველაზე მკაცრად ეჭცევა გამოგონებელს გერმანიისა და მისი მიმდევარი ქვეყნების კანონი, სადაც მოქმედებს სპეციალური კანონმდებლობა სამსახურებრივ გამოგონებაზე. ფორმაციურად უფრო ლიბერალურია მიღვომა გამოგონებლის მიმართ იმ ქვეყნებში, სადაც კონკრეტური კანონმდებლობა სამსახურებრივ გამოგონებაზე. უფლებას გადაცემა არეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით (აშშ, იაპონია, ყოფილი სსრკ და ა. შ.), ყველაზე მეტ უფლებას ანიჭებს გამოგონებელს იაპონიის კანონმდებლობა, რომელიც სამსახურებრივ გამოგონებაზე იურიდიულ პირს აძლევს უპირატეს უფლებას მხოლოდ პატენტის ან უბრალო ლიცენზიის შეძენაზე, მაგრამ ამავე კანონის პ. 2 ადგენს ღამეირავებლის უფლებას პატენტის მიღებაზე ხელშეკრულების, შინაგანაწესის ან სხვა შეთანხმებას პატენტის მიღებაზე ხელშეკრულების, შინაგანაწესის ან სხვა შეთან

ხმების საფურცელზე. რომ არა ეს ძუხლი, გამომგონებლის უფლების დაცვის საპატენტო კონკრეტული თვალისაზრისით, კონტი სრულყოფილი იქნებოდა.

როგორც ეხედავთ, გამომგონებლის უფლების დაცვა საპატენტო კონკრეტის მიერ, არ არის ოლიარებული შეუფალ ნორმი. პირებით, საერთაშორისო საპატენტო პრაქტიკა ცდილობს რაც შეიძლება ძეტი უფლება ჩამოართვას პროცენტის პრატიკა ცდილობს გარეულწილად წს ნორმი ცნო პარიზის კონვენციამ. რომლის თანაბმადაც, (მ. 4-ter) გამომგონებელს გააჩნია უფლება. რომ იგი დასახულებული იყოს პატენტში, ეს მუხლი ერთდროულად აღიარებს გამომგონებლის უფლებას აეტორობაზე (ამას ხომ სპეციალური აღიარებულ უნდა) იმ შემთხვევაში, როდესაც პატენტი გაიცემა სხვა პირზე, ამით, მცოდნებერიც უშვებს იურიდიული პირის მიერ პატენტის მიღების უფლებას. ამიტომაც ცალკეული ქვეყნების საპატენტო და სამოქალაქო სამართლის შემოაქვს ცნება „სამსახურებრივი გამოგონება“ და აკანონებს იურიდიული პირის უფლებებს გამოგონებაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, გამოგონება ნებისმიერ პირობებში, მხოლოდ პროცენტის შემოქმედების შედეგია. ამიტომ პატენტიც მას უნდა უკუთვნოდეს. საჭარბოს კი, როგორც ხელშემწყობ სუბიექტს, უნდა მიეცეს. შეღავაობი: უპირატესი უფლება გამოგონების გამოყენებაზე და საპატენტო უფლებების დათმობაზე. ე. ი. საჭარბო უნდა იყოს დამოკიდებული გამომგონებელზე და არა — პირიქით.

თავად ცნება „სამსახურებრივი გამოგონება“ არასწორია და შემოვიდა რუსული ტერმინის (Служебное изобретение) თარგმნით, ინგლისურში, მაგალითად, იხმარება „employee's invention“ — „მოსამსახურეთა გამოგონება“. ტერმინს „სამსახურებრივი გამოგონება“ უმეტესად ვერ ხმარდენ, იმიტომ, რომ მაშინ სამსახურში დაქირავებულმა, ნებისმიერმა პირმა, სათანადო პირობების უზრუნველყოფით (ხელშეწყობით) უნდა იუცილებლად შექმნას გამოგონება. ეს კი, ცხადის, შეუძლებელია, ერთი სიტყვით, სამართლი მაშინ იქნება სამართლი, როცა შეძლებს პიროვნების უფლებების სრულ დაცვას, საზოგადოების უპირატესი ამოცანა ხომ ის უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება შეტი თავის უფლება და შემოქმედებითი ტრმოსფერი შეუქმნას პიროვნებას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ ეროვნული საპატენტო კანონის დამუშავებისას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით შექმნილ გამოგონებაზე დაწესდეს შემდეგი ნორმა:

პატენტი გაიცეს ავტორის (გამომგონებლის) სახელზე;

კატეგორიულ პირს მიეცეს უფლება მარტივ, უსაყიდლო ლიცენზიაზე და ურიდიულ პირს მიეცეს უფლება პატენტის შეძნაზე, თუ გამომგონებელი დაპირებს მის გასხვისებას;

იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს დაიქირავებენ საგამომგონებლო სამიანობის შესასრულებლად და მისი მოვალეობა იქნება მხოლოდ გამოგონება, მაშინ გამომგონებელმა იურიდიულ პირს დაუთმოს პატენტის მიღების უფლება.

დ. კამპაზილი,  
საქართველოს რესპუბლიკის მიცენებულებისა და ტექნიკის სამინისტროს  
როს საპატენტო-სალიციურზო განკუთვნების შთავაზი სპეციალისტი.

# კონტრაპანდის ობიექტის აზალი

## კონცეფციისათვის

ამ დანაშაულის გვარობითი (სპეციალური) და სახეობითი (უშუალო) ობიექტის სწორად განსაზღვრაზე დიდად არის დამოკიდებული სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმის სისტემატიზაცია, ე. ი. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამის თავში მისი შეტანა, აგრეთვე, კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრა.

„საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე „საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტის კანონით, კონტრაბანდა შეტანილია II ქვეაგუშში – „სხვა სახელმწიფო დანაშაულში“. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო დანაშაულისათვის პასუხისმგებლის სფეროში აღიარებული სპეციალისტები სხვა სახელმწიფო დანაშაულების გვარობით ობიექტს განსაზღვრავენ შემდეგნაირად: „სხვა სახელმწიფო დანაშაულებს მიეკუთვნება კანონით გათვალისწინებული ხელყოფა ქვეყნის ძირითადი ინტერესებზე სახელმწიფო მმართველობის, უშიშროების, სახელმწიფო საზღვრების რეჟიმის; სოციალისტური მეურნეობრიობის, ტრანსპორტისა და მართლმაჯულების სფეროში“<sup>1</sup>. ამასთან, სპეციალისტები აღიარებენ, რომ სხვა სახელმწიფო ურთიერთობანია არაერთგვაროვანია თავიანთი შემაღებელობით, ამიტომ მზოლოდ პირობით (?!) შეიძლება მათვის ერთიანი გვარობითი ობიექტის განსაზღვრა.<sup>2</sup> (ზაჟავასმა ჩვენია – დ. დ.).

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ „პირობითობა“ ზღუდავს ნებისმიერ ფასეულობაზე ზელყოფის ობიექტს. საქმე ეხება არა ამ დანაშაულთა გვარობითი ობიექტის „პირობითობას“, არამედ იმას, რომ ობიექტურ სოციალურ სინამდვილეში უბრალოდ არ არსებობს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთსახოვანი ჯგუფი, რომელთა ბაზაზე შეიძლებოდეს გვარობითი ობიექტის მეცნიერულად კონექტური დეფინიციის ჩამოყალიბება. ამიტომ, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ი. ლიაბუნოვის და ა. მშვენიერამის კატეგორიულად ჩამოყალიბებულ აზრს: „რესპუბლიკურ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში II კანის I თავი – „სხვა სახელმწიფო დანაშაულებები“ აერთიანებს ნორმებს იმ დანაშაულებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებსაც არა აქვთ გვარობითი ობიექტი. სხვა სახელმწიფო დანაშაულთა საერთო განმარტების გამოუმუშავებლობა გვაძლევს საფუძველს დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ მიზანშეწონილია სხენებული ნორმები მოთავსდეს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამის თავებში“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულებისათვის“, მ., 1988, გვ. 84.

<sup>2</sup> ერები, გვ. 85

<sup>3</sup> „სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემატიზაციის საფუძვლები“, სამართლმცოდნეობა, 1985, № 3, გვ. 30.

კველაზე მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ხსენებული აშენებდნენ  
ვა სახელმწიფო დანაშაულთა გვაროვანი ობიექტის „პირობითობის“ ფუნქციურობა  
სას იზიარებენ იმ აზრს, რომ დანაშაულთა დასახელებულ ჯგუფს საერთოდ არა  
აქვს ერთიანი გვარობითი ობიექტი.<sup>4</sup>

ამიტომ შეიძლება შეცნიერულად დასაბუთებული კონსტატაცია იმისა, რომ  
სხვა სახელმწიფო დანაშაულობების ე. წ. „კველუფი“ არის უსისტემო ნორმატიუ-  
ლი წარმონაქმნი, რომელიც ქაოტურად შექმნილი სამართლებრივი ნორმების  
კონგლომერატია. სხვადასხვა იურიდიულ ერთეულების მქანიკურად და ხე-  
ლოგნურად შეერთება ზღუდავს სისხლის სამართლის კოდექსებს განსაკუთრე-  
ბული ნაწილის ამ თავის დანაშაულთა ერთიანი გვარობითი ობიექტის განსაზღვ-  
რას.

როგორ განისაზღვრება კონტრაბანდის სახეობითი (უშუალო) ობიექტი თე-  
რიაში?

„სახელმწიფო დანაშაულობების“ კოლექტიურ მონოგრაფიაში ის განისაზღ-  
ვრება როგორც სახელმწიფო მონოპოლიაზე დაფუძნებული საგარეო ვაჭრობის  
ინტერესები<sup>5</sup>, ვ. ვლადიმიროვი თვლის, რომ ამ დანაშაულის ობიექტია საგარეო  
ვაჭრობის მონოპოლია, ე. ი. სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება ამ რეგა-  
ნორების სახით, რომლებიც უფლებამოსილი არიან განახორციელონ საგარეო  
საგაჭრო ოპერაციები და იმპორტულ-ექსპორტული გარიგებანი<sup>6</sup>.

მიგგაჩნია, რომ, სახეობითი ობიექტის განსაზღვრა, რაც ჩამოყალიბებულია სა-  
მეცნიერო ლიტერატურაში, არასრულყოფილია შემდეგი მიზეზების გამო:

უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს გარევეული სფეროს მონოპოლია არ  
წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ის არ მიეკუთვნება ასევე სოცი-  
ალურ კატეგორია „ინტერესს“, ეს არის ნორმატიული ცნება. ნებისმიერი სა-  
ხელმწიფო მონოპოლია, მათ შორის საგარეო ვაჭრობაც, განსაზღვრება რო-  
გორც სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება – განახორციელოს საქმიანობა  
იურიდიულად განსაზღვრულ სფეროში.

ამასთან, ჩვენი პზრით, სამართლებრივ კატეგორიას არცერთ შემთხვევაში  
არ შეუძლია შეცვალოს საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური კატე-  
გორია და წარმოადგენდეს დანაშაულის სახეობით ობიექტს. უკეთს შემთხვე-  
ვაში, მონოპოლია შეიძლება მივიჩნიოთ როგორც „სამართლებრივი გარსა“  
(ვ. ნ. კულტურული უფლება) შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომელიც  
წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი ნორმის ობიექტს. აქედან შემდეგა მი-  
ვიდეთ იმ დასკვნამდე, რომ კონტრაბანდის ობიექტის პრობლემა იურიდიულ  
ლიტერატურაში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი და შესწავლელია.

კონტრაბანდის ობიექტის ნორმატიული განსაზღვრის პიზიცია უკავია ა. ი.  
სუჩიკოვსაც, ამის თაობაზე ის წერს: „კონტრაბანდის ობიექტს წარმოადგენს სა-  
გარეო ვაჭრობის მონოპოლია და სსრ კავშირის საზღვრებზე საქონლის გადა-  
ტანა-გადმოტანის დაწესებული წესები. ამ წესების დარღვევისას დამნაშავე  
ხელყოფს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას საგარეო ვაჭ-  
რობის ოპირაციებისა და საექსპორტო-საიმპორტო გარიგებების განხორციელე-

<sup>4</sup> ვ. ა. ვლადიმიროვი, სისხლის სამართლებრივი ბრძოლა კონტრაბანდასთან, შ., 1959,

გვ. 18.

<sup>5</sup> „სახელმწიფო დანაშაულებები“, შ., 1961, გვ. 161.

<sup>6</sup> ვ. ა. ვლადიმიროვი, სისხლის სამართლებრივი ბრძოლა კონტრაბანდასთან, შ., 1959,  
გვ. 18.

ბას სფეროში, მეორე მხრივ, საქონლის და ფასეულობის გატანისა და შემოტკინის დადგენილ წესს? (ზაზგასმა ჩვენია დ. დ.).

როგორც ვხედავთ, ავტორი განსაზღვრავს კონტრაბანდის ნორმატიულ კატეგორიას „სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება“ და „დადგენილი წესები“. საკითხისადმი ასეთ მიღობას ვერ დავთანხმებით, რადგან უფლება დანაშაულის იძიების სოციალური ბაზა საზოგადოებრივი ურთიერთობებია. ნორმატიული კატეგორია მეორადია, სოციალური კატეგორიიდან გამომდინარე. პირველი უყრდნობა და იურიდიულად ემსახურება მეორეს. ობიექტის ნორმატიული განსაზღვრის მოწინააღმდეგი ი. ი. ლიაბუხოვი წერს: იმის კონსტატაცია, რომ დანაშაული არღვევს გარკვეულ წესებს, აფექტისრებს მხოლოდ იმას, რომ ასეთის დაშვება არ შეიძლება დასჯითი სანქციის გამოყენების შიშით. ობიექტის სწორი განმარტება უნდა გამომდინარეობდეს იმ მოქმედების შინაარსიდან, რომელიც ზიანს აყერებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს.<sup>7</sup>

ნებისმიერი დანაშაული, და მათ შორის, კონტრაბანდა, ჩვენი აზრით, ხელფფს არა იურიდიულ ფორმებს, არამედ სოციალურ შინაარსს, რომელიც დაცულია კანონის ნორმებით, სხვადასხვა ნორმატიული ხასიათის წესებით, კონტრანდის იძიების განმარტება – „საგარეო ვაჭრობის მონოპოლია“ – მეცნიერული თვალსაზრისით, ღრმა ანაქრონიზმია. სინამდვილეში, თანამედროვე პირობებში საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია კარგა ხანია არ არსებობს, 1987 წელს საფუძვლიანი რეფორმების შედეგად საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მ სფეროს საქმიანობა ლიკვიდრებულ იქნა. გაფართოვდა საგარეო ვაჭრობის სუბიექტების წრე ამ უუნციფიციის გადაცემით ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებზე, კოოპერატივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რაც ადაპტურებს მეცნიერებაში დამკვიდრებულ კონტრაბანდის გვარობითი ობიექტის განსაზღვრის არასრულყოფილებას, რადგან, ასეთი განმარტება სცილდება საგარეო ვაჭრობის გამოხატულების ორგანიზაციულ, ეკონომიკურ წესებს. ბაზარი, საბაზო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირება და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია ეკონომიკური შინაარსით ერთმანეთს გამორიცხავს.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობის ცალკეული ელემენტების სახელმწიფოებრივ რეგულირებას (მაგალითად, ცალკეულ გარიგებათა ლიზენცირება), ეს, საერთოდ, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოსათვის მიღებული პრაქტიკაა, რასაც საერთო არაფერი აქვს საბჭოთა მოდელის საგარეო ვაჭრობის ტოტალიტურ მონოპოლიასთან.

ეჭვს არ იწვევს ის, რომ კონტრაბანდა, თავისი ძირითადი პარამეტრებით და ანტისოციალური მიმართულებებით, შეიძლება მიეკუთვნოს ეკონომიკურ დანაშაულთა კატეგორიას. ამის თაობაზე იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ კონტრაბანდული წესით საქონლის გატანა-შემოტანა ზარალს აყენებს სახელმწიფოს ეკონომიკას, რადგან ბიუჯეტში არ შედის საქონელზე დაწესებული ბაჟი. უფლის საზღვარგარეთ გადაქაჩია ხშირ შემთხვევაში კონტრაბანდისთან არის დაკავშირებული. შემთხვევითი როდია, რომ „პასუხისმებლობა სახელმწიფო დანაშაულებისათვის“ – მონოგრაფიის ავტორები კონ-

<sup>7</sup> ა. ი. სუჩიოვი, კონტრაბანდა და პასუხისმებლობა, კალინინგრადი, 1978.

<sup>8</sup> ა. ი. ლიაბუხოვი, ბუნების სისტემის სამითლებრივი დაცვა შინაგან საქმეზა რეგისტრი, ბის მიერ, მ., 1974, გვ. 20.

ტრაბანდის მიაკუთხებენ დანაშაულთა იმ ჯუფს, რომელიც ხელფილები სახელ  
მწიფოს ინტერესებს სოციალისტური მეურნეობრიობის სფეროში.

კონტრაბანდის ეკონომიკურ ასპექტზე უთითებენ სხვა ავტორებიც, ისინ  
აღნიშვნავენ, რომ საბაჟოს დაწესებული რეგიმი, რომელიც ირლევვა აღნიშვნელ  
დანაშაულით, არის სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარჩევა

ამრიგად, მეცნიერებაში საკმაოდ ძალისატა აზრი კონტრაბანდის  
ეკონომიკურ-სამეურნეო ბუნებაზე; კონცენტრირებული სახით ეს პოზიცია პირ-  
ველად იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქვა ი. ი. ლიაპუხოვმა, რომელმაც და  
ყენა საკითხი, კონტრაბანდის პასუხისმგებლობისათვის „დაწესებული მუხლ  
შეეტანათ „სამეურნეო დანაშაულში“.<sup>10</sup>

ჩვენც ვიზიარებთ კონტრაბანდის ანტისოციალური მიმართულების ასეთ შე-  
ფასებას და მიგვაჩნია, რომ თავისი შინაარსით იგი მიეკუთვნება სამეურნეო და  
ნაშაულს.

როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა ემყარება საზოგადოებრივ ურთი-  
ერთობათა ერთგვარივაზ ჯუფს, რომელიც არეგულირებს ეროვნული ან სახ-  
ლვარგარეთის პროცესუაციის განაწილებას და მოხმარებას. ეკონომიკის ამ სფე-  
როს სისხლის სამართლებრივი წესით დაცვა არ შეიძლება გაიყოს რომელიმე  
„ჩინური კედლით“, როგორც ამის მრავალი წლის განმავლობაში პქნება და  
გილი ჩვენს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. პირიქით, ის უნდა შეერ-  
თდეს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწი-  
ლის იმ თავში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სამეურნეო დანა-  
შაულებისათვის, რაც უნდა გავითვალისწინოთ ახალი კოდექსების შემუშავე-  
ბისა და გამოცემის პროცესში.

კონტრაბანდის ძირითად გვრობით ობიექტს განვსაზღვრავთ როგორც სა-  
ზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთა შინაარსია სუბიექტების თავისუფალ  
საგარეო-სავაჭრო ეკონომიკური საქმიანობა, აგრეთვე, საბაჟო კანონმდებლობათ  
რეგლამენტირებული საბაჟო ურთიერთობათ.

თეორიაში მიღებულია სისხლის სამართლის ნორმების ობიექტების სის-  
ტემატიზაცია არა ძარტო კერტიკალურად, არამედ პრიზონტალურადაც<sup>11</sup>. ისე  
თი კლასიფიკაციის გამოყენება ერთი და იმავე დანაშაულის ობიექტების მა-  
მართ – პრიზონტალურად იბიექტების კლასიფიცირება – ხდება ძირითადი,  
დამატებითი და ფაკულტატური წყობით. დამატებითი და ფაკულტატური ობიექ-  
ტების გამოყოფა, სადაც ეს შესაძლებელია, უეჭველად სრულყოფს სოციალურ  
კავშირთა იმ სფეროს, რომელსაც ადგება ზიანი დანაშაულის გამ.

ძირითად ობიექტად ითვლება სასამართლოს მიერ დაცული სიკეთე, რომ-  
ლის ხელფოფისაგან დასაცავად სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არის  
შესაბამისი მუხლი, კერძოდ, სსკ 70-ე მუხლი. ძირითადი ობიექტი ყოველთვის  
ზიანდება ამ სახის დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში. დამატებითი ობიექტი,

<sup>9</sup> ს. 3. ლიაპუხი, ა. ა. იგნატოვი, მ. 3. კარპუშინი, პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანა-  
შაულებისათვის, მ.; გვ. 157.

<sup>10</sup> ი. ი. ლიაპუხივი, პასუხისმგებლობა სამეურნეო დანაშაულებისათვის, „სოცეტისაა  
იუსტიცია“, 1983, № 18. გვ. 15.

<sup>11</sup> იბ. მაგალითად, ი. ი. კორტესკი, ობიექტი და სისხლის სამართლებრივი დაცვის საგანი,  
გ., 1980, გვ. 248; მასთან აღსანიშნავია, რომ ეს კონსტრუქციული იდეა ზოგად ფრჩებში გა-  
მოთქვა ჰქონდებოდა.

წევნი აზრით, ირლეგება ძირითადად ობიექტთან ერთად, მაგრამ კანონმდებლობაში უკრეაციული სასხლის სამართლის ნორმის არსებობა არ არის განპირობებული მისი დაცვის უკრეაციული ფორმის შემთხვევაში ზიანდება დანაშაულით, მეორე შემთხვევაში კი — არა.

კონტრაბანდის სპეციფიკის გათვალისწინებით ჩევნ მივედით იმ დასკვნამ-  
ცე, რომ მისი დამატებითი ობიექტი უნდა განიხილებოდეს როგორც დანაწევ-  
რებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, ამ დანაშაულის ჩადენით ე. ი. სახელ-  
წიფო საზღვარზე საქონლის უკანონო გატანით, პირი ცდილობს მიიღოს მატერ-  
იალური სიკეთე. კონტრაბანდის ჩადენისას დამნაშავეს ეძლევა რეალური საშუა-  
ლება განკარგოს ნივთები და სხვა ფასეულობანი. გარდა ამისა, კონტრაბანდის  
უბიექტი უქანონოდ მდიდრდება საბაზო გადასახადის გადაუხდელობით. თავი-  
სი არსით, მართებულია, რომ კონტრაბანდა განვიხილოთ როგორც სოციალური  
პრატიტიზმის გამოყლინების თავისებური ფორმა, უკანონო შემოსავლების  
ძილის წყარო.<sup>12</sup> ი. ლიაბუნოვი კონტრაბანდას, როგორც უკანონო შემოსავლე-  
ბის საშიშ წყაროს, განიხილავს სასამართლო პრატიტიკის მასალებზე დაყრდნო-  
ბითაც.<sup>13</sup> მართლაც, ხშირად კონტრაბანდისტული ოპერაციებისაგან მიღებული  
შემოსავლების მოცულობა მიღიონი მანეთით განისაზღვრება. ასეთ ვითარება-  
ში კონტრაბანდა ძირითადი ობიექტის გარდა ხელყოფს დამატებით ობიექტს —  
პრიდუქციის განაწილების მარეგულირებელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

კონტრაბანდის შემადგენლობის ფარგლებში შესაძლებელია ფაკულტატუ-  
რი ობიექტის გამოყოფაც. მაგალითად, საკითხების ურთიერთობანი, სახელმწი-  
ფო აპარატის საქმიანობის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობანი და სხვა.  
უგალითად, თუ კონტრაბანდა დაკავშირებულია სახელმწიფო ქონების განად-  
ევრებასთან ან დაზიანებასთან, რაც ხშირად ხდება ხოლმე საქონლის გადამალ-  
ების მიზნით საზღვაო გემებზე დამნაშავების მიერ საცავებისა და სპეციალური  
შესანახი აღგილების მოწყობის დროს, აქ ერთდროულად ხელყოფილია სახელ-  
წიფო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობებიც.

თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით  
ჩადენილი კონტრაბანდის დროს, ფაკულტატური ობიექტის სახით ირლეგება სა-  
ხაფ დაწესებულებების, სასაზღვრო ნაწილების საკონტროლო-გასაშევები პუნ-  
ქტების ნორმალური ფუნქციონირება. კონტრაბანდა, რომელიც დაკავშირებუ-  
ლია ფაქტური საბაზო და სხვა საბუთების გამოყენებასთან, უხეშად არღვევს  
უფიციალური საბუთების დამზადების და გამოყენების დადგენილ წესებს.

ფაკულტატური ობიექტების მიმართ კონტრაბანდა განსაკუთრებულ ინტე-  
რების იწვევს ხელყოფის საკითხების ნიშნებითაც. მაგალითად, იარაღისა და ფეთ-  
ქებადი ნივთიერებების კონტრაბანდა ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას.  
საზოგადოებრივი უშიშროების პრობლემები საკმაოდ ღრმად არის წარმოდგენი-  
ლი კ. პ. ტიბის სადოქტორო დისერტაციაში, ის აღნიშნავს, რომ ცეცხლსასროლი

<sup>12</sup> ი. ჩ. ი. ლიაბუნოვი, სოციალური პარატიტიზმი როგორც ანტისაზოგადოებრივი მოვ-  
ლენა, ივანოვო, 1987, გვ. 5-19.

<sup>13</sup> ი. ჩ. ი. ლიაბუნოვი, უკანონო შემოსავლებთან ბრძოლის სამართლებრივ საშუალებები, მ., 1987, გვ. 40.

იარაღის მაღალი საშიშროების წყაროს გამოყენება სერიიზულად მოღვაწეობა შოგადოებრიობის და მოქალაქეთა ინტერესების<sup>14</sup>.

საზოგადოებრივი უშიშროება ჩვენს შემთხვევაში არის კონტრაბანდის არა ძირითადი, არამედ ფაკულტატური ობიექტი. ვ. პ. ტიხის აზრით, საზოგადოებრივი უშიშროება ეს ისეთი ურთიერთობანია, რომელიც წარმოადგენს განსახილველი დანაშაულის გვარიბით ობიექტს, რომელიც შეიძლება დაზიანდეს ასევე სხვა სახის ხელყოფების შედეგადაც.<sup>15</sup> ერთ-ერთი ასეთია კონტრაბანდა, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას.

კონტრაბანდის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს ხაქართველოს რესპუბლიკის ახალი კანონმდებლობით მიეკუთვნება სახელმწიფო საზღვრებზე შხამიანი და სლიერმოქმედი ნივთიერებების უკანონო გადატანა. ასეთი ნივთიერებები აღმიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშია. ეს საქმარისი საფუძველია იმისა, რომ კონტრაბანდა ამ სახითაც ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას.

კონტრაბანდით განხორციელებული ე. წ. „შავი ნარკობაზარი“ ხშირ შემთხვევაში ქმნის არა მარტო საშიშროებას, არამედ რეალურად აღღვევს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო წესს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულია კრებითი ტერმინებით – „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ და „ხალხის ჯანმრთელობა“. აღნიშნულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიციოლოგიური და სისტემურ-სტრუქტურული ანალიზი ჩვენი სტატიის ფარგლებს სცილდება, მისტომ მათზე არ შევჩერდებით. ამჯერად გვინდა ხაზი გავუსვათ შხოლოდ იმ ფართო საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რასაც ზიანი ადგება კონტრაბანდის დროს. ამასთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურაში კამოთქმულ იმ მოსაზრებებს, რომ მიზანშეწონილია ფაკულტატური ობიექტი გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ლანაშაულების მაკვალიფიცირებელ ნიშნად; თეორიულ ასპექტში ეს თათქოს გამართლებულიც არის, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება შეუძლებელია.

კონტრაბანდის ძირითადი, დამატებითი და ფაკულტატური ობიექტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ამ დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და მოქმედების ფარგლები.

დ. დავითიაშვილი,  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
პროექტორის უფროსი თანამდებობების სახელმწიფო უშიშროების შესაბიძის ასოდიებაზე ჰელამხედველობის სფეროში.

14. ვ. პ. ტიხი. საშიშ საგნებთან მოქმედების უსაყრთხოების წესებისათვის ხისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, კუვი, 1989, გვ. 8.

15. ვ. პ. ტიხი, იქნ. გვ. 11.

## ევროპის უფიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელიც ჰელინგში დაწყო 1973 წლის 3 ივნისს და გრძელდებოდა უნივერსიტეტის 18 სექტემბრიდან 1975 წლის 21 ივნისამდე, 1975 წლის 1 აგვისტოს დამაკვრებეს ჰელინგში ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, ულგარეთის, გაერთიანებული სამეფოს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დანიის, ესკანდინის, თურქეთის, ირლანდიის, ისლანდიის, იტალიის, იუგოსლავიის, კანადის, კვიპროსის, ლიბერტეტინის, ლუქსემბურგის, მალტის, მონაკის, ნიდერლანდიის, ნორვეგიის, პალონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, საბერძნეთის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის, სან-მარინოს, საფრანგეთის, უნგრეთის, უწმინდესი ტახტის, ფინეთის, შვეიცარიის, შვეიცარია და ჩეხისლოვაკიის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებმა.

თათბირის დაწყებითი და დასკვნითი ეტაპების დროს მის მონაწილეთა წინაშე, როგორც საპატიო სტუმარი, გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. თათბირის მეორე ეტაპის დროს თავიანთი წლილი შეიტანეს იუნის გენერალურმა დირექტორმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა.

თათბირის მეორე ეტაპის სხდომების დროს დღის წესრიგის სხვადასხვა აუქტის შემუშავებაში წვლილი შეიტანეს აგრეთვე შემდეგი არამონაწილე ძმელთაშუაზღვის სახელმწიფოების: ალგირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის, ისრაელის, მაროკოს სამეფოს, სირიის არაბთა რესპუბლიკის, ტუნისის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

მონაწილე სახელმწიფოთა მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებს, რომლებიც შთაგონებული არიან პოლიტიკური მისწრაფებით, იღწვიან ხალხთა ინტერესებისათვის, მათი ურთიერთობის გაუმჯობესებისა და აქტივიზაციისათვის, ევროპის მშვიდობის, უშიშროების, სამართლიანობისა და თანამშრომლობის სელშეწყობისათვის, მათ შორის, აგრეთვე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოთა დაახლოებისათვის, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამასთა დაქავშირებით სრული ქმედითობა მიახიჭონ თათბირის შედეგებსა და უზრუნველყონ ამ შედეგების ნაყოფის გამოყენება თავიანთ სახელმწიფოებს შორის და მთელ ევროპაში, რათა გაფართოონ, გააღრმაონ და განამტკიცონ დამაბულობის შენელების პროცესის წინსვლა.

საქვეყნოდ მიიღეს შემდეგი:

ეკრობის უშიშროებისა და თანამშრომლობის | თათბირის მონაცემების საფუძველი

მწიფობი

ადასტურებენ, რომ მათი მიზანია ხელი შეუწყონ მათ შორის ურთიერთობა გაუმჯობესებისა და უზრუნველყონ პირობები, რომლებიც მათ ხალხებს შელებათ იცხოვონ ნამდვილი და მტკიცე მშვიდობის პირობებში, და მათი უშიროება დაცული იქნება ყოველგვარი ხაფრთხისა თუ ხელყოფისაგან;

დაწმუნებული არიან, რომ საჭირო განახორციელონ ღონისძიების რათა დაბაბულობის შენელება გადაქციონ როგორც უწყვეტ, ისე სულ უფრო სიცოცხლისუნარიან და ყოველმხრივ პროცესად, ყოველისმომცემად. და იმ მი, რომ ეკრობის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგების განვითარება იქნება ერთ-ერთი უდიდესი წვლილი ამ პროცესში:

მიაჩინათ, რომ ხალხთა სოლიდარობას, ისევე როგორც მონაცილე სახელმწიფოთა საერთო მისწრაფებას იმ მიზნების მიღწევისადმი, რომლებიც ემზადებისა და თანამშრომლობის თათბირმა დასახა, უნდა მოჰყევს მათის უკელა დარგში უკეთესი და უფრო მჭიდრო ურთიერთობის განვითარება, და, ამრიგად, იმ დაპირისირების დამლევა, რომელიც გამომდინარეობს წარმატების მათი ურთიერთობის ხასიათიდან, და უკეთესი ურთიერთგაგება;

ასევე რა თავიანთი საერთო ისტორია და ცნობენ, რომ მათს ტრადიციებსა და ლირებულებებში საერთო ელემენტების არხებობას შეუძლია დაეხმაროს ამ ურთიერთობის განვითარებაში, მოლიანად იღებენ რა მხედველობას მათი პირზე და შენედულებების თავისებურებასა და სხვადასხვაობა აღსაესქნი არიან სურვილით გამოხატონ მესაბდებლობანი თავიანთი ღონის მიებების გასაერთიანებლად, რათა დაძლიონ უნდობლობა და განამტკიცებ ნდობა, გადაწყვიტონ პრობლემები, რომლებიც მათ თიშავენ და ითანამშრომლონ კაცობრიობის საკუთილდღეოდ:

ცნობენ რა, რომ ეკრობის უშიშროება განუყოფელია, და ერთნაირად არიან დაინტერესებული მოედ ეკრობასა და ურთმანეთს შორის თანამშრომლობის განვითარებით, და გამოხატავენ თავიანთ განზრახვას, ახორციელებდნენ შესაბამის ღონისძიებებს:

ცნობენ რა ეკრობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების შორის მჭიდრო კავშირს და შეგნებული აქვთ, რომ საჭიროა თითოეულ მათგანმა შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში და ხელი შეუწყონ ყველა ხალხის ძირითად უფლებებს, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებსა და კეთილდღეობას;

მიიღეს შემდეგი:

a) დეპარატია პრიციპებისა, რომლებითაც მონაცილე სახელმშივრებელი ისალემდვანებებან ურთიერთობაში

მონაცილე სახელმწიფოები,

რომლებიც ადისტურებენ, რომ მშვიდობის, უშიშროებისა და სამართლოს ნიბის, მეცნიერებლი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების პრცესის ერთგული არიან

ცნობენ, რომ ეს ერთგულება, რომელიც ასახავს ხალხთა ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავს თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ახლანდებულ და მოძველ პასუხისმგებლობას, რომელიც გაიზარდა წარსული გამოცდილების შედეგად;

ადასტურებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობის შესაბამისად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად მთლიანად და აქტიურად უჭერენ მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი როლისა და ეფექტურობის ამაღლებას საერთაშორისო მშვიდობის, უშიშროებისა და სამართლიანობის განმტკიცებაში და ხელს უწყობენ საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას, ისევე როგორც სახელმწიფოთა მეცნიერებლი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებას;

გამოხატავენ თავიანთ საერთო ერთგულებას ქვემოთ ჩამოყალიბებული და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისი პრინციპებისადმი, ვრცელების, თავიანთ საერთო ნებას — იმოქმედონ ამ პრინციპების გამოყენებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და პრინციპების შესაბამისად;

აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პატივი სცენ და გმოიყენონ ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის, აგრეთვე მათი სიდიდის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად, შემდეგი პრინციპები, რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვთ და რომლებითაც იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში:

## I. სუვერენიტეტისათვის და მახასიათებელ უფლებათა პატივისცემა

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთის სუვერენიტელ თანაწილობასა და თავისებურებას, აგრეთვე ყველა უფლებას, რომლებიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის და რომლებსაც მოიცავს იგი; მათ შორის, კერძოდ: თითოეულ სახელმწიფოს იურიდიული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლებას. ისინი აგრეთვე პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას თავისუფლად აირჩიონ და განავითარონ თავიანთი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები, ისევე როგორც იმ უფლებას, რომ დააწესონ თავიანთი კანონები და ადმინისტრაციული წესები.

საერთაშორისო სამართლის ფარგლებში ყველა მონაწილე სახელმწიფოს თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვს. ისინი პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ და განახორციელონ ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და ამ დექლარაციის სულისკვეთებით. მათ მიაჩნიათ, რომ მათი საზღვრები შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით. მათ აგრეთვე უფლება აქვთ ეკუთვნოდნენ ან არ ეკუთვნოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, იყვნენ ან არ იყვნენ ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულების მონაწილენი, კერძოდ, უფლება აქვთ იყვნენ ან არ

იყვნენ საკავშირო ხელშეკრულებათა მონაწილენი; მათ აგრეთვე აქვთ ნეიტრალური ტიტულის უფლება.

## II. მაღის ან მაღით დამუქრების გამოყენებობა

მონაწილე სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერთობაში, ისევე როგორც საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობაში, თავს შეიკავებენ ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენებისაგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისევე რაიმე სხვა სახით, რომელიც შეთავსებულია გაერთიანებული ერების მიზნებთან და ამ დეკლარაციასთან, არავითარი მოსაზრების გამოყენება არ შეიძლება იმისათვის, რომ და-ასაბუთონ ძალის ან ძალით დამუქრების გამოყენება; რომელიც დაარღვევს ამ პრინციპს;

შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც გულისხმობს ძალით დამუქრებას თუ პირდაპირ ან არაპირდაპირ ძალის გამოყენებას სხვა მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ ისინი ასევე თავს შეიკავებენ ისეთი მიზნით ძალის ყოველგვარი გამოვლინებისაგან, რომელიც აიძულებს სხვა მონაწილე სახელმწიფოს უარი თქვას თავისი სუვერენული უფლებების სრულ განხორციელებაზე, ერთმანეთთან ურთიერთობაში ისინი ასევე შეიკავებენ თავს ძალის დახმრებით რეპრესალიების ყოველგვარი აქტისაგან,

ძალის ან ძალით მუქარის არავითარ გამოყენებას არ შიძართავენ როგორც საშუალებას, რომ მოაწესრიგონ დავა ან საკითხები, რომლებმაც შეიძლება მათ შორის დავა გამოიწვიოს.

## III. საზღვრების ურღვევიბა

მონაწილე სახელმწიფოებს ურღვევად მიაჩინათ ერთმანეთის მთელი საზღვრები, ისევე როგორც ყველა სახელმწიფოს საზღვრები, და ამიტომ, ისინი ახლაც და მომავალშიც თავს შეიკავებენ ამ საზღვრების ყოველგვარი ხელყოფისაგან.

ისინი შესაბამისად თავს შეიკავებენ აგრეთვე ყოველგვარი მოთხოვნისა თუ მოქმედებისაგან, რომელთა მიზანი იქნება ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოს ნაწილის თუ მთელი ტერიტორიის დაბყრობა და უზურპაცია.

## IV. სახელმწიფოების ტარიტორიული მოწიანეობა

მონაწილე სახელმწიფოები პატივისცემით მოეკიდებიან თითოეული მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიულ მოღანისობას.

ამის შესაბამისად, ისინი თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების მიზნებთან და პრინციპებთან, მიმართულია მონაწილე ყოველ სახელმწიფოს ტერიტორიული მოღანისობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ერთიანობის წინააღმდეგ და, კერძოდ, ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც წარმოადგენს ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენებით დამუქრებას.

მონაწილე სახელმწიფოები ასევე თავს შეიკავებენ იმისაგან, რომ ერთმანეთის ტერიტორია გადააქციონ სიმხედრო თვალისაციის ან ძალის გამოყენების

სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ღონისძიების ობიექტად საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ ან ასეთი ღონისძიების ან მათი განხორციელებით დამუქრების საშუალებით შეძენის ობიექტად. არავითარი ოკუპაცია ან უშიგვამორიგოვარი რი შეძენა განონიერად არ ჩაითვლება.

## V. დავის მუნიციპალიტეტი მოვასრიბება

მონაწილე სახელმწიფოები ურთიერთშორის დავას გადაჭრიან მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ არ შეუქმნან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას.

ისინი კეთილსინდისიერად და თანამშორომლობის სულისკვეთებით იქმარენ ღონისძიებებს, რათა მოკლე ვადაში მიაღწიონ სამართლიან გადაწყვეტას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

ამ მიზნით, ისინი გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა მოლაპარაკება, გამოკვლევა, შუამავლობა, შერიგება, არბიტრაჟი, სასამართლო გარჩევა ან სხვა მშვიდობიანი საშუალებები მათი საკუთარი არჩევანისამებრ, მათ შორის, მოწესრიგების ყოველგვარი პროცედურა, რომელიც შეთანხმებული იქნება იმ დავის დაწყებამდე, სადაც ისინი მხარეები იქნებიან.

იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა დავაში ვერ მიაღწიეს დავის გადაწყვეტას ერთ-გრთი ზემოაღნიშნული მშვიდობიანი საშუალების გზით, ისინი განაგრძობენ დავის მშვიდობიანი მოწესრიგების ურთიერთშეთანხმებული გზების ძიებას.

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ მხარეებს ურთერთშორის დავაში, ისე როგორც სხვა მონაწილე სახელმწიფოები, თავს შეიკავებენ კოველგვარი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება იმდენად გააუარესოს მდგრადი მარეობა, რომ საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას, და ამით უფრო გააძნელოს დავის მშვიდობიანი მოწესრიგება.

## VI. საშინაო საქაობაზი ნაშრევლობა

მონაწილე სახელმწიფოები თავს შეიკავებენ ყოველგვარი პირდაპირი ან არაპირდაპირი, ინდივიდუალური ან კოლექტიური ჩარევისაგან საშინაო ან საგარეო საქმეებში, რომლებიც მეორე მონაწილე სახელმწიფოს შინაურ კომპეტენციაში შედის, მიუხედავად მათი ურთიერთობისა.

ისინი თავს შეიკავებენ, შესაბამისად, ყოველგვარი ფორმის შეიარაღებული ჩარევისა ან ასეთი ჩარევით დამუქრებისაგან მეორე მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სწორედ ასევე, ისინი ნებისმიერ გარემოებაში თავს შეიკავებენ სამხედრო ან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვაგვარი იმულების ნებისმიერი სხვა აქტისაგან, რომლის მიზანია თავის საკუთარ ინტერესებს დაუქვემდებაროს მეორე მონაწილე სახელმწიფოს მიერ იმ უფლებების განხორციელება, რომლებიც მის სუვერენიტეტს შეადგენს, და ამრიგად, მოიპოვოს ყოველგვარი უპირატესობა.

შესაბამისად, ისინი თავს შეიკავებენ იმისაგან, რომ პირდაპირი თუ არა პირდაპირი დახმარება გაუწიონ ტერორისტულ, ძირგამომოქრეულ თუ სხვა პა-

ქმიანობას, რომლის მიზანია მეორე მონაწილე სახელმწიფოს რეგიმის დაღმცე  
რეობით დამხობა.

## VII. ადამიანის უცლებების და მირითადი თავის უცლების, მათ შორის, აზრის, სინდისის, რაღიაბისა და რომელის თავის უცლების პატივისცემა

მონაწილე სახელმწიფოები პატივისცემით მოეკიდებიან ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების, მათ შორის, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას, ყველასათვის განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა.

ისინი ხელს შეუწყობენ და განავითარებენ მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და შესა იმ უფლებებისა და თავისუფლებების ევექტიან განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების დამახასიათებლი ღირსებიდან და არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარებისათვის.

ამ ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ და პატივს სცემენ პიროვნების თავისუფლებას – იწამოს, მარტო ან სხვებთან ერთად, რელიგია ან სარწმუნოება, იმოქმედოს საჯუთარი სინდისის კარნაბის თანახმად.

მონაწილე სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე არიან ეროვნული უმცირესობანი, პატივისცემით მოეკიდებიან კანონის წინაშე ასეთ უმცირესობათა წარმომადგენერელი პირების თანასწორობის უფლებას, მიანიჭებენ მათ სრულ შესაძლებლობას ნამდვილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით და ამრიგად დაიცავენ მათ კანონიერ ინტერესებს ამ დარგში.

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემა არსებითი ფაქტორია მშვიდობის, სამართლიანობისა და კეთილდღეობისა, რაც აუცილებელია მათ შორის, ისე როგორც ყველა სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფისათვის.

ისინი მუდამ პატივისცემით მოეკიდებიან ამ უფლებებსა და თავისუფლებებს თავიანთ ურთიერთობაში და იხმარენ ღონისძიებებს, ერთობლივად და დამოუკიდებლად, კურძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის თანაბეჭდისათვის თანამშრომლობით, რათა ხელი შეუწყონ მათ საყოველთაო და ეფექტურ პატივისცემას.

ისინი ადასტურებენ პირთა უფლებას, იცოდნენ თავიანთი უფლება-მოეულეობანი ამ დარგში და მოიცენენ მათ შესაბამისად.

მონაწილე სახელმწიფოები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ისინი შეასრულებენ აგრეთვე თავიანთ ვალდებულებებს, როგორც ისინი დაწესებულია ამ დარგის საერთაშორისო დეკლარაციებსა და შეთანხმებებში, მათ შორის საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებათა შესახებ, თუ ისინი დაკავშირებულნი არიან ასეთი პაქტებით.

### VIII. ხალხთა თანასორუფლებიალება და საპუთარი გაღის გამგებლობის უფლება



ონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ხალხთა თანასწორულ ნო-  
ბასა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლებას, მუდამ იმოქმედებენ გაერთია-  
ნებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების და საერ-  
თაშორისო სამართლის სათანადო ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვ-  
ლით, რომლებიც სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას ეხება.

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფ-  
ლებიდან გამომდინარე, კველა ხალხს მუდამ აქვს უფლება, სრული თავისუფლე-  
ბის პირობებში განსაზღვრონ, — როცა უნდათ და როგორც უნდათ, — თავიან-  
თი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად და თავი-  
ანთი შეხედულებისამებრ განახორციელონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოცია-  
ლური და კულტურული განვითარება.

მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ ხალხთა თანასწორუფლე-  
ბიანობისა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლების პატივისცემას და ეფექ-  
ტიან განხორციელებას საყოველოა მნიშვნელობა აქვს. მათ შორის, ისე რო-  
გორც კველა სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარები-  
სათვის; ისინი აღნიშნავენ აგრეთვე, რომ საჭიროა გამორიცხულ იქნეს ამ პრინ-  
ციპის დარღვევა ყოველგვარი ფორმით.

### IX. სახელმწიფოთა თანამშრომლობა

მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ თანამშრომლობას ერთმანეთთან, ისე-  
ვე როგორც კველა სხვა სახელმწიფოსთან, განავითარებენ კველა დარგში გაერ-  
თანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბა-  
ძისად. განავითარებენ რა თავიანთ თანამშრომლობას, მონაწილე სახელმწიფოები-  
განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებენ დარგებს, როგორც ისინი განსაზ-  
ღვრულია ეკროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ფარგლებში,  
ამასთან, თითოეული მათგანი შეიტანს თავის წვლილს სრული თანასწორო-  
ბის პირობებში.

ისინი ეცდებიან განავითარონ თავიანთი თანამშრომლობა როგორც თანა-  
სწორებმა, ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებასა და ნდობას, საერთაშორისო შშვი-  
ლობას, უშიშროებასა და სამართლიანობას. ისინი ასევე ეცდებიან განავითარონ  
თავიანთი თანამშრომლობა, გააუმჯობესონ ხლხთა კეთილდღეობა და ხელი შე-  
უწყონ მათი მისწრაფებების განხორციელებას, რისთვისაც, კერძოდ, გამოიყე-  
ნებენ ხელსაყრელ ვითარებას, რომელიც გამომდინარეობს გაფართოებული ურ-  
თიერთგაცნობიდან და ეკონომიკური, მეცნიერული, ტექნიკური, სოციალური,  
კულტურული და ჰუმანიტარული დარგების პროგრესიდან და მიღწევებიდან.  
ისინი განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყონ ისეთი კეთილნა-  
კოფიერი პირობების შექმნას, რომ ეს ხელსაყრელი ვითარებები ყველასათვის იყოს  
ხელმისაწვდომი; ისინი გაითვალისწინებენ კუელას ინტერესებს ეკონომი-  
კური განვითარების ღონეთა განსხვავების შესაბამისად და, კერძოდ, მთელი  
მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს.

ისინი ადასტურებენ, რომ მთავრობებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა  
და ადამიანებს შეუძლიათ შეასრულონ შესაბამისი და დაღებითი როლი მათი  
თანამშრომლობის და, ამ მიზნების მიღწევის ხელშეწყობაში.

ისინი უცდებიან გააფართოონ თავიანთი თანამშრომლობა, როგორც ეს ზე-  
მოთ არის განსაზღვრული, განავითარონ უფრო მჭიდრო ურთიერთობა მოწმო-  
ნეთან ხალხთა საკეთილდღეოდ, უფრო უკეთეს და უფრო მტკიცე ჟამუშებულებები.

## X. საერთაშორისო საგართლით განსაზღვრულ ვალდება- ლებათა კათილსილისიარი მასრულება

მონაწილე სახელმწიფოები კეთილსინდისიერად შეისრულებენ საერთაშო-  
რისო სამართლით განსაზღვრულ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც იმ  
ვალდებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღი-  
რებული პრინციპებიდან და ნორმებიდან, გამომდინარეობს. აგრეთვე იმ ვალდე-  
ბულებებს, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის შესაბამი-  
სი ხელშეკრულებებიდან თუ სხვა შეთანხმებებიდან, რომელთა მონაწილენიც  
ისინი არიან.

თავიანთი სუვერენული უფლებების, მათ შორის, იმ უფლების განხორციე-  
ლების დროს, რომ შემოილონ თავიანთი განენები და აღმინისტრაციული წესე-  
ბი, ისინი შეუფარდებენ თავიანთ იურიდიულ ვალდებულებებს საერთაშორისო  
სამართლის ფარგლებში. გარდა ამისა, ისინი ჯეროვნად გაითვალისწინებენ და  
შეასრულებენ ეკრიპტის უშიშროებისა და თანამშორომლობის თათბირის დაკვ-  
ითი აქტის დებულებებს.

მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ, რომ, თუ გაერთიანებული ერე-  
ბის ორგანიზაციის წევრთა ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, ეწინააღმდეგება სხვა რომე-  
ლიმებ ხელშეკრულებით თუ სხვა საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრ ვალდე-  
ბულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 103-ე მუხლის  
შესაბამისად, უპირატესი ძალა აქვს წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულე-  
ბებს.

ზემოთ ჩამოყალიბებულ ყველა პრინციპს პირველხარისხოვანი მნიშვნელო-  
ბა აქვს, და, მაშასადამე, თოთოეული მათგანის ინტერპრეტაციის დროს, მათ  
ურთიანად და განუხრელად გამოიყენებენ, სხვა პრინციპების გათვალისწინე-  
ბით.

მონაწილე სახელმწიფოები იცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი  
მოლიდან სცენ პატივი და გამოიყენონ ეს პრინციპები, როგორც ისინი ჩამო-  
ყალიბებულია იმ დეკლარაციაში, მათი ურთიერთობისა და თანამშრომლობის  
ყველა ასპექტით, რათა თითოეული მონაწილე სახელმწიფოსათვის უზრუნველ-  
ყონ უპირატესობანი, რომლებიც გამომდინარეობს ყველას მიერ ამ პრინციპე-  
ბის პატივისცემიდან და გამოიყენებიდან.

მონაწილე სახელმწიფოები, ჯეროვნად ითვალისწინებენ რა ზემოთ ჩამო-  
ყალიბებულ პირობებს და, კერძოდ, მეათე პრინციპის პირველ ფრაზის „საერ-  
თაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისერი შე-  
სრულება“, აღნიშნავენ, რომ ეს დეკლარაცია არ ეხება მათ უფლებებსა და ვალ-  
დებულებებს, ისევე, როგორც შესაბამის ხელშეკრულებებსა და სხვა შეთანხმე-  
ბებსა და მორიგებებს.

მონაწილე სახელმწიფოები გამოიტქვამენ რწმენას, რომ ამ პრინციპების პა-  
ტივისცემა ხელს შეუწყობს მათი ნორმალური და მეგობრული ურთიერთობისგების  
განვითარებას და ყველა დაოგში მათ შორის თანამშრომლობის პროგრესს. ისი-  
ნი აგრეთვე გამოტქვამენ რწმენას, რომ ამ პრინციპების პატივისცემა ხელს შე-

უწყობს მათი პოლიტიკური კონტაქტების განვითარებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათი პოზიციებისა და შეხედულების უკეთეს ურთიერთგადეც უფლის ბირთვულობას.

მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ვანზრახული აქვთ ყველა სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობა წარმართონ ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების სულისკვეთებით.

## ს) საკითხები, რომელთაც მათთვის უმართობისა და მათთვის განხორციელებას

### (i) მონაწილე სახელმწიფოები,

ადასტურებენ რა, რომ პატივს სცემენ და განახორციელებენ დებულებას ასლისა თუ ძალით მუქარის გამოყენებლობის შესახებ და დარწმუნებული არიან, რომ საჭიროა გადაჯციონი იგი საერთაშორისო ცხოვრების კანონიად,

აცხადებენ, რომ პატივს სცემენ და ერთმანეთთან ურთიერთობაში შეასრულებენ შემდეგ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება იმ პრინციპების დეკლარაციას, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში:

— განახორციელებენ და გამოხატავენ, ყველნაირად და ყველა ფორმით, რომლებსაც კი ისინი შესაფერისად მიიჩნევენ, გალდებულებას თავი შეიკავონ ძალით მუქარისა თუ მისი გამოყენებისაგან;

— თავს შეიკავებენ სხვა მონაწილე სახელმწიფოთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით მის ტერიტორიაზე შეჭრისა თუ თავდასხმისათვის შეიარაღებული სალების რაიმე გამოყენებისაგან, თუ ეს არ შეესაბამა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს და პრინციპების დეკლარაციის დებულებებს, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში;

— თავს შეიკავებენ და არავითარ ძალას არ გამოავლენენ იმისათვის, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფოს უარი ათქმევინონ მისი სუვერენული უფლებების სრულ განხორციელებაზე;

— თავს შეიკავებენ ეკონომიკური იმულების ყოველგვარი აქტისაგან, რომელიც მიზნად დაისახავს თავიანთ ინტერესებს დაუქვემდებარონ სხვა მონაწილე სახელმწიფოთა იმ უფლებების განხორციელება, რომლებიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის, და ამ გზით უზრუნველყონ თავისთვის რაიმე უპირატესობანი;

— განახორციელებენ ეფექტიან ღონისძიებებს, რომლებიც თავიანთი მოცულობისა და ხასიათის გამო წარმოადგენს ნაბიჯებს ხაბოლოო ანგარიშით გაცილენდება და ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველოა და სრული განიარაღების მიღწევის მიმართულებით;

— ხელს შეუწყობენ ყველა საშუალებით, რომლებსაც თითოეული მათგანი შესაფერად მიიჩნევს, ხალხთა შორის ნდობისა და პატივისცემის ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც შეესაბამება მათ მოვალეობებს თავი შეიკავონ აგრძელების პროცესისაგან და ძალისა თუ ძალით მუქარის ყოველგვარი გამოყენებისაგან სხვა მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ ეს არ შეესაბამება გაერთიანებული ერების მიზნებისა და პრინციპების დეკლარაციას, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში;

— მთელ ძალ-ღონებს მოახმარენ იმას, რომ გადაწყვეტილ ერთმანეთის შესახებ კანკრინის გოველგვარი დავა. რომლის განგრძობაც საფრთხეს შეუქმნიდა სკორომის რის მშვიდობასა და ევროპის უშიშროებას, მხოლოდ მშვიდობისთვის შაშქილ ბებით, და უწინარეს ყოვლისა, ეცდებან დავა გადაწყვიტონ გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის წესდების 33-ე მუხლში აღნიშნული მშვიდობიანი ს შეალებებით;

— თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება კანკრინის სახელმწიფოთა შორის დავის მშვიდობიანი მოწესრიგება,

### (ii) მოხაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც

ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დავა გადაჭრან ისე, როგორც ეს განსაზღვრულია დავის მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპით;

დარწმუნებული არაან, რომ დავის მშვიდობიანი მოწესრიგება ძალისა და ძალით მუქარის გამოუყენებლობის დამატება, ამასთან თრივე ეს ფაქტორი არ სებითია, თუმცა არა ერთადერთი, მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების და განმტკიცებისათვის;

სურო განამტკიცონ და სრულყონ დავის მშვიდობიანი მოწესრიგების მანკარგულებაში არსებული საშუალებები;

1. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, განაგრძონ დავის მშვიდობიანი მოწესრიგების ფარგლებასათვის მისალები მეორების განხილვა და შემუშავება. რომელი მიზნად ისახავს არსებულ სამუალებათა შევსებას, და ამ მიზნით მუშაობა „დავის მშვიდობიანი მოწესრიგების ევროპის სისტემის შესახებ კონვენციის პრეცეტზე“, რომელიც შევიცარიამ წარადგინა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეორე ეტაპზე, ისვე როგორც სხვა წინადადებებზე რომლებიც მას ეხება და მიზნად ისახავენ ასეთი მეთოდის შემუშავებას.

ასეთ თანდაყოლილ დანაშესად თვლიდა ციცერონი მაგისტრატის „იმპერიუმსაც“, მის ბრძანებას, ძალაუფლებას, ვინაიდან „იმპერიუმ“-ის გარეშე წარმოდგენერლია სახლი (ოჯახი), „ცივიტას“ (თემი), ხალხი, მთელი კაცობრიობა. მსოფლიოს თანდაყოლილი წარმოდგენებისაგან წარმოიშვა ჩვეულება, რომელიც ყველა ადამიანის სურვილით და ნებით პარობირებული იყო მეცნა-განვე, ხოლო შემდგომ ჩვეულება კანონით იქნა განმტკიცებული<sup>22</sup>.

საინტერესო — ციცერონის შეხედულება საკუთრებასთან დაკავშირებით. შესთვის კანონი სამართლიანია და ბუნების შესატყვისი, როდესაც ის საკუთრებას იცავს, რამდენადაც სხვების ხარჯზე გამდიდრება ბუნების საწინააღმდეგოა და ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებაზე დაფუძნებულ ყველა ხალხისათვის საერთო-ხალხთა სამართლას „იუს გენციუმ“-ს (ius gentium). კალველი ქალაქებისა და რესპუბლიკების კანონების მიხედვითაც დაუშვებელია, რომ საკუთარი სარფისათვის სხვას მიაყენო ზიანი. მას, ვინც ძირს უთხრის ადამიანთა თანაცხოვრებას, სიკვდილით სჭიან (მოიკვეთენ), გააძვებენ, ბორკილებს დაადებენ, დააჯარიმებენ. ასე გვკარნახობს ბუნების გონება რომელიც არის ლოთაებრივი და ადამიანური კანონი.

ციცერონი აჩვევს თანაფარდობას „იუს გენციუმ“-სა და „იუს ცივილე“-ს შორის, ხალხთა სამართლასა და ცივილურ სამართალს შორის: არსებობს ხალხების კრცელი თანაცხოვრება (ერთობლიობა), რომელიც ყველა ადამიანს აერთიანებს, მაგრამ დიდი გაერთიანების შიგნით არის კიდევ შედარებით მცირე გაერთიანება, რომელიც ერთ ხალხს მოიცავს, ერთ „ცივიტას“-ს, ამიტომაც, წინაპრები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ „იუს გენციუმ“-ს, „იუს ცივილე“-საგან. იმას, რასაც შეიცავს სამოქალაქო სამართალი, შეიძლება არ შეიცავდეს საერთო სახალხო სამართალი (იგივე ხალხთა სამათალი, იგივე „იუს გენციუმ“). მაგრამ რასაც შეიცავს „იუს გენციუმ“, იმას უნდა შეიცავდეს სამოქალაქო სამართალი — „იუს ცივილე“. ორივე მათგანის საფუძველი უნდა იყოს: მიცემული სიტყვის შესრულება — „ფილეს“, ერთმანეთისადმი ნდობა, ისეთი ფორმულები როგორიცაა: „და ნუ ვიქნები მე მოტყუებული შენგან და პასუხისმებაში მიცემული შენი მიზეზით და შენი სიტყვის გამო“, ან „კარგ ადამიანებს შორის საჭიროა კარგად ვიქცეოდეთ, არ ვცრუობდეთ“.

ციცერონი იმოშებდა კვინტუს სცევოლას და წერდა: „მსგავს მსჯელობებს დიდი, უმაღლესი მნიშვნელობა აქვთ საქმეებში, რომლებიც ემყარებიან პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას, — „ბონა ფილე“-სს; აგრეთვე მეურვეობის, ამხანაგობის, სხვის დავალებით მოქმედების; ყიდვის, გაყიდვის, იჯარის

<sup>22</sup> ე. შტაურმანი, ციტ. თხულება, გვ. 224-225.

და ა. შ. საქმეებში<sup>23</sup>. საზოგადოება დაინტერესებული არის მის წევრობრივი რის კეთილსინდისიერი ურთიერთობით, ხოლო მოსამართლე შეცვალის გამო უკუთვნის. ბუნებით სამართალი გვიყარნახებს ვიყოთ სამართლიანები მონების მიმართაც, რომელთაც ისე უნდა მოვაქცეთ, როგორც მუდმივად დაჭირა ებულებს. მონებისაგან უნდა მოვითხოვოთ შრომა-გარჯილობა და მივცეთ მათ ის, რაც მათ ერგებათ.

ციცერონის აზრით, სამართალი უნდა იყოს სამართლიანი: მის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოს. სამართალი იმიტომ გააჩინეს, რომ დაბალი წოდების ხალხი დაიცვას მაღალთა მხრივ შევიწროებისაგან, ყველა. მდაბიო იქნება ის თუ დიდებული, კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს და კანონმა ისინი თანაბრად უნდა ალაგმოს ან დაიცვას.

ციცერონის ერთი ნაწარმოების მიხედვით, სამართალი რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს: ბუნებად, კანონებად, ჩვეულებებად, პრეცედენტებად, სამართლიანობად და სიკეთედ —aequum et bonum-ად, ხელშეკრულებებად. ბუნების შესაბამისად, ადამიანები იცავენ ამას. რაც გამომდინარეობს ჩათესაობიდან და „პიეტას“-იდან (ლოთის მოშიშობა, კეთილკრძალულება).

კანონები ეს ისაა, რაც ხალხის ბრძანებით წესდება, რაც ხალხის ნებას გამოხატავს. ჩვეულებებს იცავენ სამართლიანობის მხედველობაში მიღებით, სამართლიანობის საფურცელშე და კანონის სანქციების გარეშე. პრეცედენტი (იგულისხმება სასამართლო პრეცედენტი) არის სასამართლოს მიერ გამოტანილი განახენი, რომლის შესახებაც საუბარის მაგისტრატების დეკრეტებში.

პრეცედენტზე დაყრდნობისას მხედველობაშია მისაღები თუ ვინ იყო მოსამართლე და როდის იქნა გამოტანილი განახენი. ხოლო სამართლიანობა და სიკეთე უნდა დავიცვათ, რამდენადაც სამართალს მხედველობაში იქვე სათხოება და საერთოდ სარგებლიანობა. დასასრულ, ციცერონი ჩერდება ხელშეკრულებების დაცვის საჭიროებაზე. ხელშეკრულებები — paeta უნდა სრულდებოდეს როგორც კანონის შესაბამისად, ასევე უბრალო შეთანხმების თანაბრადც.

რომის სამართალში არსებობდა გამოთქმა: „პიეტა სუნტ სერვანდა“ — ხელშეკრულებები უნდა სრულდებოდეს, მაგრამ იქ იგულისხმებოდა, რომ ხელშეკრულება არ შეიცავდა უხამს საფურცელს. მეორე, არანაკლებ გავრცელებული იურიდიული გამოთქმის თანახმად, ხელშეკრულებები. რომლებიც კანონსაწინააღმდეგო და უხამს საფურცელებს შეიცავდნენ, არ უნდა შესრულებული ყო — „შეთანხმებები, რომლებიც უხამს საფურცელს შეიცავს, არ უნდა სრულდებოდეს“.

მიუხედავიდ იმისა, რომ რომის ისტორიის რესპუბლიკურ ხანაში სამართლებრივი ნორმები ჯერ კიდევ არ იყო სისტემაში მოყვანილი, მაინც იგრძნობოდა სამართალგანვითარების შედარებით მაღალი დონე. რომაელი იურისტები და სასამართლო ორატორები თეორიული აზროვნების უნარს უკვე არ იყვნენ მოკლებული. იგრძნობოდა ბერძნული ფილოსოფიის გავლენაც. ეძრაული წარმოშობის სამართლისმცოდნეულს ძევლალმოსვლური სამართლებრივი კულტურის ხაյალიც შემოქმედდათ რომის იურიდიულ ყოფაში. სასამართლო პროცესის საქვეყნოდ ჩატარებაში, დისკუსიებში. ხელი შეუწყო სამართლგანვითარებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ კიდეც, რომის საზოგადოების

23 ას. „ძველი რომის კულტურა“, ტ. I, 1985, გამ. „ნაუკა“, გვ. 224-225.

განათლებული ნაწილი, რომელიც საშართლის უზენაესობის პრინციპს უზრუნველყოფის აუდიტორიული აუდიტი, უფიქრდებოდა საკითხს, — რა არის სამართლი და როგორ შეუძლებელია ერთმანეთთან შევათანხმოთ სამართლი და ბუნებითი სამართლიანობა. თან-დათან ჩამოყალიბდა „საერთო სარგებლობის“ ცნება. მართლია, ყველს ერთ-ჭირია არ ესმოდა „საერთო სარგებლობა“, მაგრამ თითქმის ყველა თანხმდებოდა იმაში, რომ სამართლის საფუძველი უნდა იყოს საერთო ინტერესი, საერთო სარგებლიანობა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს, მომ ყველს კუთვნილი უნდა მიერთოს. მაგრამ საკმაოდ დიდხანს, სახელმ-წიფოს მხრივ სამართლდაცვითი საქმიანობა არ იყო სათანადო სიმაღლეზე აყვანილი. ისტორიკოსები ამ გარემოების რომში განკვეულ ხანაში სახელმწიფო აპარატის წაკლებ განვითარებულობით ხსნიან და არც თუ უსაფუძლოდ. მაშინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო რომი იმდენად სუსტი იყო მართლწაფულების სფეროში, რომ მოპასუხის სასამართლოში მიყვანა და სასამართლო გადაწყვეტილების და სასამართლო განაჩენის აღსრულება კერძო საქმედ ითვლებოდა. სახელმწიფოს შინაგანი ფუნქციები ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული. ეს იწვევდა იმას, რომ პატარა ადამიანი ფაქტობრივად დაუცველი იყო ძლიერთა ამა ქვეყნისათვის ჩაგვრისაგან. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ქველი რომაული სამართლი ოჯახის უფროსს, ძველ ქართულ „სახლის უფალს“, აბსლუტურ ავტონომიას და თითქმის განუსაზღვრელ ძალაუფლებას აძლევდა. „პატრია პოტესტის“ — მიმის ძალაუფლება იძლენად შეუზღუდველი იყო, რომ „პატრია ფამილიას“ ჩვენ წარმოგვიდგენა როგორც პატარა მეფე ოჯახის ფარგლებში.

იყო შემთხვევები, როდესაც მებატონე-მონიომფლობელები თვითნებობდნენ, თვითნები მონებს შეიარაღებდნენ და შედარებით სუსტ მოწინააღმდეგებს აღვილ-მამულს ართმევდნენ. ამ სენის აღმოფხერა შეუძლებელი გახდა. თუმცა, რომში არსებობდა კანონი, რომლის თანამდაც დებიტორს (მოვალეს) შეეძლო, თუ ვალს დროზე ვერ გადაიხდიდა, უარი ეთქვა თვის ქონებაზე კრედიტორის სასარგებლოდ, ხოლო თავისუფლება შეენარჩუნებინა. პატარა კანონი ხშირად ირგვლივად და ვალაუცალ პირს ასე ექცეოდნენ, როგორც მონას. ძველ რომში დამკეიდრებული ტრადიციის თანახმად, თუ მონა მოწმედ უნდა გამოსულიყო სასამართლოში, მისი წამება ნებადართული იყო. მონას წამების ქვეშ უნდა მიეცა ჩეკენება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებოდა მონის ჩეკენება მტკიცებულებად. ბატონები, რომლებიც მონების ხელით ჩალიოდნენ დანაშაულს, მის შიშით, რომ მონას წამების დროს გამოტეხდნენ, ასეთ მონებს თავისუფლებას აძლევდნენ, ხოლო თავისუფალი ადამიანის წამება ნებადართული არ იყო. მით ბატონები იმედოვნებდნენ, რომ სასჯელს თავიდან იკილებდნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მათი კოფილი მონები, რომელთა წამებაც არ შეიძლებოდა, დანაშაულში არ გამოტყდებოდნენ.

ისტორიაში არაშეიათად გვხვდება, რომ დემოკრატიულ და ხალხისათვის სასარგებლო სოციალურ ინსტიტუტებს მის საწინააღმდეგოდ იყენებენ. რომაულ სასამართლო პროცესის საქვეყნობას და მასში ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობას ასე მოუვიდა. სასამართლო ორი ბატონები არაიშვიათად ბოროტად სარგებლობდნენ თვითნები უფლებებით.

ზოგიერთი სასამართლო ორატორი, რომელიც კანონების არსში კარგად ცერეკვეოდა, თვის სიტყვას აგებდა არა კანონების ლრმა ცოდნაზე, არამედ

„ბუნებითი სამართლანობის“ ცნების გამოყენებაზე, მსმენელთა და მოსამართლეთა ემოციებზე ზემოქმედებაზე და არაიშვითად აღწევდა კიდევ შიშაბნს საქმეს იგებდა. ასე იქცეოდა ცნობილი სასამართლო ორატორი ანტონიუსი.

თუ ბრალდებულს მოხუცებული და უძლური მშობლები ჰყავდა, ისინი მოჰყავდათ სასამართლო პროცესზე და ამით ზეგავლენის ახდენდნენ სასამართლოზე, რომ, თუ ბრალდებული დაისჯებოდა, მშობლები უპატრონოდ და ულუკმაცუროდ დაჩრებოდნენ, იყენებდნენ ბრალდებულის მცირეწლოვან შვილებს, თუ ასეთი ჰყავდა და ა. შ.

149 წელს (დვ. წ.) პისტისგებაში იყო მცირებული სულპიციუს გალბა. რომელმაც ესპანეთთან ომის დროს პატიოსანი სიტყვის პირობით ტუვედ აყვანა ლუზიტანელთა ტომი. პირობის თანახმად, მას ტყვევებისათვის სიცოცხლა უნდა შეენარჩუნებინა, მაგრამ პირობა დაარღვია და უიარაღო ტყვევები დაახოცინა. ამით მან დაარღვია რომაელი ხალხის დიდება, ხელყო მისი პატიოსნება, მისი „ფიდეს“. მაგრამ ეს არამზადა სასჯელს გადაურჩა. დამცველისა და შეაჭულების არაობიერებულობის გამო.

არაიშვითი იყო შემთხვევები, როდესაც მოსამართლეს მოისყიდილნენ ან თანამდებობას მიღებდნენ სათანადო პირების მოქროთმების მეშვეობით.

ხსენებულ უკანონო ქმედებათა წინააღმდეგ ძვ. წ. IV სუკუნიდან მოყოლებული ძვ. წ. I სუკუნემდე მინიმუმ თორმეტი კანონი იყო მიღებული. მასთან, სასჯელებს თანდათან ამკაცრებდნენ, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშევლა.

ცნობილია, რომ რომაელებმა კანონების მეშვეობით გადაწყვიტეს ბრძოლა უზომო ფუფუნების წინააღმდეგ. ძვ. წ. 215 წლიდან ვიღრე ძვ. წ. I სუკუნემდე შევიდო ასეთი კანონი იქნა მიღებული. არ შეიძლება ითქვას. რომ კანონმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა რომაელთა ჩევულებებზე, მაგრამ საბოლოოდ ამ კანონებმაც ვერ გამართლეს თვისი დანიშნულება.

გამოცემული იყო კანონები მევაბშეობის წინააღმდეგაც. რომლითაც წლიური საპროცენტო განაკვეთი თვისი 10-12 პროცენტი იყო კადაწყვეტილი. ამ კანონებმა გრძელებული როლი მაინც ითამაშა უზომო მევაბშეობის წინააღმდეგ ბრძოლაში და შემოაღწია ფერდალური ქვეყნების სამართლის წიგნებში, მათ შორის ქართული სამართლის წიგნებშიაც.

არასახარბიერო იყო რომის სახელმწიფოში პერეგრინუსების — უცხოების მდგომარეობა. მათ ყოველნირიდ ამცირებდნენ. სიმპტომურია, რომ ლათინურ ენაში პერეგრინუსი უცხოელსაც ნიშნავდა და გამოუცდელია. ისინი არ იყენებ რომის მოქალაქეები. ამიტომაც ისინი პრაქტიკულად კანონის დაცვის გარეშე იყენებ დარჩენილნი. ციზალისის გალიის მცხოვრებთ ცეზომანობის მოქალაქეება უბოძა. მაგრამ ცეზარის ამ საჩუქრის ციზალპის გალიის მცხოვრებთა მიმართ არ ცნობდა რომის მაცერატორი დომიციანე ტარუს ფლავიუსი (51-96), რომელმაც ქალაქ კომას მოქალაქე გააწყებლონა. რა თქმაუნდა ასეთი სასჯელი მოქალაქეებისათვის სამარცხინო იყო, დიდი იყო უფლება რიგი განსხვავება მოქალაქეთა და არამოქალაქეთა შორს, უბრალო რომაელი ლიბერტინიც კი თავისი უფლებებითა და თვისი უფლებებით მაღლა იდგა თუნდაც თავის საშობლოში დიდებულ კაცად მიღებულ, მაგრამ რომის მოქალაქეობას მოკლებულ ქვეშევრდომთან შედარებით. ციცერონის თქმით, დამცირებულ რომის ქვეშევრდომთ საშინლაც სძულდათ თვით რომაელის სახელიც კი.

რომში, რესპუბლიკის ხანაში, შეინიშნებოდა გარკვეული შეუსაბამობა ერთი მხრივ, სახელმწიფოს განვითარების ღონისა და მეორე მხრივ, სამართლის განვითარების ღონის შორის. სამართლებრივი მიზანი შინ უსწრებდა სახელმწიფო აპარატის ნელ დინამიკას. მაგრამ თვით სამართლიც კი, რომელიც თავდაპირველად წარმოიშვა, როგორც სამოქალაქო თემის განვითარების პროდუქტი, უკვე ვერ აქმაყოფილებდა დიდი სახელმწიფოს შიგნით გართულებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სამართლი უძლური იღმოჩნდა დაცული დაბალი წოდების უფლებები და მით უფრო არამოქალაქების, უბრალო ქვეშევრდომების უფლებები. სამოქალაქო სამართლის ნორმების მეშვეობით საზოგადოებრივ ურთიერთობათ მოწესრიგების არასრულყოფილებამ ხელი შეუწყო სამოქალაქო სამართლის დაპირისპირებას, ბუნებით სამართლთან და „ხალხთა სამართლთან“ — „იუს გენ ციუმ“-თან.

რომის ისტორიის იმპერიულ პერიოდში სამართლებრივითარებას ახალი და მძლავრი იმპულსი მისცა ვრცელ სახელმწიფოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ, სახელმწიფო აპარატის მუშაობის მოწესრიგების მცდელობამ, ხმელთაშუაზღვეოს სამყაროს ხალხების სახელმწიფო-სამართლებრივი იდეების ურთიერთგავლენამ და ურთიერთგამდიდრებამ.

ქველი დემოკრატიული რიგი, რომლის დროსაც სახალხო კრება უზენაეს საპელაციო და საქანონმცდებლო ორგანოდ ითვლებოდა, ისტორიას ჩაბარდა. მთელმა ძალაუფლებამ იმპერიატორის ხელში მოიყარა თავი. რომის ხალხის დიდებულებას და ძალაუფლებას იმპერიატორი განასხიერებდა.

თუ რესპუბლიკის პერიოდში მაგისტრატების მიერ დაწიშნული მოსამართლეები არჩევდნენ საქმეებს, თანდათან სამართლმსაჭულებო ფუნქციები თვით სახელმწიფო თანამდებობის პირების — მაგისტრატების ხელში იყრის თავი. წარმოიშვა ე. წ. ექსტრაორდინარული პროცესი.

სექსტუს პომპონიუსი, ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის იურისტი ჩამოთვლის ას თანამდებობის პირებს, რომელთაც გასამართლების უფლება ჰქონდათ მინიჭებული, ასახელებს პლებების ათ ტრიბუნს, 18 პრეტორს, 6 კვილს, რომლებიც რომში ახორციელებდნენ მართლმსაჭულებას (დიგესტები, 1, 2, 3, 4).

რომის იმპერიის პროვინციებში მოსამართლეების ფუნქციას ასრულებდნენ პრესიდები, იგივე მეფისნაცვლები და მათი მოადგილები (ლათინური „პ्रესიდენს“ — თავი, თავმჯდომარე).

ზოგიერთი მნიშვნელოვანი საქმის, მაგალითად, ხაზინის საქმიანობასთან დაკავშირებული დარღვევის გარჩევა შეეძლო სახაზინო და სიმპერატორო ქონების მმართველ მოხელეს.

ქალაქებში მოსამართლეების ფუნქცია დაკისრებული ჰქონდათ დუუმვირებს, მაგრამ თანდათან მათ უფლებებს კვეცავენ, ზოლდავენ სამთავრობო მოხელეები. რომში ოსებობდა საზოგადოებრივი ინტერესების კერძო დაცვის პრაქტიკაც. რომის ყველა მოქალაქეს ჰქონდა უფლება, გამოსულიყო როგორც შრალმდებელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. ასეთ უფლებებს მოკლებული იყვნენ ჯარისკაცები და ეფუძნებააყრილები (famos); მაგრამ იყო ისეთი კატეგორიის საქმეები, რომლებზედაც როგორც ჯარისკაცებს, ასევე ქალებსა და მონებასაც შეეძლოთ პრალმდებლებად გამოსვლა. ეს იყო მისი „უდიდებულესობის შეურაცხყოფის“ საქმეები, (დიგესტები 48. 4, 7, 1-2; 8).

ახ. წ. II საუკუნის რომაელი იურისტის პაულუსის თხზულების მეშვეობით ჩვენამდე მოაღწია წერილობითი ბრალდების სანიმუშო ფორმულამ: ამჟამად და ამ კონსულების დროს ამა და ამ პრეტორთან ან კონსულთან ცლილებული ტიტიუსი აცხადებს, რომ ის ბრალსა სდებს მევივიას, იულიუსის კანონის თანახმად, მრავშობაში, რამდენადც მან (ქალი) ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ სახლში, ამა და ამ თვეს, და ამ პირის კონსულობის დროს იმრეუშა გაიუს სეესთან (დიგესტები 48, 2, 3)<sup>24</sup>.

იმპერიის ხანაში აშკარად იგრძნობა სისხლის სამართლის პოლიტიკაში ცვლილებები. სასჯელები თანდათან უფრო და უფრო მკაცრდება. ირღვევა კანონის წინაშე ყველს (რომის მოქალაქეების) თანასწორობის პრინციპი. თვეთ მოქალაქეები ორ დიდ ნაწილად დაიყო: „პონესტორეს“ და „პუმილიორეს“, პოქალაქეთა დაბალი ფენის წარმომადგენლებს, რომელთაც 50 თქმოს ღირებული ქონება არ გააჩნდათ, ეკრძალებოდათ სასამართლოში ბრალდებლად/გამოსვლა (დიგესტები 48, 2, 10).

ღარიბს „პატარა კაცს“ არ შეეძლო წარჩინებულის, მაღალი თანამდებობის პირისთვის სარჩელის წარდგენა ბოროტგანზრახული შოტყუებისათვის ე.წ. „დოლომალო“-სთვის (დიგ. 4, 3, 11).

ბრალდებულისათვის აღმკვეთი ღონისძიების შერჩევის დროს მხედველობაში შინილებოდა მისი სიმდიდრე და ღირსება, რის შედეგადაც სასამართლო პრიცესის დაწყებამდე თვეისუფლად რჩებოდა ბრალდებული, ხოლო ღარიბს ციხეში ყურყუტი მოელოდა.

წარჩინებულთათვის სხვაგვარი სამართლი მოქმედებდა, ვიდრე მდაბიოთათვის, ქალაქის პირველი ადამიანების და დეკურიონების უფლებების ხელყოფა და მათი დასხა ისე ადვილად როდი შეიძლებოდა როგორც მდაბიოვებისა. მათთვის მკაცრი სასჯელების გამოტანა (გაძევება, სიკვდილით დასხა), ისე არ შეიძლებოდა, თუ ამის შესახებ იმპერატორს არ აცნობებდნენ. იმპერატორს უნდა მიეღო მონაცემები იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობდა ქალაქის პირველი ადამიანების და დეკურიონების დანაშაული და რა განაჩენი გამოიტანა მათ შესახებ სასამართლომ, სხვადასხვა საზომით უდგებოდნენ უბრალო ადამიანების და წარჩინებული წოდების წარმომადგენელთა დანაშაულობების შეფასებას. ამიტომაც სასჯელებიც სხვადასხვა იყო მათთვის გათვალისწინებული. უბრალო ადამიანებს დაბატონ წოდების ხალხს, მკაცრი და დამამცირებელი სასჯელებით სჯიდნენ: წვავდნენ; მხეცებს მიუგდებდნენ და საგლეჭად; ამათრახებდნენ, მაღაროებში სმეუშაოდ გზავნიდნენ და ა. შ. „ეპითილშობილ“ დამნაშავეებს ბრალის სიმძიმის გათვალისწინებით სჯიდნენ ქონების კონფისკაციით, მოქალაქეობის ჩიმორთმევით, კუნძულზე გადასახლებით და ა. შ. ძალიან მძიმე დანაშაულისათვის „კეთილშობილებისათვის“ თვეის მოკვეთაც შეიძლებოდა შეეფარდებინა სასამართლოს, გაძევება შეიძლებოდა ქონების კონფისკაციით და კონფისკაციის გარეშეც ზოგჯერ კუნძულზე გაძევების

<sup>24</sup> ცოტმულის დათინტრა ტექსტი ისეთია: Paulus libra tertio de adulteriis Libellorum inscriptionis conceptio talis est. Consul et dies. Apud illum praetorem vel proconsulem Lutius Titius professus est se Maeviam lege Iulia de adulteriis ream deforre, quod dicat eam cum Gaio Seio in civitate illa dimo illus, mense illo, consulidus illis adulterium commissem...”

ახ. Corpus iuris civilis. Digesta. პ. კრიტიკის კრიტიკა. ბერლინი. 1908. გვ. 841.

პულს მოქალაქეობასაც უნარჩუნებდნენ. თუ ჭინათ სხეულებრივ სასჯელებსა და წამებას მხოლოდ მონების მიმართ იყენებდნენ, ამა შათ მდგმიოთი („შეკვეთულიორებს“) მიმართაც იყენებდნენ (ლათინურ „მუმილის“ მდაბიო, დართული ფენებიდან გამოსული). წარჩინებულზე სხეულებრივი სასჯელებისაც და წმებისაგან თავისუფალნი იყვნენ.

გაისუს ოქტავიანე ავგუსტუსის დროიდან (ძვ. წ. 63 — ახ. წ. 14) მოყოლებული ე. წ. სიხელმწიფო დანაშაულობათათვის უფრო და უფრო შვაცუ სასჯელებს, აწესებდნენ. მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა, იმპერატორის შეურაცხყოფა, თავისი სიმძიმით გაუთანაბრდა მკრებელობას. ავგუსტუსისა და მისი მემკვიდრეების კანონმდებლობაში უდიდებულესობის შეურაცხყოფას ფართო განმარტება ეძლეოდა. ის არა მარტო სახელმწიფო დალატს გულასნობდა, არამედ სიტყვებსა და მოქმედებას, მიმართულს იმპერატორის ჭინაოლმდებარება.

გამოცემული იქნა კანონები საზოგადოების ჭინაოლმდებარების დალატობის. („დე ვი პეტლიკა“) და კერძო პირთა ჭინაოლმდებარების დალატობის („დე ვი პრივატი“) შესახებ. მკაცრად ისჯებოდა თავისუფალთა და ორთოვისუფალთა აჯანყება, ვინ-მეს გაძევება თავისი ადგილ-მაჟულიდან და სიხლიდან, კანონებით მკაცრად ის-ჯებოდნენ დამნაშავეები ყაჩილობისთვის, მკლელობისათვის, საქონლის (პირუ-ტყვის) წასხმისათვის, ჭაღოქრობისათვის, ყალბისმენელობისათვის, მოსყიდვი-სათვის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის, საგადასახადო უწყების პოტუებისათვის, სხვისი მიწების მითვისების მიზნით სამიზნე ქვების ვადაადგილებისთვის, ცეცხლის წაკიდებისთვის, სასტიკი შეურაცხყოფისთვის, რომელიც პიროვნების ჭინაოლმდებარებისაც გულისხმობდა, გარყვინლებისთვის, ქალიშვილის ან ბიჭის გაუბატიურებისათვის, თავისუფალი ადამიანის მოტაცებისა და გაყიდვისათვის, სხვისი მიწის მიტაცებისა და გაყიდვისათვის.

ზეობათ გაუხეშება და კანონმდებლობის სიქაურე იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლებას უფლება ჰქონდა სიკვდილით დასჭირი პირების გვაშები მათი ნათესავებისთვის დასამარხად ყოველთვის არ მიეცა. (დიგ. 48, 24.).

მძიმე სასჯელად ითვლებოდა ლირსების აყრი („ინფამია“). ეს უკანასკნელი დამატებით სასჯელად შეეფარდებოდათ დამნაშვეებს, რომელთაც უმტკიცდებოდათ დანაშაულის ჩადენა ცილისტამების, შეურაცხყოფის, ძარცვის, ჭრილობის, ბოროტებაგანზრახული მოტყუების („დოლუს მალუს“), ნებადაურყველი ჭორშინების სახით. მა უკანასკნელში იგულისხმებოდა იმ პირთა ნებართვის გარეშე ჭორშინება, რომელთა ხელისუფლების „პატრია პოტესტის“ კვეშ ცხოვრობდნენ დასაქორწინებლები. „ინფამია“ დამატებითი სასჯელის საით უნდა შეფარდებოდათ აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც შუამვლობდნენ, მაგანცკლობდნენ“ მრავშობის საქმეებში, აგრეთვე, ორცოლისნების და ორქმრიანებს (დიგესტები 3, 2, 1). დიგესტებში ლირსების აყრის, როგორც სასჯელის შესახებ ცნობები შემონახულია ცნობილი რომელი იურისტის იულიანუსის თხზულების მიხედვით.

იმპერიის ხანის რომის სახელმწიფოში სასამართლომ თანდათან დაკარგი საქვეყნო სანახაობის, და, თუ გნებავთ, თავისუფალი აზრის სამსარეზო ადგილის, მჭევრმეტყველთა საბაქტოს ფუნქცია. ერთმართველობამ და ტრეტორიულმა ვითარებამ სასამართლო პროცესებს პოლიტიკური მნიშვნელობა და-

ა. ირგვინა და შესაბამისად, როგორც შართებულად შენიშვნავს ე. მ. შეკურმანი, — სულ უფრო მცირე როლს თამაშობდა ემოციები, უფრო წინაშენილოვანი იყო სამართლის ყოველმხრივი დეტალური და ზუსტი ცოდნა, უნარი შესი ახსნა-განმარტებისა და მისი კონკრეტულ ვითარებასთან მისადაგებისა.

როგორც ჩანს, დემოკრატიული ჭყობილების თანდათანობითაც დამხობაშ, პრინციპატისა და დომინანტის დამყარებაშ მიღწევაც ვერ შეაჩერა სამართლებან-ვითარება. თვით რომის საზოგადოებაში, საზოგადოებრივ აზრში, ხალხის თუ ხალხების მართლშეგნებაში ცხოვრობდა სამართლის, როგორც უძალესი სო-ციალურ-სახელმწიფოებრივი ფასეულობის აღვა. მასთან ერთად, ნორმილურ სისაქონლო-ფულად ურთიერთობას არსებობა. არც შეეძლო სათანადო, საქმა-ოდ როული სამოქალაქო-სამართლებრივი ჩარჩოების გარეშე. იმპერიის ხინაში საზოგადოებრივი ურთიერთობების გართულებასთან ერთად „რთულდებოდა თვით სამართალიც“ (ე. მ. შტაერმანი).

თუ წინათ სამართლის წყაროდ ითვლებოდა სახალხო კრების მიერ შილე-ბული ყოველი ახალი კანონი, იმპერიის დამყარებილან ვითარება შეიცვალა. სახალხო კრებებს უკვე აღარ იწვევდნენ. არ ტარდებოდა პლების-ციტებიც. სამაგიეროდ, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა იმპერიატორების მიერ გა-მოცემულ კანონებს, იმპერიატორის ჩასკრიპტებს; იმპერიატორებს თითქმის ყოველთვის ემსახურებოდნენ ცნობილი იურისტები და ამიტომაც. იმპერიატო-რების ხელიდან გამოსულ საკანონმდებლო აქტებში აისხებოდა რომელი სამართლმცოდნეობის განვითარების დონეც. იმპერიატორის არაიშეიათად მიმართავდნენ თხოვნით თუ წერილით, იმპერიატორის პასუხი თხოვნისთან დაკავშირებით ქვეყნდებოდა და მას კანონის ძალა ეძლეოდა. ცნობილი იურისტების, გამოჩენილი იურისკონსულტების კომენტარები კანონის არსის გაგებასან და-კავშირებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. რომის ბრწყინვალე სული-ერი კულტურის საუკეთესო შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვალოს იმ იუ-რისტების თხზულებები, რომელთა ნაწილიც შემოგვინახეს „დიგესტებშა“. ძეგ-ლი სამყაროს სინამდვილეში იურიდიული აზრის ასეთ სალაროს ვერცერთ სხვა ჩალხთან ვერ ვიპოვით.

ქველი რომის ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობდა ჩვეულებების გამოყენებაც. ეს ჩვეულებები („ლონგო კონსუეტიდინუ“) არაიშვიათად - კა-ნონთან იყო გათანაბრებული, „დიგესტების“ I წიგნის III თავში თავმოყრი-ლია ცნობილი რომაელი იურისტების — ულპიანუსის, პერმოგვენიანუსის, ვა-ულუსის, კალისტრატუსის, მოდესტინუსის აზრები ჩვეულებების მნიშვნელო-ბის შესახებ რომის სამართლში, იულიანუსის აზრით, სამართლის წყარო-ხალხის ნება და მნიშვნელობა არა აქვს, დაწერილ კანონში ჰქონდა შან თავისი გამოხატულება თუ დაუწერელში, თუ ყველამ აღიარე ესა თუ ის ჩვეულება, მაშასადამე ის კანონია.

რომის იმპერიის ძლიერებასთან ერთად იზრდებოდა იმპერიატორის ქონ-ბაც, რომლის მოვლაც ცალკე მოხელეთა ზრუნვის საგნად უნდა გადაქცეული-ყო. იმპერიატორის ეს ქონება ცოცხალმა იურიდიულმა პრაქტიკამ სახაზიხო ქონებად მიიჩნია. იმპერიატორის ქონების სახაზიხო ქონებასთან ვთანაბრებამ ფისკის უფლების წარმოშობას შეუწყო ხელი. ამასთან ერთად, ფრესკი, რო-გორც ასეთს, კერძო პირებთან შედარებით მეტი უფლებები ებოდა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა „დიგესტების“ 49-ე წიგ.

ნებ მე-14 თავშა,<sup>25</sup> სადაც შამონაპულია იურისტების — კალისტრატოსის, ულ-ბანგუსის, იავოლენგუსის, პაულუსის, გაიუსის, იუნიუს მაურიციანესის, მოფეს-ტინუსის, მარციანუსის, პაპინიანუსის მოსაზრებები ფისკის უფლება-მოვალე-ობებთან დაკავშირებით. ჩანს, თუ რა ყურადღებით ეპყრობოდნენ იურისტები საფინანსო საკითხებს. „დე იურე ფისკი“ რომის სამართლის ორგანული ნა-წილი იყო. რომი თავის დროისათვის უდიდესი სამხედრო ბიუროკრატიული სახელმწიფო, იმპერია იყო. ამიტომაც აქ სამხედროები დიდ როლს თამაშობდნენ. გასაკვირი არაა, რომ ამ ცივილიზებულ უზარმაზო სახელმწიფოს შემუ-შვებინა სამხედრო სამართალი. მართლაც, სამხედრო სამართალი განსაკუთრე-ბული გულმოდგინებით იქნა შემუშავებული. დამუშავდა ჯარისკაცთა და სამ-სედრის ვეტერანთა უფლებები და მოვალეობები.

რა თქმა უნდა, სამართალი ითვალისწინებდა სამხედრო პირთა დანაშაუ-ლობებს და აწესებდა მათვის სასჯელებს. „დიგესტების“ 49-ე თავის ერთი ნაწილი (მე-16-ე) სპეციალურად იყო მიძღვნილი სამხედრო სამართლის საკით-ხებისადმი.

რომის სამართალი, მთელი მისი მრავალფეროვანი დარგებით, ისწავლებო-და სპეციალურ სკოლებში.

იმპერიის ხანაში სამართალთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები გა-ხდება სასამართლომაც. ერთიც და მეორეც სულ უფრო ცენტრალიზებულ და საჯარო-სახელმწიფოებრივ ხასიათს იძენდა. სამართალი და სასამართლო სამოქალაქო თემის საქმიდან სახელმწიფო საქმედ გადაიქცა, ცვლილებები, რაც განიცადა რომის საზოგადოებამ და სახელმწიფომ, შეეხო ბუნებრივია, ოჯახ-საც; ისევე როგორც ძეველ ქართულში „სახლი“ გვარსაც ნიშნავდა და ოჯახსაც. ასევე ლათინური „ფამილია“ — familia ნიშნავდა ოჯახს, ჯალაბს და ნაწილობ-რივ გვარსაც (მაგ. „ტაციონუსის „ანალებში“, 3, 48).

მაგრამ ის რეინისებური დისციპლინა და სახლის უფლის ძალაუფლება, რაც არსებობდა „ფამილია“-ში, საერთოდ იშვიათიერას ჭარბობადგენს მსოფ-ლიო ისტორიაში. რომაელი დიდგაცის ოჯახი, გარდა ჯალაბობისა, შედგებოდა მრნებისა და მოსამსახურებისაგან. „ფამულუს“ — ნიშნავდა მსახურსა და ონას. აქევე უნდა შევნიშნოთ, რომ რომაელებთან კონტაქტის შედეგად ჩვენ სვანურში გვაქვს შემორჩენილი „ფამლი“ დახსლოებით ძეველი რომაული მნიშ-ვნელობით, მსახურის მნიშვნელობით. „ფამლი“ „ფამულუსიდან“ არის მიღე-ბული. მონობის განვითარებისა და მონების გამრავალიც ცნობების შემდეგ ოჯახის უფროსის „პატერ ფამილიას“-ის ძალაუფლება საქმარისი არ იყო ოჯახ-ში წესრიგის დასამყარებლად. სახელმწიფო რაც უფრო დრო გადიოდა ამ ფუნ-ქციის თავის თავშე იღებდა. „მისი პოლიტიკა აქ ორი მიმართულებით ვითარდე-ბოდა: ერთი მხრივ, ის (სახელმწიფო) მკაცრ ღონისძიებებს ღებულობდა მონა-თა მხრივ ყოველგვარი წინაღმდეგობის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ცდი-ლობდა რა არ გაემწვავებინა ურთიერთობანი უკიდურესობამდე, თანდათან ზღუდვადა ბატონების მხრივ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას“<sup>26</sup>.

ვეტეროს პირველი მიმართულების გადამწყვეტ გამოხატულებად მიაჩნია და საფუძვლიანადაც კანონები სენატუსკონსულტი ავგუსტუსისა. რომლის მიხედ-

25 ე. მ. შტაერმანი. „რომის სამართალში“ „დიგესტების“ შესატევის აუგშე შეცდომითა მოთხოვებული, როგორც 48-ე, სინამდვილეში ფისკები სეგბათია „დიგესტების“ შე-ე თავში, ის. კერძოლი „ძველი რომის კულტურა“ ტ. I, „ნაუკა“, მოსკოვი, 1985 წ. ვგ, 230. (ჩუ.),

26 იქვე, გვ. 220.

ვითაც, თუ მონები ბატონის მოკლავდნენ, ისჯებოდნენ არა მხოლოდ მკვლელობაში მონაწილეონ, არამედ ის მონებიც, რომელთაც მკალელობაში თარი მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ, თუ ბატონის დაცვის სურვილი ექნებოდათ, შეეძლოთ ბატონის მკვლელის ან მკვლელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და მათი გაუვნებლება ან ფიზიკურად კველა მოსპობა. კველა მონა. რომელიც მკვლელთან ერთად ერთი სიხურავის ქვეშ იმყოფებოდა ან მასთან ერთად არ იმყოფებოდა, მაგრამ ისე ახლოს იყო, რომ ყვირილის და ხმაურის გაგება შეეძლო, მაგრამ არაფერი მოიმოქმედა. ბატონის დასაცავად, სასტიკად ისჯებოდა. მათ აწამებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ. საინტერესოა ერთი გარემოებაც, მონების სიკვდილით დასჯამდე აკრძალული იყო მოკლული მონათმფლობელის ანდერის გამოქვეყნება, ხომ შეიძლებოდა, რომ დაღუპულის მემკვიდრეს, გარკვეული მოსაზრებით, ხელი შეეშალა მონების ასეთი განუკითხავი დასჯისათვის, როცა ბრალულ და უბრალო მონას თანაბრად სჯიდნენ, ეს იყო გაბოროტებული მონათმფლობელების წების გამომხატველი კანონმდებლობა, რომელსაც იმდენად დამზაშეის დასჯი არ აინტერესებდა, რამდენადც კოცხლიდ დარჩენილ მონათა დაშინება, მათთვის „ჰქუის სწავლება“. იმიტომ გვსაგებია, რომ ზემოთ სესენბული სენატუსკონსულტის კანონების გამკაცრებასაც კი ჰქონდა ადგილი დროთა ვითარებაში. უკვე სჯიდნენ ბატონის მკვლელ მონებთან ერთად თანამცხოვრებოთა არა მარტო კველა სრულწლოვან მონას, არამედ მცირეწლოვან მონებსაც და გააზარდებულ მონებსაც კი.

ბატონებს აეკრძალოთ იმ მონების გააჩატება, რომლებიც თდესძაც პათ დაბორილი ჰყავდათ, როგორც არაკეთილსიმედო და მიღებული იქნა ლონის-ძებები, რომ ჯარისკაცებსა და მოხელეებს უფრო ეფექტურად ეძებნათ გაქცეული მონები.

მაგრამ კანონმდებლობაში თანდათან გამოიკვეთა მეორე ტენდენციაც. ბატონებს უკვე ეკრძალებოდათ მონების მიმართ მეტისმეტად მკაცრი ზოშების მიღება.

ახლი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასასრულიდან და განსაკურრებით კი მეორე და მესამე საუკუნეებში მონების მესაკუთრეებს — მონათმფლობელებს და მუნიციპალიტეტების მაგისტრატებს აეკრძალოთ. მონების სიკვდილით დასჯი, მათი გლადიატორებად და მხეცებონ მებრძოლებად — ბეჭტარუსებად დასპეციალება; აიკრძალა მონების მოელი სიცუბლე ძორისილებში ტარება და მათი ერგასტულუმში (სატუსალში) დაწყვდევა, თუ მონა ისეთ დანაშაულს ჩაიდენდა, რომლისთვისაც მძიმე საჯარო სასტელი იყო თავისუფალთაოვის კანონში გათვალისწინებული, საქედ სამართლის, სამართლოს უნდა გაერჩია, ბატონი ისეთ მონას თვითხებურად ვერ ფასჯიდა.

მართლაც, ახ. წ. პირველი საუკუნის დასასრულიდან ჩაღაც. ახალი სიო შემთიჭრა რომის ცხოვრებაში, ანტონინუსთა დინასტიის თითქმის საუკუნოვანი (96-192 წწ.) ეპოქა ზოგიერთმა მკვლევარმა რომის ისტორიის ოქროს ხანად ჩათვალია, ეს შეფასება შეიძლება გადაჭირებულიც კი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს იყო გარკვეული მოწესრიგებისა და სტაბილიზაციის ხანა. მართლია, იმპერიის გავლენის სფეროზების გაფართოებისათვის კვლავ იძრმოდნენ, მაგრამ ეს მთინც იყო „რომაული მშეცილობისათვის“ ხანა.

იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) შესახებ მმდობარეობა, რომ

მას მთელი თავისი მმართველობის მანძილზე არ დაუღვრია არც ერთი წევერი სისხლი — არც რომაელისა და არც ბარბაროსის<sup>27</sup>.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ მარკუს ავტორიუსი (161-180) — ფილის და იონიუს სოფოსი მოვლილი. იმპერიის ტახტზე.

ერნსტ ჩერდა: „ანტინინუსისა და მარკუს ავტორიუსის მმართველობა განსაკუთრებით კეთილისმყოფელი აღმოჩნდა მონებისათვის. მონობის ზოგიერთი არაადამიანური სისასტიკე აღვავთილ იქნა... მონის მოკვლა დანაშაულად ცხადდება. დანაშაულადვე ეფვლება პატრონს მონის წამება და დასახიჩრება... მონი პირველად იღებს სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლებას და პიროვნებას, სახელშითოს წევრი ხდება. ის თავისი საკუთრებისა და ოჯახის პატრონია. ქმრის, ცოლისა და მათი ბავშვების ცალ-ცალკე გაყიდვა იქმდალება; ზოგიერთი კერძო შემთხვევის გარდა, პატრონს უფლება არა აქვს კლადიატორად გაყიდოს მონა, ხოლო მონა ქალი, რომელსაც იმ პირობით ჰყიდიან, რომ მან არ იმრჩუშოს, დაზღვეულია ლუპანარში (საროსკიპო) მოხვედრისაგან; ძალაში შედის „ფავორ ლიბერტატის“ (განთავისუფლების წყალობა); საჭოჭმანო შემთხვევებში დასაშვებია კანონის ინტერპრეტაცია განთავისუფლების სასარგებლოდ. სასამართლოს ჰუმანურობა არბილებს კანონის სიმკრეს“<sup>28</sup>. რომაელი იურისტი ულპიანე დომიციუსი (იგივე დომიციუს ულპიანუს), რომელიც დაახლოებით 170-228 წწ. ცხოვრობდა, ითვალისწინებდა, რა II-III საუკუნეების მიზნაზე მომხდარ ცვლილებებს რომის ცხოვრებაში, წერდა: მონები შეიძლება სამართალში იქნებ მიცემული ყველა სახის დანაშაულისათვის; გარდა ისეთისა, რომლის სასჯელად ქონების კონფისკაციაა დაწესებული, რამდენადც მონებს ქონება არ გააჩნათო (დიგესტები, 48, 2, 12, 4).

სეპტიმიუს სევერუსი (146-211) რომის პრეფექტის მოვალეობათა დაზუსტების დროს იხსენებდა შემთხვევებს იმ დავის გარჩევის შესახებ, როდესაც ბატონები უჩიოდნენ მონებს, რომ ისინი მრუშობდნენ მათ ცოლებთან (დიგესტები, 1, 12, 5). როგორც ჩანს, დრო ისე შეიცვალა, რომ რომაელთა შეტედულებით, ისეთი მძიმე დანაშაულისათვისაც კი, როგორიც მონის მხრივ ბატონის ცოლთან მრუშობაა, უკვე ბატონი მონას თვითნებურად ვერ დასჯიდა და სასამართლოსათვის უნდა მიემართო. თუ მონა ბატონის ბრძანებით ჩაიღიოდა დანაშაულს, პასუხს მაინც თვითონ აეგბდა და არა ბატონი მასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საქმაოდ საჯუდელიანი მოსაზრება: „...მიუხედავად იურისტების მიერ არაერთხელ გამეორებული თეზისა ბატონების ძალიაუფლების დაურღვევლობის შესახებ, ოჯახის (ფამილია) სამყაროს შეკრული წრე მნიშვნელოვანწილად დაძლეული იყო. მონები რამდენადმე არა მხოლოდ მათი ბატონების, არმედ სახელმწიფოს ქვეშევრდომნიც გახდნენ.“<sup>29</sup> ეს მოსაზრება იმითაც მტკიცდება, რომ სახელმწიფო ლებულობდა და იხილავდა მონათა საჩივარს ბატონების მხრივ ცუდი მოპყრობის შესახებ, ცუდად გამოკვების შესახებ, და თუ მონის საჩივარი დადასტურდებოდა, მომჩინენ მონას დამნაშვე ბატონს წაარმევდნენ და სხვა ბა-

27 სწორედ ამ ანტონინუს პიუსის თანამედროვე უნდა ყოფილიყო იმერიის მეფე ფარსმან მეორე, რომელიც არმაზის ბილინგვაში იხსენიება.

28 ციტირებულია ჭიდვიდან — მარკუს ავტორიუსი, „ციერები“, ბ. ბრეგვაძის თარგმაზით და ჭინასიტებულით, თბ., 1972, გვ. 19.

29 ე. მ. შტაცერმანი, ციტ. თხზ., გვ. 231.

ტონს მიჰყიდიდნება.

მონათა შორის გაჩნდა მისურჩელოვანი ფერა, რომელსაც ერთგვარ მოწევა  
პეკლიუში, მცირე საკუთრება გააჩნდა და აზარმოებდა საკუთარ უქმიშვილის მიეღო  
ხელმწიფოს და სამართლის ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიეღო და შარ-  
თლაც, დაიწყო ქონებრივ ურთიერთობათ მოწესრიგება არ შარტო თვით მო-  
ნებს შორის, არამედ მონებსა და გარეშე პირებს შორის, დასასრულ საჭირო  
გახდა ბატონებსა და პეკლიუშის მქონე მონებს შორის ურთიერთობის მოწეს-  
რიგებაც. სამართლი იძულებული იყო მოწესრიგებინა ურთიერთობა გაა-  
ზრტებულთა და პატრიონთა შორისაც.

ზემოთ მოტანილ ერთსტ რენანის ერთო თხზულების ციტატიდან ჩანს, თუ  
როგორ დადგებითად იფასებს ის მონებისათვის ანტონიუს პიუსისა და მარკუს  
ავტოლიუსის ზეობის ხანს:

იქ შეიძლება დაცუმატოთ, რომ სწორედ ამ ხანებში ა. წ. 11 საუკუნეში,  
რომა ქვეყნიერებას აჩვენა თვისი ვანვითარებისუნარიანობა და ჩამოყალიბი  
ბროგრესის პრინციპი „ფავორ ლიბერტატის“ (favor libertatis) სახით,  
რომლის მიხედვითაც, თუ რამე მიზეზით სავჭვო გახდებოდა ადამიანის სტა-  
ტუსი ან მონის უფლება თავისუფლებაზე და საქმე სასამართლომდე მიყიდოდა,  
სასამართლოს თავისუფლება უნდა მიენიჭებინა მათვის, ეჭვი თავისუფლების  
სასარგებლოდ მოქმედებდა.

იმავე პრინციპის თანახმად, თუ მონას თავისუფლება უნდა მიეღო რამე  
პირობის შესრულების შემდეგ, მაგრამ მას ამ პირობის შესრულებაში ხელს  
უშლიდნენ, ის მაინც დებულობდა თავისუფლებას.

შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, მონის გათავისუფლება ანდერძის შეშევ-  
ბით და არაიშვიათად, ბატონები წერილობითი ანდერძით თავისუფლებდნენ  
მონებს. ცადია, უმეტეს შემთხვევაში ეს ხდებოდა რაღაც დამსახურებისათ-  
ვის. ღარიბებისთვის დახმარების გაწევა და მონების გათავისუფლება ძველთა-  
გან საქმეარ საქმედ ითვლებოდა ანტიკურ და შეძლებ ფერდალურ სამყარო-  
შიც. ეს ჩანს რესთაველთანაც. მოვიგონოთ სიტყვები ითანადილის „ანდერძი-  
ლან“: „მიეც გლაბაკთა საჭურჭლე, თავისუფლე მონები“. 1

ძველ რომში, როგორც ჩანს, ყოფილა შემთხვევები, როდესაც სამკვიდროს  
დამტოვებელი (მამკვიდრებელი) ანდერძით მონას თავისუფლების ანტებდა.  
ხოლო სამკვიდროს მიმღები ანდერძის ყველა მოთხოვნას არ სარულებდა, მო-  
ნას თავისუფლების არ ანტებდა. ანდერძის მალავდა, ასეთ შემთხვევაში მონას  
შეიძლებოდა ეჩივლა ბატონისათვის. მონას, რომელშაც თავისუფლება მიიღო  
ანდერძით, მაგრამ ამის შემდეგ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი, თავისუფ-  
ლების მაინც არ ართმევდნენ.

მკვლევარები დაობენ იმის შესახებ, თუ რითი იყო გამოწვეული რომის სა-  
მურთლოს დატრომაული სოციალური პრაქტიკის ასეთი ჰუმანიზაცია, ზოგიერ-  
ობი ამის მიზეზად ასახელებონ ჰუმანისტური ფილოსოფიის გავლენას სტა-  
თალზე, ზოგიც მას იძულებით პოლიტიკურ ნაბიჯად მიიჩნევენ. შესაძლოა,  
ეგი გამოწვეული იყო მიზეზთა შთელი ნაქალით, სადაც ჰუმანისტურ ფილო-  
სოფიასა და პოლიტიკურ გონიერებისაც თავისი ადგილი ეძებნება, საზოგადო-  
ებაში არაიშვიათად, თეორიული სამართლებრივი ნორმებისაგან დამოუკიდებ-  
ლად, ყალიბდება ფაქტობრივი ურთიერთობა, რომელიც დაფურზლილი უფლე-  
ბებისა და სამართლის ნორმების ნაცვლად გვევლინება როგორც მოზეიმე  
ფაქტები. სწორედ ასეთი სტიქიურად წარმოშობილი ფაქტობრივი ურთიერთო-

ბისთვის უხდებოდა ანგარიშის გაწევა იმპერატორ დიოკლეტიანეს, როდესაც  
მან ავტომატურად მიანიჭა თავისუფლება იმ მონებს, რომლებიც ფაქტობრივად  
უკვე ოცი წელიწადი ცხოვრობდნენ როგორც თავისუფლები და ამის შე-  
სახებ შაორა ბატონებმაც მშვენიერად უწყოდნენ (იუსტინიანეს კოდექსი, VII,  
22, 2).

თანდათან იშლებოდა მონების კლასი, რამდენადაც წარმოების მონური  
წესი თავის არაეკლასომიურობას, არაფერმურობას და არასამართლიანობას  
კვრ მაღავდა. თვით ოჯახის შემადგენლობაც იცვლებოდა. მათში თავისუფალი  
ჰსახურებიც შევიდნენ. არამაც მათი უფლებების შეზღუდვაც გამოიწვია. ძვე-  
ლი, რესპუბლიკური ხანის სამართლი უარყოფდა რომის მოქალაქის მონად  
გადაქცევის შესაძლებლობას, თვითდამონების, თავისუფალის მხრივ თავის  
გაყიდვის შესაძლებლობას, მაგრამ თუ II საუკუნის ბოლოდან არა, III სა-  
უკუნიდან მაინც, დაიშვებოდა 25 წელს მიღწეული რომის მოქალაქის მხრივ  
თავის თავის გაყიდვა. ერთი მკვლევარის სიტყვებით რომ ვთქვათ, იურიდიუ-  
ლად ასე ფორმდებოდა მონათა კლას-წოდების რღვევა, რომელთა ერთი ნაწილი  
საწარმოო საშუალებათა მესაკუთრედ იქცეოდა, ხოლო მეორე ნაწილი მდა-  
ბიოდ და ა. შ.

გვვინია, რომ მართებულად მიუთითებს ე. მ. შტაერმანი რომაული კანონ-  
შედებლობის ორჭოფობაზე, მის რჩეირობაზე, როდესაც სიქმე ეხება ოჯახთან  
„ფამილიასთან“ დამოკიდებულებას. „ერთი მხრით მონები იძენენ გარევეულ  
უფლებაუნარიანობას, მეორე მხრივ ეკონომიურ ჭრილში pater familias  
ძალაუფლება წინანდელი რჩებოდა. არა მხოლოდ მონა, არამედ მამის ძალა-  
უფლების ქვეშ მყოფი ვაჟიშვილი იურიდიულად არ შეიძლებოდა ყოფილიყო  
რაიმეს მესაკუთრე. ვაჟიშვილის მიერ დადებული გარიგებისათვის პასუხს აგებ-  
და მამა, ყველაფერი, ასაც შეიძენდა ვაჟიშვილი, მამის საკუთრება ხდებოდა.  
აქედან გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ის, ასაც ვაჟიშვილი შეიძენდა სამ-  
ხედრო სამსახურში და სამხედრო სამსახურის მეშვეობით — ე. წ. „ბანაკის  
პეკულიუმი“. მაგრამ თუ ჯარისკაცი მემკვიდრეობას მიიღებდა რომელიმე კერ-  
ძო პირისაგან ის, ისევე როგორც მონისთვის დატოვებული ქონება, ეკუთვ-  
ნოდა „პატერ ფამილიას“-ს.<sup>30</sup>

რომაელი იურისტების აზრით, ის ვინც მამის ან ბატონის ძალაუფლების  
ქვეშ იმყოფება, სამართლებრივი გაგებით ნებასაც მოკლებულია.

„დიგესტებში“ მოთავსებულია ცნობილი იურისტის ულპიანე ღომიციუ-  
სის (III საუკუნე) აზრი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება სურდეს („გელლე“)  
ან არ სურდეს („ნოლლე“) იმას, ვინც მამის ან ბატონის ძალაუფლებას ემორ-  
ჩილება (50, 17, 4). „როდესაც პერეგრინუსს უბოძებდნენ რომის მოქალაქეო-  
ბას, ის ღებულობდა patria potestas-საც — რადგანაც ის რომის მოქალა-  
ქის განუყრელ კომპონენტად ითვლებოდა. ეტყობა, როგორც წინათ; ახლაც,  
მოქმედებდა მოსაზრება ოჯახის, როგორც ძირითადი საწარმოო უჯრედის მი-  
მართ, რომლის მთელი რესურსებიც მისი მეთაურის ხელში უნდა ყოფილიყო  
თავმოყრილი (შტაერმანი).<sup>31</sup> ოჯახის თავი — „პატერ ფამილიას“ ერთმართ-  
ველიც იყო და ერთპიროვნულად პასუხისმგებელიც იმაზე, თუ როგორ კი-  
თილსინდისიერად ეწეოდა ოჯახი მეურნეობრიობას და ის დარწმუნებული იყო  
იმაზე, რომ ოჯახი, როგორც სამეურნეო ერთეული, საჭირო იყო როგორც სა-

30 შტაერმანი, ტატ. თხზ.; გვ. 232.

31 იდევ.

ერთო სახილზო სარგებლიანობის დოკუმენტების ასევე ოჯახის წევრთა განსაკურთხული ასევე ეთილდღეობისათვის. ბავშვები მამის სიცოცხლეში პრინცესი მფლობელებად — quasi domini ითვლებოდნენ, ამიტომაც მემკვიდრეობის მიღება, მითვის ითვლებოდა ბატონობის გაგრძელებად, როდესაც ლებულობინენ ქონების თავისუფლად განკარგვის უფლებას (დიგესტები, 23, 2, 11). საკურადღებოა, რომ ანდერძის შედეგენ განექვთნებოდა არა კერძო, არამედ საჯარო სამართლის (დიგ. 28, 1, 3), დიგესტების 27-ე თავში ვხვდებით ცხნილი იურისტების მოსაზრებებს მეურვეობასთან დაკავშირებით (1, 8) მეურვეების მაგისტრატი ნიშნავდა, მაგრამ თუ მცირეწლოვანს არაეთილსინდისურ შეურვეს დაუნიშნავდა, მას პასუხი უნდა ეგო სასამართლოს წესით.

კანონი ზრუნავდა ოჯახის განმტკიცებისთვის, იმისათვის, რომ საოჯახო ზეობა, პატივი და ლირსება არ დაცემულიყო, რომ ქალიშვილები არ დაჩირულიყვნენ ის მათ ფაუიშვილების გვერდით პეტრონლათ უზრუნველყოფილი ცხოვრება. ოჯახს უნდა უზრუნველეყო ქალიშვილი მზითვით (დიგ. 23, 3, 2). ოჯახი, „ფამილია“, რომაელის წარმოდგენაში ინდივიდთა მექანიკური გაერთიანება კი არ იყო, არამედ გარევაული ორგანულ-ორგანიზაციული ერთობა. ამიტომაც წყაროებში კოლეგიებსა და კორპორაციებს არაიშვიათად ფამილიასაც უწოდებდნენ. იურისტები აღიარებდნენ, რომ სახელწოდება ფამილია შეიძლება მიესადაგოს კორპორაციასაც, რომელსაც საკუთარი წესდება გააჩნია (დიგ. 50, 16, 197).

ე. მ. შტატერმანი აღნიშნავს, რომ ასეთივე ორჭოფობა იგრძნობა იმპერიის ხანის ქანონმდებლობაში საკუთრებითი ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში და პირველ რიგში მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ იმპერიის ხანში მიწაზე საკუთრება კარგავს კოლექტიურობის ყველა ნიშანს და მთლიანად კერძო ხდება.

მათ თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობს ზოგიერთი ფაქტი: თუმცა სხვა რიგი ფაქტებიც გავგაჩნია: ასე, არამარტო პროვინციებში, არამედ იტალიაშიც, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში, არსებობდნენ პაგუსები და სოფლები, სადაც თემური ურთიერთობის ელემენტები საქმოდ ძლიერი იყო. ამასთან ეს თემური ურთიერთობის ელემენტები სამართლებრივ ნორმებში ვერ აისახა გვიანდელი იმპერიის კანონმდებლობაშიდაც. ჩანს, რომ რომელი კანონმდებლობა თემიტან კერძო პოსტორების გამოყოფას არა თუ ხელს არ უშენდება, არამედ ხელსაც კი უმართავდა, ამ კერძო პოსტორების უფლებებს კი სამართლი იცავდა?

მკვლევარებს შენიშნული ქვეთ, რომ ყოველგვარი სოციალური ჯგუფის შევრი, რომლებიც საერთოდ ფლობდნენ ქონებას, იქნებოდნენ ისინი თანამემკვიდრენი თუ საქმიანი ამხანაგობები, უფლებამოსილნი იყვნენ მოეთხოვათ ქონებას გაყოფა და შათი მოთხოვნა მყისე ქმაყოფილდებოდა მოსამართლის ან არბიტრის მიერ. საინტერესოა ის ცვლილებები საკუთრებით ურთიერთობაში, რომელიც ძვ. წ. I — ას. წ. I-III-ს მოხდა და ისახა რომის სამართლის ცერმინოლოგიაშიც.

© „სამარტალი“, 1992 წ.

---

ნოდარციის გიგანტი: გვ. 880046, თბილისი, პრიზორეთი 19  
ტელ. 99-02-45, 99-41-50, 99-51-01

---

გაფარგვა წარმოების ა. 04. 92 წ. სკოლოვის დასტეჭდად 5. 06. 92 წ.  
სამარტალი 70X108<sup>1/2</sup> ფ. ფინური ხაბეჭდი დურცილი 5. პირობითი ხაბეჭდი დურცილი 7.  
საქართველო-საგამომცემლო თაბახი 6,5 შევ. № 566. ტირაჟი 6,000. ფასი 1 შა. 50 გვე.

საქართველოს ჩარეალ-განათლების გამოცემლობა „სამარტალი“ სტანა.  
გვ. 880046, თბილისი, ა. პოსტავა 14

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

---

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 99-41-50, 99-51-01.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,  
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

0643460 70185



b3/49

0